

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ჰათიჯე ერთურქი

დასავლეთ საქართველო ოსმალეთ-რუსეთის  
ურთიერთობებში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

(წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

*სამეცნიერო ხელმძღვანელები:*  
*ასოც. პროფ., ისტ. მეცნ. კანდ. რ.ჯ. დიასამიძე*  
*ასოც. პროფ., ისტ. მეცნ. კანდ. ი.ნ. ბარამიძე*

ბათუმი - 2021

## განაცხადი ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჰათიჯე ერთურქი

25.12.2020

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	4
<b>თავი I. დასავლეთ საქართველო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე .....</b>	<b>17</b>
§ 1. დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის ბოლოს. რეგიონში ოსმალეთის პოზიციების შესუსტება .....	17
§ 2. დასავლეთ საქართველო 1800-იან წლებში. რუსული მმართველობის დასაწყისი .....	27
<b>თავი II. რუსეთ-ოსმალეთის ომები და დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის     I მესამედში .....</b>	<b>43</b>
§ 1. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების ზოგადი დახასიათება .....	43
§ 2. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და იმერეთის სამეფო. ომის შემდგომი წლების სირთულეები .....	61
§3. დასავლეთ საქართველო რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის პერიოდში. ანდრიანოპოლის ზავის შედეგები .....	87
<b>თავი III. დასავლეთ საქართველო ადრიანოპოლის ზავიდან ყირიმის ომამდე     რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების კონტექსტში .....</b>	<b>108</b>
§ 1. წინააღმდეგობის მოძრაობა კავკასიაში XIX საუკუნის 30-50-იან წლებში	108
§ 2. იმერეთის ადმინისტრაციული მმართველობა. რუსიფიკატორული პოლიტიკა და მისი შედეგები .....	118
 დასკვნები .....	130
დანართები.....	137
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.....	143

## შესავალი

სამხრეთ კავკასიაში საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ ის ფაქტობრივად იყო და არის ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის. მისი შესაძლებლობა და როლი განისაზღვრება იმითაც, რომ ის უზრუნველყოფს გასასვლელს შავი ზღვისკენ. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიაში მდებარე საქართველო, დროთა განმავლობაში, ხშირად ხდებოდა სხვადასხვა ცივილიზაციის ინტერესის საგანი.

თუკი გადავხედავთ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების მიერ დასავლეთ საქართველოს მიმართ გატარებულ პოლიტიკას და, ზოგადად, იმერეთის სამეფოსა და სამთავროების მდგომარეობას XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში, დავინახავთ, რომ აღნიშნული ისტორიული პერიოდი სამივე ქვეყნისთვის (საქართველო, ოსმალეთი, რუსეთი) მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება: პირველი თანდათან კარგავს თავის სახელმწიფოებრიობას, მეორე კარგავს პოზიციებს რეგიონში, მესამე კი, სარგებლობს რა ამით, აფართოებს თავის ტერიტორიულ საზღვრებს. XVIII საუკუნის მიწურულის საქართველო სამეფო-სამთავროებადაა დაშლილი. აღმოსავლეთ საქართველოს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფო, დასავლეთ საქართველოს - იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები. ამ რეგიონში იმხანად არსებულმა სიტუაციამ ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიას განეხორციელებინა თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრი.

რუსეთის წარმატებით შეშფოთებული ოსმალეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ძალაუფლება დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, ამას ვერ მიაღწია. ამ დროს კი რუსეთი დღითიდღე აძლიერებდა თავის გავლენას არამარტო დასავლეთ საქართველოზე, არამედ სამხრეთ კავკასიის სხვა ტერიტორიებზეც. რეგიონში არსებობდა მესამე მოთამაშე - ირანი, თუმცა მისი ინტერესები, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოთი შემოიფარგლებოდა.

კავკასიაში ძალაუფლების მოპოვებისათვის ოსმალეთს, რუსეთსა და ირანს შორის მიმდინარე დაპირისპირებების პირობებში, საქართველო ცდილობდა ქვეყანაში

არსებული შიდა არეულობების დასრულებას, მშვიდობის დამყარების უზრუნველყოფას და ამ მიზნით საგარეო მხარდაჭერის მოპოვებას. ევროპისგან იმედგაცრუებულმა ქართლ-კახეთის სამეფომ 1783 წელს რუსეთთან გააფორმა მფარველობითი ხელშეკრულება, რამაც, სამწუხაროდ, ვერც ერეკლეს გაუმართლა იმედები და ვერც ქვეყანას მოუპოვა მშვიდობა. უფრო მეტიც, 1801 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთთან შეერთებულად გამოაცხადა და მიზანში დასავლეთ საქართველო ამოიღო. 1803 წელს რუსეთის იმპერიამ სამეგრელო, 1804 წელს იმერეთი და გურია, 1810 წელს კი აფხაზეთი თავის მმართველობაში მიიღო, რაც იყო პირველი ნაბიჯი სრული ანექსიის გზაზე. ამგვარად, რუსეთის იმპერიამ სამხრეთ კავკასიაში დიდი უპირატესობა მოიპოვა და საქართველო გახდა სამხრეთ კავკასიაში მისი პლაცდარმი, სამხრეთის მიმართულებით მისი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი.

ჯერ კიდევ პეტრე I-ის პერიოდიდან მოყოლებული, რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს სტამბოლისა და დარდანელის სრუტის ხელში ჩაგდებად, ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელის მოპოვება იყო. გარდა ამისა, ბიზანტიის იმპერიის დაშლის შემდეგ, რუსეთი მართლმადიდებელი ქრისტიანების დამცველის როლის მორგებით, რეგიონში ერთმორწმუნე ხალხთა თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობდა, რაც საქართველოს ხელში ჩაგდებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

XIX საუკუნიდან დაიწყო ოსმალეთის იმპერიის, როგორც მსოფლიო ძალაუფლების მქონის სტატუსის დაკარგვა, რასაც ასევე მოჰყვა ოსმალეთის გავლენის შესუსტება დასავლეთ საქართველოზე. რუსეთთან 1806-1812, 1828-1829 წლების ომებში პორტას ჰქონდა ერთგვარი რეაბილიტაციის მცდელობა, თუმცა სამხედრო ძალების სისუსტისა და ქვეყანაში არსებული შიდა არეულობების გამო, ოსმალეთმა ეს ვერ შეძლო და მთლიანად დაკარგა გავლენა რეგიონზე.

რუსული გავლენის დამყარებას იმერეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, აქაც მოჰყვა მმართველობითი სისტემის შეცვლა. რუსული ენისა და კულტურის გაძლიერების კვალდაკვალ ხდებოდა ქართული ენისა და კულტურის შესუსტება და მისი მნიშვნელობის დაკნინება. რუსულმა ანექსიამ ქართულ სახელმწიფოებრივ-

ბასთან ერთად, ქართველი ერი ასიმილაციის საფრთხის წინაშე დააყენა. ეს იყო სახელმწიფოს ეთნიკური სტრუქტურის მოშლისა და ტერიტორიების ათვისების მცდელობა რუსული „დაყავი და იბატონე“-ს პოლიტიკის ზეგავლენით. მიუხედავად ამისა, დიდი ძალისხმევის ფასად, საქართველომ ასეთი ზეწოლის პირობებშიც კი შეძლო თავისი ღირებულებების (ენა, კულტურა, ეთნიკური იდენტობა) დაცვა-შენარჩუნება და კვლავ ფეხზე წამოდგომა.

სამწუხაროდ, რუსული საფრთხე საქართველოსთვის დღესაც არაა მოხსნილი და ამდენად, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევა ფრიად აქტუალურია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი კვლავაც რჩება რეგიონის ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ.

წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომის მიზანია გამოვიკვლიოთ და გამოვარკვიოთ ისეთი მნიშვნელობის საკითხები, როგორცაა: ოსმალეთის, რუსეთისა და საქართველოსთვის ძირეული ცვლილებების ერთი ეტაპი, რაც უკავშირდება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას, აქ ოსმალეთის სამხედრო და პოლიტიკური ზეგავლენისა და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მცდელობას. ასევე, მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, დავსახეთ გარკვეული ამოცანების შესრულება, მათ შორის, იმ ისტორიული ეპოქის ნათლად წარმოჩენა თითოეული ქვეყნისთვის მოტანილი შედეგებითურთ; რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 და 1828-1829 წლების ომების განხილვა და შეფასება; ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მცდელობები და ამ მიმართულებით რეგიონულ მოთამაშეთა როლი.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში დამკვიდრებული ისეთი პრინციპები და მეთოდები, როგორცაა ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და სხვა, რომელთა კომპლექსურმა გამოყენებამ მოგვცა თემის სრულყოფილად გაშლისა და წარმოჩენის საშუალება.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ გამართული ომებისა და რუსეთის ოკუპაციის ქვეშ მოქცეული იმერეთის სამეფოსა და

სამთავროებისადმი ოსმალეთის პოლიტიკის გასაშუქებლად ვისარგებლეთ მრავალფეროვანი დოკუმენტური თუ სხვა სახის მასალებით, რამაც, საშუალება მოგვცა გავვეკეთებინა უფრო მეტად სარწმუნო დასკვნები და შეფასებები. ნაშრომში მოცემული კვლევა და მისი შედეგები, დამყარებულია, ასევე, მრავალრიცხოვან სამეცნიერო ლიტერატურაზე, ცალკეულ მეცნიერთა მონოგრაფიებსა თუ სტატიებზე, რაც დაგვეხმარა ეპოქის სრულყოფილად აღქმასა და სწორი მიმართულების შერჩევაში.

ნაშრომის მომზადებისას ძირითადად გამოვიყენეთ თურქული და ქართული წყაროები. მეტ-ნაკლები სისრულით გამოყენებულია რუსული მასალაც. ოსმალური წყაროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია დოკუმენტები, დაცული პრეზიდენტის ოსმალურ არქივში, სადაც ინახება დაახლოებით 100 მილიონზე მეტი საარქივო საქმე. თავდაპირველად მოვახდინეთ დოკუმენტების კლასიფიკაცია და დავიწყეთ შემდგომი ანალიზი და კვლევა. ეს არქივი ინახავს ყველა სახის შეთანხმებას, ოსმალეთის სულთნების ბრძანებულებებს, შიდა და გარე საკითხების შესახებ მიმოწერებს, დავთრებს, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, ოქმებს, აქტებს, კანონებს და მსგავს სახელმწიფო დოკუმენტებს (<https://www.Devletarsivleri.gov.tr>).

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შეფასებისა და შესწავლისათვის, ხელსაყრელი და სასარგებლო საარქივო დოკუმენტებია სულთნის მიერ გამოცემული ბრძანებები და სიგელები, რომლებშიც არის დიდი რაოდენობით მითითება-განკარგულებები, მიწერილი ქართველი მეფეებისა და მთავრებისადმი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართველ ხელისუფალთ უამრავი წერილი აქვთ გაგზავნილი სულთნებისა და სხვა უფლებამოსილი პირებისთვის. ამ წერილთა გარკვეული ნაწილი წარმოადგენს გაგზავნილი წერილების პასუხებს, ნაწილი კი რუსეთის დაპყრობითი ქმედებების წინააღმდეგ ოსმალეთისგან ქართველების მიერ დახმარების თხოვნასა და ოსმალეთის იმპერიის მიმართ მათი ერთგულების დადასტურებას<sup>1</sup>. ასევე მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ელოდება ქართველთა გარკვეული ნაწილი რუსეთის ზეწოლისგან გათავისუფლებას<sup>2</sup>. დოკუმენტების ერთი წყება დაწერილია ქართულ

---

<sup>1</sup> Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanlığı, Devlet Arşivleri Başkanlığı Osmanlı Arşivi (შემდეგში: COA), HAT., №: 44619, 44606, 44645, 44599, 29329, 38094-C, 44517, 35300, 44603, 7584.

<sup>2</sup> COA, HAT., №: 44613, 44619.

ენაზე. მათი ნაწილი მოძიებული და შესაბამისი კომენტარებით გამოქვეყნებულია მკვლევარ ი. ბარამიდის მიერ.<sup>3</sup> არქივში ასევე დაცულია მიმოწერები ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ ორგანოებს შორის, რომელთა გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნა წინამდებარე ნაშრომის მომზადებისას<sup>4</sup>.

დისერტაციაზე მუშაობისას გამოვიყენეთ დოკუმენტების გარკვეული ნაწილი მუმინ ილდიზთაშის ნაშრომიდან **„საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო ჩანაწერებში“**, სადაც თანამედროვე თურქულთან ერთად, არის თარგმანი ქართულ ენაზეც. ოსმალეთის არქივში არსებულ ჩანაწერთა შორის საქართველოსა და ქართველების შესახებ კლასიფიცირებული დოკუმენტები ქრონოლოგიურადაა დახარისხებული, ამ დოკუმენტების გარკვეული ნაწილი, რაც ჩვენი ნაშრომის თემას ეხება, გამოვიყენეთ საჭიროებისამებრ და თემატურად.

კვლევაში დიდი დახმარება გაგვიწია თურქ მეცნიერთა ნაშრომებმა. მათში დეტალურადაა გადმოცემული სოციალური და ეკონომიკური, ასევე, პოლიტიკური მოვლენები, მეფეებისა და მთავრების მოქმედებები, საქართველოს მდგომარეობა, ომები, ოსმალეთის სახელმწიფოს პოლიტიკა და ა.შ. ოსმალეთში ისტორიული ცნობები და ამბები ყოველთვის ფორმდებოდა წერილობით. 1709 წელს ოფიციალურად ჩამოყალიბდა ისტორიოგრაფიული განყოფილება Vaka-i Nuvis, რომელიც ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლომდე მოქმედებდა (Öztürk-Yıldız, 2013: 149).

საყურადღებოა ცნობილი თურქი მეცნიერის, ათაულლაჰ მეჰმეთ შანიზადეს მიერ შედგენილი 1808-1821 წლების ოსმალეთის ისტორია. ამ ნაშრომში მან თავისი თვალით ნანახი და მომხდარი მოვლენები აღწერა. ოთხტომეულ ნაშრომში მან ადგილი დაუთმო ცნობებს საქართველოს, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოს შესახებ. მას მოყვანილი აქვს ბათუმსა და ფოთში არსებული მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები. ასევე, ვრცლად აქვს გადმოცემული ცნობები საქართველოში არსებული

---

<sup>3</sup> ბარამიძე ი., ქართულ-რუსულ-ოსმალური ურთიერთობები XIX საუკუნის I მესამედში (ახალი საარქივო მასალებითურთ), ბათ., 2005.

<sup>4</sup> COA, HAT., №: 7013, 44291, 44617, 44625, 44594, 41855, 41459, 48970, 16690, 44640, 44607, 44608, 42781, 44615.



ვითარებისა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორის შესახებ. ასევე, მოცემულია მასალა გონიოს ციხისა და ჩილდირის პროვინციის მდგომარეობის შესახებ და სხვა<sup>5</sup>.

ცნობილი ისტორიკოს ჯევდეთ ფაშას 12 ტომიან ოსმალეთის ისტორიაში ვრცლად არის საუბარი XIX საუკუნის საქართველოს შესახებ. ესაა ჯევდეთ ფაშას ოფიციალურ ისტორიკოსად ყოფნის პერიოდში მის მიერ შეგროვებული და აღწერილი მნიშვნელოვანი მოვლენები. მასში ავტორს დეტალურად აქვს გადმოცემული ცნობები იმავე პერიოდის ოსმალეთ-რუსეთის ომების, ამ ომებში კავკასიის ხალხების როლის, საქართველოს საკითხისა და სხვათა შესახებ. ნაშრომში ასევე მოყვანილია საინტერესო ცნობები ქართველი, სომეხი და სხვა კავკასიელი ხალხების შესახებ<sup>6</sup>. ნაშრომის მეორე ტომში ჯევდეთ ფაშა გვაწვდის ინფორმაციას რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დამორჩილების მიზნით, მეფე სოლომონ მეორისათვის საჩუქრების გაზიარების შესახებ და სხვ.

საყურადღებოა, ასევე, ჯევდეთ ფაშას ნაშრომი „ყირიმისა და კავკასიის ისტორია“, რომელშიც გადმოცემულია ცნობები კავკასიის გეოგრაფიის, ისტორიისა და ამ მცხოვრები ხალხების ეთნოგრაფიის შესახებ.

ჯევდეთ ფაშას პერიოდს აგრძელებს აჰმეთ ლუთფუ ეფენდი, რომელიც მოგვითხრობს 1825-1876 წლებში განვითარებულ მოვლენებზე. ნაშრომში მოცემულია მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცნობები ოსმალეთ-რუსეთის 1828-1829 წლების ომის პერიოდში ახალციხისთვის ბრძოლების, აჭარის მოვლენების, ანაკლიისა და ფოთის ციხის აღების და სხვათა შესახებ<sup>7</sup>.

საქართველოს შესახებ არსებული ნაშრომების ავტორთაგან შეიძლება დავასახელოთ ნ. რაიფ აილდიზი<sup>8</sup> და აჰმედ ოზქანი<sup>9</sup>. მნიშვნელოვანია, ასევე, უზუნჩარშილის<sup>10</sup>, მუხტარის<sup>11</sup>, ბერკოკის<sup>12</sup>, გოქჩეს<sup>13</sup>, ბილგეს<sup>14</sup>, ჩილოღლუს<sup>15</sup> ნაშრომები, რომ-

---

<sup>5</sup> Şanizade Atullah Mehmet, Şanizade Tarihi, 1873.

<sup>6</sup> Ahmet Cevdet Paşa, Tarih-i Cevdet, 1892.

<sup>7</sup> Ahmed Lütfi Efendi, Lütfi Tarihi, 1910.

<sup>8</sup> Ayyıldız Hakkı Raif, Gürcistan, İstanbul, 1946.

<sup>9</sup> Özkan Ahmet, Gürcüstan, İstanbul, 1968.

<sup>10</sup> Uzunçarşılı İsmail Hakkı, Osmanlı tarihi C.IV, Ankara, 1973.

ლებშიც მოცემულია მნიშვნელოვანი ცნობები ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ კავკასიაში გატარებული პოლიტიკის, ოსმალეთ-რუსეთის ომების და რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შესახებ.

ოსმალეთისა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ დღემდე ძალიან ბევრი ნაშრომია დაწერილი. მათ შორის ყველაზე ცნობილია აქდეს ნიმეთ ქურათის შრომები<sup>16</sup>. ასევე მნიშვნელოვანია ადნან ბაიჯარის მიერ მომზადებული აჰმედ ჯავიდ ბეის რჩეული (სამეცნიერო ნაშრომი),<sup>17</sup> რომელიც რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების ზოგად კურსს ეხება. აგრეთვე, ჰალუქ გურსოისა<sup>18</sup> და ალი ქემალ მერამის ნაშრომები<sup>19</sup>. გარდა ამისა, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების შესახებ არსებობს ზოგადი და კერძო შინაარსის მქონე სხვადასხვა სტატია, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ოსმან ქოსესა<sup>20</sup> და ილბერ ორთაილის<sup>21</sup> შრომები.

საყურადღებოა მუფით სადიქ ბილგეს ნაშრომი „ოსმალეთის სახელმწიფო და კავკასია“, რომელიც მომზადებულია საარქივო ჩანაწერებსა და წყაროებზე დაყრდნობით. მასში ვრცლად არის გადმოცემული მასალა რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენების, სოხუმის მმართველ ასლან

---

<sup>11</sup> Muhtar Ahmet, (1828-1829) Türkiye-Rusya Seferi ve Edirne Antlaşması, Ankara, 1928

<sup>12</sup> Berkok İsmail Hakkı, Tarihte Kafkasya, İstanbul, 1958.

<sup>13</sup> Gökçe Cemal, Kafkasya ve Osmanlı İmparatorluğunun Kafkasya Siyaseti, İstanbul, 1979.

<sup>14</sup> Bilge M. Sadık, Osmanlı Devleti ve Kafkasya, İstanbul, 2005.

<sup>15</sup> Çiloğlu Fahrettin, Gürcülerin Tarihi, Ant yay., İstanbul, 1993.

<sup>16</sup> Kurat Akdes Nimet, Rusya Tarihi: Başlangıçtan 1917'ye kadar, TTK. Yayınları, Ankara 1948;

Türkiye ve Rusya, Ankara Üniversitesi Basımevi, Ankara, 1990.

<sup>17</sup> Baycar Adnan, Osmanlı-Rus İlişkileri Tarihi(Ahmed Cavid Beyin müntehabatı), Yeditepe Yayınevi, İstanbul, 2004.

<sup>18</sup> Gürsel Haluk F., Tarih Boyunca Türk-Rus İlişkileri, Ak Yayınları, İstanbul, 1968.

<sup>19</sup> Meram Ali Kemal, Türk-Rus İlişkileri Tarihi, İstanbul, 1969.

<sup>20</sup> Köse Osman, “XVIII. Yüzyıl Osmanlı-Rus Münasebetleri”, (Ed. Güler Eren), Yeni Türkiye Yayınları, Ankara, 1999, s.256-265.

<sup>21</sup> Ortaylı İlber, “XVIII. Yüzyıl Türk-Rus İlişkileri”, Türk-Rus İlişkilerinde 500 Yıl 1491-1992, TTK. Yayınları, Ankara, 12-14 Aralık 1992, s. 25-39.

ბეგის, იმერეთის მეფე სოლომონ მეორისა და ოსმალეთში თავშეფარებული ქართველების მიმართ პორტას დამოკიდებულების შესახებ.

მეტად საყურადღებოა ჯემალ გოქჩენის ნაშრომი „კავკასია და ოსმალეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკა“, რომელშიც საარქივო წყაროებზე დაყრდნობით ცალცალკე და დეტალურად არის გადმოცემული ცნობები 1806-1812 და 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების, დასავლეთ საქართველოში განვითარებული სოციალური და სამხედრო მოქმედებების, კავკასიაში ოსმალეთის სახელმწიფოს მდგომარეობის და რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების შესახებ.

მონოგრაფიების გარდა ვისარგებლოთ იმ სამეცნიერო სტატიებით, რომლებიც შეეხება ჩვენი დისერტაციის გარკვეულ საკითხებს. მათგან აღსანიშნავია შინასი ალთუნდალის ნაშრომში “ოსმალეთის მმართველობა და ქართველები”,<sup>22</sup> რომელშიც მოცემულია ცნობები ქართველების შესახებ ოსმალური მმართველობის დროს. ასევე მოტანილია დოკუმენტები, რომლებშიც გამოხატულია იმერეთისა და გურიის მმართველებისა და მოსახლეობის უკმაყოფილება რუსული მმართველობით მათ მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. ასევე, ცნობები რუსული მმართველობისგან გასათავისუფლებლად ოსმალეთისთვის დახმარების თხოვნის შესახებ.

ჩვენი საკვლევითი თემის ძირითადი პრობლემიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ნები გუმუშის სტატია „ბოლო ქართველი მეფის სოლომონ II-ის დაპირისპირება რუსეთთან და ურთიერთობა ოსმალეთის სახელმწიფოსთან“, რომელშიც გადმოცემულია ცნობები რუსების მიერ 1801 წელს თბილისის დაპყრობის, შემდეგ მათი დასავლეთ საქართველოში შესვლის და 1803 წელს სამეგრელოს, 1804 წელს იმერეთის, 1809 წელს კი ფოთის ციხის, გურიის და აფხაზეთის დაპყრობის შესახებ.<sup>23</sup> საყურადღებოა მუსტაფა ბუდაქის ნაშრომი „რუსეთის კავკასიაში შესვლის პოლიტიკა“<sup>24</sup>, რომელშიც დეტალურად არის გადმოცემული ცნობები რუსეთის მიერ და-

---

<sup>22</sup> Şinasi Altındağ, Osmanlı İdaresi ve Gürcüler, IV Türk Tarih Kongresi, 10-14 Kasım 1948, Ankara, s 317-325.

<sup>23</sup> Gümüş Nebi, Son Gürcü Kralı II. Solomon'un Ruslara Karşı Mücadelesi ve Osmanlı Devleti İle İlişkileri, SÜİFD 22 s. 105-118.

<sup>24</sup> Budak Mustafa, Rusya'nın Kafkasya'da Yayılma Siyaseti, s. 488-515, <https://www.tarihtarih.com>.

სავლეთ საქართველოს დაპყრობის, ოსმალეთის იმპერიის დამოკიდებულების, აქ განვითარებული მოვლენების, 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის და 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის შესახებ.

ჰაირი ჩაპრაზის მიერ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით დაწერილ სტატიაში „რუსეთის ადმინისტრაციის განთავსება საქართველოში (1800-1850)“<sup>25</sup> განხილულია მოვლენები რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით დაწყებული, რუსული მმართველობის ჩამოყალიბებით დამთავრებული.

ზემოხსენებული ნაშრომების გარდა, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის კონტექსტში შეიძლება აღინიშნოს აბდულლაჰ საიდამის „რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა“, ზეჟერია თურქმენის „რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნის დასაწყისში“ (1800-ანი წლებიდან 1828 წლის თურქმენჩაის ზავამდე), მაჰირ აიდინის ნაშრომი „ფოთის ციხე“ და სხვა.

რა თქმა უნდა, ოსმალეთ-რუსეთს შორის მიმდინარე ომების დროს საქართველოს მდგომარეობის ზუსტი და ღრმა ანალიზი ყველაზე მეტად წარმოდგენილია ქართველ მეცნიერთა კვლევებში, შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მთავარი ყურადღება მათზე გვექონდა გადატანილი.

უპირველესად, აღსანიშნავია XIX საუკუნის გამოჩენილი არქეოლოგი და ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც არაერთი ოსმალური დოკუმენტი აღმოაჩინა და შეისწავლა. დიმიტრი ბაქრაძე, ოსმალური წყაროების გამოვლენის მიზნით, სტამბოლშიც კი ჩავიდა, საიდანაც ჩამოიტანა ასამდე სხვადასხვა დოკუმენტის ასლი. სამწუხაროდ, მათ ჩვენამდე არ მოუღწევია. დიმიტრი ბაქრაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული თურქოლოგიის განვითარებაში (Shengelia, 1999: 494).

ოსმალური დოკუმენტების შესწავლის კუთხით გამორჩეულია პროფ. ც. აბულაძის ღვაწლი. მან თარგმნა და გამოსცა ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციაში შემონახულია ოსმალური დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ცნობებს სოლომონ II-ის

---

<sup>25</sup> Çapraz Hayri, Gürcistan'da Rus İdaresinin Yerleşmesi (1800-1850), OAKA, C. 1 N:1, s. 67-80, 2006.

მეფობის ბოლო წლების შესახებ და ადასტურებენ ოსმალთა ბიუროკრატებისა და სოლომონ II-ის ურთიერთობებს.<sup>26</sup>

მნიშვნელოვანი დვაწლი ქართულ-ოსმალური ურთიერთობების შესწავლის საქმეში მიუძღვის პროფესორ მიხეილ სვანიძეს, რომელმაც ქართული, თურქული და ევროპული სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების გამოყენებით, მრავალწლიანი მუშაობის შედეგად გამოსცა მონოგრაფია „ოსმალეთის ისტორია“ სამ ტომად, მთელი პერიოდის მოცვით (1299-2000 წწ.). მეცნიერის ამ ნაშრომის მთავარი ღირსება, რომელიც განასხვავებს მას სხვებისგან, არის ოსმალეთისა და თურქეთის ისტორიის ერთ მთლიანობად წარმოჩენა და ის, რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ასეთი ერთიანი ხედვის თვალსაზრისით შექმნილ პირველ ქართულ გამოკვლევას (**Gümüş, 2006: 172**).

ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებული პროფესორ ნოდარ შენგელიას არაერთი კვლევა. მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია მისი ნაშრომები თბილისის, ქუთაისის, ახალციხის, ბათუმის, სოხუმის და სხვა ქალაქებისა და რეგიონების შესახებ.

საინტერესოა ნ. ქორთუას მონოგრაფია „საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში“<sup>27</sup>. რომელიც შეიცავს საკმაოდ ვრცელ მასალას 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში საქართველოს როლისა და მოქმედებების შესახებ.

დასავლეთ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ იყო საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი. აქ არსებული სამთავროების გამძლეობის მიზეზები და, საერთოდ, XIX ს-ის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ბევრი საკითხი კარგად არის გაშუქებული მ. დუმბაძის მონოგრაფიაში<sup>28</sup>.

---

<sup>26</sup> აბულაძე ც., 4 თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფე სოლომონ II-ის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 121, თბ., 1967, გვ. 165-185; ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის მიერ სოლომონ II-ისათვის გაგზავნილი წერილები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბილისი, 1971, გვ. 402-406.

<sup>27</sup> ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964.

<sup>28</sup> დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.

აღსანიშნავია, ცნობილი ქართველ ისტორიკოს ნ. ბერძენიშვილის<sup>29</sup> ცნობები საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, ოსმალური და რუსული გავლენისა და პოლიტიკური ბრძოლის შესახებ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის იმერეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს თ. ჟორდანიას ცნობილი “ქრონიკების” მესამე წიგნი (თბ., 1967).

დასავლეთ საქართველოს და ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ურთიერთობებს ეძღვნება გ. ვაჭრიძის<sup>30</sup>, შ. ჩხეტას<sup>31</sup>, ზ. ცინცაძის<sup>32</sup> და სხვათა ნაშრომები.

საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობები XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში განვითარებულ საერთაშორისო მოვლენების პრობლემებზე მოიპოვება რუსულ ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაშიც.

კავკასიაში რუსეთის სამხედრო მოქმედებების შესახებ ცნობები წარმოდგენილია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების ტომეულებში, სადაც თავმოყრილია კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებასთან დაკავშირებული მასალები. მაგალითად, მეორე ტომში ადგილი დაეთმო კავკასიაში რუსეთის ჯარების სარდლის პავლე ციციანოვის მოქმედებებს საქართველოში 1802-1806 წლებში. დოკუმენტების მესამე ტომში ნაჩვენებია მთავარმართებელ ივანე გუდოვიჩისა (1806-1809 წლები), რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია ჩრდილოეთ კავკასიაში და თავისი ჯარებით აიღო ანაპის ციხე. არანაკლებ საინტერესოა მომდევნო ტომებიც.

1960-1970 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომში - “Внешняя политика России XIX и начала XX века. Документы российского министерства иностранных дел. Серия первая 1801-1815” - მოცემულია ჩვენი თემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები აღნიშნულ პერიოდში მომხდარი მოვლენების შესახებ. ის წარმოადგენს პირველ გამოცემას და ცნობებს XIX საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. აღნიშ-

---

<sup>29</sup> ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1965.

<sup>30</sup> ვაჭრიძე გ., იმერეთის დროებითი მმართველობა(1810-1840), ქუთაისი, 1999.

<sup>31</sup> ჩხეტია შ., აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856), საისტორიო მოამბე, ტ. 15-16. თბ., 1963.

<sup>32</sup> ცინცაძე ზ., სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული ტ. VII, თბ., 1989.

ნული გამოცემა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან რუსი დიპლომატების მიერ ჩამოტანილი მოხსენებების გარდა, ნაშრომი ასევე შეიცავს რუსი დიპლომატებისათვის გადაცემულ მოთხოვნებს, საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ ჩანაწერებს, საგარეო საქმეთა მინისტრებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ მეფისათვის წარდგენილ მოხსენებებს.

ასევე მნიშვნელოვანია რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის<sup>33</sup> 1801-1804 წლის დოკუმენტები, რომელშიც საკმაოდ ვრცელი ინფორმაციაა რუსეთსა და ოსმალეთის მიერ განხორციელებული სხვადასხვა მოქმედებების შესახებ. გამოქვეყნებული დოკუმენტების პირველ ნაწილის საწყისი თარიღი არის 1801 წლის გაზაფხული და ეს არ წარმოადგენს შემთხვევით არჩევანს. ის ეხება მეფის რუსეთის იმ პერიოდის საგარეო პოლიტიკაში განვითარებულ მოვლენებს. ამგვარი ქრონოლოგიის ერთი მიზეზი გახდა რუსეთში საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩამოყალიბება, რასაც მოჰყვა რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში არსებული დოკუმენტაციისთვის უფრო სისტემური სახის მიცემა (Клейнман, 2016: 332).

რუსეთის ჯარების მოქმედებების შესახებ ოფიციალური დოკუმენტების გარდა არსებობს ძალიან ბევრი ნაშრომი, შექმნილი რუსი მკვლევარების მიერ. ექვგარეშეა, რომ აღნიშნულ ნაშრომებიდან ყველაზე დიდი პოპულარულობით სარგებლობს ვასილ ალექსანდრეს ძე პოტტოს „Кавказская война“ (კავკასიის ომი), გამოცემული 5 ტომად. ამ ნაშრომის მეოთხე ტომში მოცემულია 1828-1829 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის ამბები.

რუსული ჯარების მოქმედებების შესახებ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს ალექსანდრე ბიტის “Russia and the Eastern Question: Army, Government and Society, 1815-1833”. მასში გაანალიზებულია 1828-1829 წლების სამხედრო მოქმედებები, აგრეთვე ომამდელი და ომის შემდგომი ხანის მოვლენები.

ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სამხრეთ-კავკასიის (კერძოდ საქართველოს) ისტორიის სპეციალისტის ინგლისელი

---

<sup>33</sup> АВПР - Архив внешней политики России - რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი.

აკადემიკოსის ალენის მიერ რუს მწერალ პ. მურატოვთან ერთად შექმნილი ნაშრომი სახელწოდებით „1828-1921 წწ. ომები თურქეთ-კავკასიის საზღვარზე“.<sup>34</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომების გარდა, ცალკეულ პრობლემებთან კავშირში ვიხელმძღვანელებთ სხვა საინტერესო გამოკვლევებით, რომლებიც შესაბამის ადგილებზე გვექნება მითითებული. ბუნებრივია, ნაშრომთა შესწავლა-გამოყენებისას ვცადეთ მათი კრიტიკული შეფასება, ჩვენი მოკრძალებული მოსაზრებების ან დამოკიდებულების ჩვენება, რაც საბოლოო ჯამში აისახა შემაჯამებელ დასკვნებში.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი შედგება სამი ნაწილისგან. პირველ თავში მოცემულია რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს შესვლიდან დაწყებული, მის დაპყრობამდე არსებული პერიოდის ზოგადი შეფასება და განხილულია XIX საუკუნეში რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობის საკითხები. მეორე თავში საუბარია ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობების საკითხებზე, მოვიტანეთ მასალა იმ მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ მესამედში, კერძოდ, 1806-1812, 1828-1829 წლებში მიმდინარე ოსმალეთ-რუსეთის ომების დროს. მესამე თავში საუბარია რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ რუსეთის ბრძოლის შესახებ კავკასიელ ხალხებთან, რომლებიც კავკასიაში რუსეთის გაბატონებას არ ეგუებოდნენ. ლაპარაკია იმაზე, თუ რა გავლენა იქონია რუსეთის მიერ გატარებულმა „რუსიფიკაციის“ ცენტრალიზებულმა პოლიტიკამ კავკასიელ ხალხზე და რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე. შეფასებულია სამხედრო მმართველობაში გატარებული ცვლილებები და დროებითი მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგები. გადმოცემულია 1840-იან წლებში საქართველოში გატარებული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური რეფორმების არსი.

---

<sup>34</sup> Allen W.E.D., Muratoff Paul, 1828-1921 Türk-Kafkas Sınırlarındaki Harplerin Tarihi, Ankara, 1966



## თავი I. დასავლეთ საქართველო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე

### § 1. დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის ბოლოს.

#### რეგიონში ოსმალეთის პოზიციების შესუსტება

XVIII საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ საქართველო ოსმალეთის, აღმოსავლეთ საქართველო კი ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ საუკუნის ბოლოდან კავკასიის რეგიონში უკვე აქტიურად იკვეთება რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს ინტერესები, რომელსაც მანამდეც ჰქონდა აქ დამკვიდრების სურვილი.

XVIII საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველო სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად უკიდურესად დასუსტებული და ცალკეულ სახელმწიფო წარმონაქმნებად დანაწევრებული იყო. XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველო მოიცავდა იმერეთის სამეფოს და გურიის, სამეგრელოს (ოდიში), სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროებს (**დუმბაძე, 1957: 50**). როგორც ფეოდალურ სამეფო-სამთავროებს შეეფერება, გაბატონებულ კლასს აქ ფეოდალები წარმოადგენდნენ. მათ განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდათ მიწასა და მმართველობაზე. ყმა გლეხები თითქმის უუფლებონი იყვნენ, რაც ზრდიდა მათ შორის დაპირისპირების ხარისხს და ასუსტებდა ურთიერთქიშპით ისედაც დაუძლურებულ პოლიტიკურ ერთეულებს. ამას ემატებოდა მუდმივი საგარეო საფრთხის არსებობა, რაც მათ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ართულებდა და ამძიმებდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში საკუთრივ იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები ამგვარი იყო: ჩრდილოეთით საზღვარი გაჰყვებოდა კავკასიონს (სვანეთი საზღვრებს გარეთ რჩებოდა); დასავლეთით - ცხენისწყლის ხეობას (ლეჩხუმი საზღვარს გარეთ იყო). სასაზღვრო ხაზი გადადიოდა ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს და გადაჰკვეთდა რიონს; სამხრეთით-საზღვარი გასდევდა ჯერ საჯავახოს ქედს, ხოლო შემდეგ ფერსათის ქედს.

1782 წელს იმერეთის სამეფოში 18.980 კომლი ცხოვრობდა. საუკუნეთა მიჯნაზეც მოსახლეობის დაახლოებით იგივე რაოდენობაა საგულისხმებელი, რასაც ხელი განსაკუთრებით შეუწყო შიდა ომებმა (**ვაჭრიძე, 1999: 33**).

XIX საუკუნის დასაწყისში იმერეთის სამეფოს მეფე მართავდა, თუმცა კი ქვეყანაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში ფეოდალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. დარბაზი - მეფისა და ფეოდალების საბჭო, იურიდიულად სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა. არსებითად კი ის იყო მეფეზე მსხვილი ფეოდალების მხრიდან ზემოქმედების მოხდენის საშუალება, რომელიც მეფის ხელისუფლებას ზღუდავდა (**დუმბაძე, 1957: 121**). მეფის შემდეგ სამეფო კარზე პირველი ადგილი რანგით ეკავა სახლთუხუცესს. მის მოვალეობაში შედიოდა სამეფოში შემოსავლის და გასავლის დაანგარიშება. ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო, მეფე არჩევდა წარჩინებულ გვარიდან ერთ-ერთს. იმერეთის სამეფოს უკანასკნელი სახლთუხუცესი იყო ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი.

წარჩინებული გვარიდან მეფე არჩევდა მოურავსაც. განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდა ქუთაისის მოურავი. იმერეთში, სამეფო კარზე იყო სხვა თანამდებობებიც: მოლარეთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ხაბაზთუხუცესი, მეჯინბეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, მეძალეთუხუცესი, მეაბჯრეთუხუცესი, ქილიფთართუხუცესი, ფარემთუხუცესი. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება და მოვალეობა გააჩნდა.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე იმერეთის სამეფოს კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა სტამბის დაარსება და წიგნის ბეჭდვის დაწყება. 1801 წელს დაიბეჭდა პირველი წიგნი - „დავითნი“ (**ვაჭრიძე, 1999: 56**). მაგრამ ამ მოვლენას, სხვა გარემოებებთან ერთად, აფერმკრთალებდა გარე მტრის შემოსევები და ხშირი შიდა დაპირისპირება.

1784 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I. ტახტი დავითს, სოლომონ მეფის ძმის, არჩილის შვილს უნდა დაეკავებინა, თუმცა იმერეთის დიდგვაროვნებს მის ნაცვლად ტახტზე გიორგი VI-ის ვაჟის - დავით II-ის აყვანა უნდოდათ. დავით არჩილის ძე (მომავალი სოლომონ მეორე) ამ დროს 12 წლის იყო (**რეხვიაშვილი, 1992: 147**) და დიდი ალბათობით იმერელ დიდგვაროვნებს 29 წლის დავით II-ის ტახტზე აყვანა ასაკის გამო სურდათ. ეს მათ მოახერხეს კიდევ, თუმცა რამდენიმე ხანში, ერეკლე II-სა და სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანის დახმარებით, ტახტი არჩი-

ლის შვილის, დავითის ხელში გადავიდა, რომელმაც ბიძის საპატივცემულოდ სოლომონი დაირქვა და ასე შემორჩა ისტორიას.

მაგრამ იმერეთის ტახტისთვის ბრძოლა სამეფო დინასტიის წევრებს შორის კვლავ გაგრძელდა. სამეფოდან განდევნილი დავით გიორგის ძე სოლომონ II-ს ამარცხებს ზოვრეთთან, რის შემდეგ დავითი ცოტა ხანი ისევ რჩება იმერეთის ტახტზე. დამარცხებული სოლომონ II, 1790 წელს, ლომსიათხევთან იღებს რევანშს და იბრუნებს ტახტს (**რეხვიაშვილი, 2000: 780-781**).

1795 წლის 11 იანვარს დავით გიორგის ძე გარდაიცვალა, თუმცა იმერეთის ტახტზე მეორე პრეტენდენტი გამოჩნდა. ეს გახლდათ 1780 წელს გარდაცვლილი ალექსანდრეს (სოლომონ პირველის ძის) შვილი გიორგი, რომელსაც მხარს უჭერდნენ გაენათელი ეპისკოპოსი და რამდენიმე იმერელი თავადი (**საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, 1970: 752**). შეთქმულები ახალციხეში დევნილობაში მყოფ ოდიშის მთავარს - გრიგოლ დადიანს დაუკავშირდნენ და ისიც სასწრაფოდ გამოემურა ოსმალთა ჯარით, მაგრამ სოლომონ მეორემ დაასწრო და შეთქმულნი დააპატიმრა. ტახტისთვის მეზობელი გიორგი ბატონიშვილი დააპატიმრეს და მუხურის ციხეში ჩასვეს (**სცა, ფ. 226, ს. 3226**). შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე ექვთიმე გაენათელი კი იმერეთიდან გააძევეს (**რეხვიაშვილი, 1982: 307**).

ამ დროისთვის დასავლეთ საქართველოს მთავარი პოლიტიკური ერთეული, იმერეთის სამეფო, სხვა სახელმწიფო წარმონაქმნების - სამთავროების დამოუკიდებლობას არ აღიარებდა. განიხილავდა როგორც თავის ქვეშევრდომებს და მათ დასამორჩილებლად იბრძოდა (**დუმბაძე, 1957: 50**). იმერეთის სამეფო ძალისხმევას არ იშურებდა საქართველოს გაერთიანებისთვის და უპირისპირდებოდა სეპარატისტულ სამთავროებს. თუმცა, საქართველოს გაერთიანება იმდროინდელ სინამდვილეში თითქმის შეუძლებელი იყო (**დუმბაძე, 1957: 135**).

დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულს სამეგრელოს სამთავრო წარმოადგენდა. ამ დროს მის მთავარს უკვე აღარ ჰქონდა ძველი გავლენა აფხაზეთზე, რომლის მომიჯნავე სამურზაყანო შარვაშიძეთა ერთ-ერთ შტოს და სამეგრელოს მთავრებს შორის დავის საგანი იყო (**დუმბაძე, 1957: 51**), მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველოს მთავრებს შორის ყველაზე ძლიერად მაინც სამეგ-

რელოს მთავარი დადიანი ითვლებოდა, რომელსაც იმ დროს 6-8 ათასი მოლაშქრის გამოყვანა შეეძლო (სინ, ტ.V, 1970: 498).

1788 წელს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი. რომელიც შეცვალა მისივე ვაჟმა გრიგოლმა. როგორც ჩანს, გრიგოლ დადიანი იმერეთის მეფის სასურველი კანდიდატი არ იყო, ამიტომ ჯერ დავით გიორგის ძემ და შემდეგ სოლომონ II-მ დაიწყეს ბრძოლა სამეგრელოს სამთავროს დამორჩილებისა და ლეჩხუმის ხელში ჩაგდების მიზნით. 1792 წელს სოლომონ II-მ გრიგოლ დადიანი ტახტიდან გადააყენა და სამეგრელო მის ძმას, მანუჩარს, გადასცა. გრიგოლ დადიანი იძულებული იყო დაეტოვებინა ლეჩხუმი და ახალციხეში გადასულიყო, საიდანაც დახმარება ოსმალეთს სთხოვა, თუმცა უშედეგოდ. ბოლოს გრიგოლმა თავისი ბიძის გიორგი დადიანის და ლეჩხუმის სარდალ-მოურავ ქაიხოსრო გელოვანის დახმარებით შეძლო გადასვლა სამეგრელოში. 1799 წელს გრიგოლმა სამეგრელოს მთავრობა მიიღო. ამ მდგომარეობით უკმაყოფილო სოლომონ II-მ ამჯერად მოთმინება ამჯობინა, თუმცა, შემდგომში ის გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ ფარულ და ღია ბრძოლას მუდმივად აწარმოებდა.

ზემოთ ჩამოთვლილმა დაპირისპირებამ გამოიწვია სამეგრელოს სამთავროს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური დასუსტება. დადიანი იძულებული გახდა მოექმენა მფარველი, რომელიც დაეხმარებოდა სამეგრელოში არსებული პრობლემების გადაჭრაში, სწორედ ამიტომ გაფორმდა 1803 წლის დეკემბერში შეთანხმება სამეგრელოს სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ (ქადარია, 2003: 170). ამ შეთანხმების შემდეგ სამთავროს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში რუსეთის სახელმწიფო მოხელეთა როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

XVIII საუკუნისთვის აფხაზეთის სამთავრო ოსმალეთის მბრძანებლობის ქვეშაა. 1787 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისას, აფხაზეთის სამთავროში მმართველად ოსმალეთის მომხრე და ქვეშევრდომი ქელემ აჰმედ ბეგი დააყენეს. მან აფხაზეთის სამთავროს ადმინისტრაციული ცენტრი ზუფუდან გადაიტანა სოხუმში (ანთელავა, 1951: 82), სადაც ოსმალთა ჯარისკაცები იყვნენ განლაგებულნი.

აფხაზეთის სამთავროს ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი - სოხუმი XIX საუკუნის დასაწყისში თურქი, ბერძენი და სომეხი ვაჭრების კუთვნილი მაღაზიებითა და

სავაჭრო სახლებით სავსე საპორტო ქალაქი იყო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო სოხუმის ციხისა და მისი შემოგარენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რასაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მიმართულებით ოსმალეთის სახელმწიფომ ციხის მცველების გაძლიერება, სამხედრო აღჭურვილობისა და სურსათის მიწოდების გაზრდა უზრუნველყო. სელიმ III-ის ბრძანებით, სოხუმში შეიქმნა ბაზა სამხედრო გემების მშენებლობისთვის (**Karal, 1941: 211**), რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთისთვის.

გურიის სამთავროს სამეგრელოს მთავართან ბრძოლაში დაკარგული ჰქონდა ფიჩორასა და რიონს შორის მდებარე ტერიტორია (**დუმბაძე, 1957: 52**). გურიის მთავარი, მართალია, ენერგიულად იბრძოდა ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ მან იმერეთის მეფესთან ურთიერთობა ვერ მოაგვარა, ხელმწიფობისთვის ბრძოლას განაგრძობდა. ამას კი სამთავროს მოსახლეობისთვის დიდი ზიანი მოჰქონდა (**სინ, ტ. IV, 1970: 498**). 1792 წელს სიმონ III გურიელი გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე, მამია, მხოლოდ 3 წლის იყო. ამიტომ ტახტი სიმონის ძმამ ვახტანგმა ჩაიგდო ხელში. 1797 წელს სიმონის მეორე ძმამ ქაიხოსრომ ვახტანგი გააძევა სამთავროდან და მმართველობა თვითონ აიღო ხელში. ვახტანგი სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა, რათა დაებრუნებინა ტახტი, მაგრამ მიუხედავად სისტემატური დახმარებისა ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან, მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

სვანეთის სამთავრო ამ დროს მთლიანად სვანეთს არ მოიცავდა. სვანეთი, მდებარე მდინარეების ცხენისწყლისა და ენგურის ზემო დინებაში, მაშინ ორად იყო გაყოფილი - დადემქელიანთა სამთავრო სვანეთად და თავისუფალ, უბატონო სვანეთად (**დუმბაძე, 1957: 53**). ეს მხარე საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან მაშინაც შედარებით ნაკლებად დაკავშირებული და უფრო კარჩაკეტილი იყო. ამიტომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სვანეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ნაკლებად მონაწილეობდა. სწორედ ამის შედეგი იყო კუთხის ეკონომიკური და კულტურული დაქვეითება.

დასავლეთ საქართველოში არსებულ ვითარებას ერთგვარად ტონს აძლევდა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი სიტუაცია. XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც სამხრეთ კავკასიაში ბატონობისთვის ოსმალეთის იმპერიას, მეფის რუსეთსა და ირანს

შორის ბრძოლა მიმდინარეობდა, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ქვეყნის შიგნით არსებული არეულობისა და რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის უზრუნველყოფისთვის დახმარების გზებს ეძებდა. დიდგვაროვანთა რჩევით, მან მფარველობისა და დახმარებისთვის რუსეთს მიმართა. 1783 წლის 24 ივლისს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას - გეორგიევსკის ტრაქტატს (Bilge, 2005: 145; Forsyth, 2013: 309). ამ შეთანხმებას რუსეთის მხრიდან ხელს გენერალი პავლე პოტიომკინი აწერდა, საქართველოს მხრიდან კი ივანე მუხრანბატონი და გარსევან ჭავჭავაძე (სანიკიძე, 1994: 113; რეხვიაშვილი, 2000: 768). 13 მუხლისგან შემდგარი შეთანხმების ძალაში შესვლით საქართველო თანხმდებოდა რუსეთის მმართველობის დომინანტობას და უარს ამბობდა სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომობაზე (სანიკიძე, 1994: 113). ის ქართველი დიდგვაროვნები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ერეკლე II-მ და სამღვდელთა კონსილიამ ამ ხელშეკრულების გაფორმებით ქვეყანა თავისი ხელით ჩააბარეს რუსეთს, მუდმივად პროტესტს გამოხატავდნენ. თუმცა, თუ გავანალიზებთ იმ დროს არსებულ ვითარებას, დავინახავთ, რომ მეფის მიერ რუსეთთან დადებული ეს შეთანხმება ნაკარნახევი იყო მისი სურვილით გადაერჩინა თავისი ქვეყანა მეზობელ ოსმალეთთან და ირანთან დაუსრულებელი ბრძოლისაგან.

ოსმალეთმა, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ერეკლე II-სა და რუსეთს შორის განვითარებულ ურთიერთობებს, მიიღო გადაწყვეტილება ფოთის, ბათუმის, სოხუმის და ანაკლიის ციხე-სიმაგრეებში არსებული სამხედრო ჯარების რიცხვის გაზრდასთან დაკავშირებით (COA, HAT., №: 910). ფოთის ციხის დაცვის უფროსად ჰალილ ფაშა იქნა გამწესებული. ეს ციხე-სიმაგრე შეკეთდა და იქ მედრესეს (სკოლა) და სასამართლოს შენობები აიგო (იქვე, №: 340.). გარდა ამისა, იმერეთის მეფე სოლომონ I-მა და ოდიშის მთავარმა კაცია II დადიანმა ჰალილ ფაშას ელჩები გაუგზავნეს და მორჩილება აღუთქვეს (Bilge, 2005: 145).

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ თბილისი, კავკასიაში მიმდინარე ოსმალეთ-რუსეთის ომისას, სამხედრო თვალსაზრისით რუსეთისთვის მნიშვნელოვანი პლაცდარმი გახდა (Özbay, 2014: 35). რუსეთს საშუალება მიეცა პირდაპირ ჩართულიყო სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში. რუსეთ-

საქართველოს შორის არსებულმა დიპლომატიურმა და სამხედრო ურთიერთობებმა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შეღწევის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ გამოვიდა ირანი და ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი აღა-მაჰმად-ხანი. მეორე მხრივ, საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ დაღესტნისა და აზერბაიჯანის სახანოები და მათაც დალაშქრეს საქართველო. ასეთი გართულებული ვითარების გამო ერეკლე II-ს, ოსმალეთის სახელმწიფოსთან კავშირში მყოფ იმერეთის მეფე სოლომონ II-ს, სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს და გურიის მთავარ სიმონ გურიელს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, თუ მოხდებოდა თავდასხმა რომელიმე ამ სამეფოსა თუ სამთავროებზე, ისინი წინააღმდეგობას ერთიანი ძალებით განახორციელებდნენ, ანუ გააერთიანებდნენ თავიანთ სამხედრო ძალებს (**ჩხატარაიშვილი, 1985: 4; Bilge, 2005: 161**). ამასთანავე, ამ შეთანხმების თანახმად, თუ რომელიმე სამეფო-სამთავრო რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნას მოისურვებდა, ამის უზრუნველყოფას ქართლ-კახეთის მეფე შეეცდებოდა (**Cabağı, 1967: 46**). ამ ხელშეკრულების პრაქტიკული ამოქმედების დამადასტურებელი იყო იმერეთის მეფის მიერ 1795 წლის სექტემბერში ირანის წინააღმდეგ კრწანისის ბრძოლაში 2000 კაციანი სამხედრო შენაერთის გაგზავნა (**Allen, 1932: 213**).

გარდა ამისა, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ ოსმალეთის ხელმძღვანელობას გაუგზავნა წერილი, რომელშიც ითხოვდა, რომ ოსმალეთს ის, როგორც მტერი, ისე არ აღექვა (**COA, Cevdet Tasnifi Hariciye, №: 7253/1**). თავის მხრივ, ოსმალეთმა ერეკლესგან პატიების პირობად მოითხოვა დაენგრიათ დარიალის უღელტეხილზე გადასასვლელი სამხედრო გზა (**COA, Cevdet Tasnifi Hariciye, №: 7253/2**), რომელიც უზრუნველყოფდა სამხრეთ კავკასიაში რუსების შემოსვლას. რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების (იასის ხელშეკრულებას) მე-5 მუხლის თანახმად, ოსმალეთის სახელმწიფოს უფლება არ ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს საქმეებში კარდინალურად ჩარეულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს რუსეთთან ახალ პრობლემებს წარმოშობდა. ამიტომაც ოსმალეთმა გზის განადგურება ერეკლე II-ს მოსთხოვა. თუმცა, ამ დროს ირანი თავს დაესხა საქართველოს და ერეკლემ ისევ რუსეთს სთხოვა დახმარება.

1798 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. ტახტი მისმა ვაჟმა გიორგი XII-მ დაიკავა. მან ირანის შაჰ ფათჰ-ალისგან მუქარით სავსე წერილი მიიღო. შაჰი მოითხოვდა, რომ მეფეს თეირანში მძევლად გაეგზავნა თავისი შვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თბილისზე თავდასხმით იმუქრებოდა. 1799 წლის 18 აპრილს რუსეთის მეფე პავლე I-მა გიორგი XII-ის ტახტზე ასვლა დაადასტურა და ტახტის მემკვიდრედ გიორგი XII-ის ვაჟი დავითი გამოცხადდა. ამ მოვლენების შემდეგ, გიორგი XII-ის ძმა ალექსანდრე ირანში ფათჰ-ალი შაჰთან წავიდა და მისგან დახმარება ითხოვა. ეს უფლისწული, რომელიც რუსეთის მთავარ მტრად მოიაზრებოდა, ხან ირანსა და მასთან დაკავშირებულ სახანოებს უწყობდა ხელს საქართველოზე თავდასხმის მოწყობაში, ხანაც კიდევ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისკენ აქეზებდა ქართველებს და პრობლემებს ქმნიდა (Baddeley, 1995: 83-84). გიორგი XII არ იყო ძლიერი მმართველი, ის განიცდიდა ირანის ზეწოლას, საკუთარი ძალებით ვერ უძლავდებოდა თავის ძმებს მათ მიერ გაჩაღებულ ბრძოლაში ტახტისთვის, ამიტომ მან ვერ შეძლო საქართველოს დაცვა და დახმარება რუსეთის იმპერატორ პავლე I-სგან ითხოვა (Baddeley, 1995: 83). ამ თხოვნის საფუძველზე, თბილისში გამოიგზავნა 3000 კაციანი რუსული საჯარისო შენაერთი გენერალ ივან ლაზარევის მეთაურობით (რეხვიაშვილი, 2000: 801). ამ დროს კი შაჰმა ფათჰ-ალიმ დაიწყო მოქმედება საქართველოს დაპყრობის მიზნით. თუმცა, ირანელები ფრთხილობდნენ და რუსეთთან შესაძლო ომის თავიდან ასაცილებლად, ძალიან შორს აღარ წასულან.

რუსეთთან მოკავშირეობის შესახებ 1799 წლის 5 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების თანახმად, გიორგი XII აცხადებდა სურვილს გადაეცა რუსეთისთვის ქართლ-კახეთის მმართველობა იმ პირობით, რომ თავის ვაჟს, დავითს, რუსეთი აღიარებდა ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ. ეს სურვილი და შეთანხმება რუსეთის მეფის პავლე I-ის მიერ 1800 წლის 18 დეკემბერს დაკმაყოფილებული იქნა. 1800 წლის 28 დეკემბერს მეფე გიორგი XII გარდაიცვალა (რეხვიაშვილი, 2000: 791), თუმცა დავით მეფეს არ მისცეს ტახტის დაკავების უფლება. 1801 წლის 18 იანვარს, პავლე I-ის მანიფესტით, გამოცხადდა ქართლ-კახეთის მიერთება რუსეთთან. მალევე, პავლე I ტახტიდან ჩამოაგდეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. რუსეთის ტახტი დაიკავა ალექსანდრე I-მა, რომელმაც დროებით შეაჩერა პავლეს მანიფესტის მოქმედება და დაიწყო



იმის გამორკვევა, თუ რამდენად სასარგებლო იქნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1801 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში, ზამთრის სასახლეში გამოცხადდა გენერალ ვალერი ზუბოვის მიერ მომზადებული მანიფესტი, რომლითაც ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა (**ჯავახიშვილი, 1919; სურგულაძე, 1991: 326-328; Mehmetov, 2009: 478**).

მანიფესტი კითხვებს და ეჭვებს ბადებდა ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც არ ეთანხმებოდა ქართლ-კახეთის რუსეთთან მიერთების გადაწყვეტილებას და ეჭვობდა, რომ რუსეთი მოახერხებდა მის დაცვას ოსმალეთისა და ირანის წნეხისაგან. ამგვარი მოსაზრებების გამო, მანიფესტი ხალხს დაგვიანებით, 1802 წლის 12 აპრილს, გამოუცხადეს (**Bilge, 2005: 165**). ამრიგად, ქართლ-კახეთი რუსეთის პროვინცია გახდა. ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანიშვილი წერს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში შემოღებული მმართველობის სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ მასში გარკვეული ადგილი დაუთმეს ქართულ ელემენტს, უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის (**ბენდიანიშვილი, 1980: 10**).

შეიძლება ითქვას, რომ ანექსიის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის პოზიციების გაძლიერების მაჩვენებელი გახდა რუსეთის მიერ აქ თავისი მუდმივი ჯარის ჩააყენა. საქართველოს სხვა რეგიონების რუსეთის ხელში გადასვლა უკვე მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხი იყო.

XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც სამეფო-სამთავროებად დაყოფილ დასავლეთ საქართველოში შიდაპოლიტიკური დაპირისპირება პიკს აღწევდა, გარე ძალები შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ რეგიონში თავიანთი გავლენის დაცვასა და მოპოვებას ცდილობდნენ.

პეტრე I-ის მმართველობიდან მოყოლებული რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ოსმალეთის სახელმწიფოს არეალში მყოფი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდება და ამ გზით ხმელთაშუა ზღვაზე გასვლა წარმოადგენდა. საქართველო კი ამ მიზნის მისაღწევად რუსეთისთვის კარგი დამაკავშირებელი ხიდი და მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. გარდა ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, რუსეთის მიერ რეგიონში მართლმადიდებელი ქრისტიანების დამცველის როლის თავის თავზე აღებით, რუ-

სეთს სურდა, რომ ერთმორწმუნე ხალხებზე ბატონობა დაემყარებინა. საქართველოს დაპყრობაც ამ მიზნის ნაწილი იყო.

ამრიგად, XVIII საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენაში მყოფ, პოლიტიკურად სამეფო-სამთავროებად დაშლილ რეგიონს წარმოადგენდა. იმერეთის მეფე არ ცნობდა მთავრების დამოუკიდებლობას, რომელთაგან სიძლიერით გამოირჩეოდა სამეგრელოს სამთავრო და ქვეყნის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. დასავლეთ საქართველოში არსებულ ვითარებას ერთგვარად ტონს აძლევდა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი სიტუაცია. საგარეო საფრთხეების წინაშე დაუცველმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ემ, 1783 წლის 24 ივლისს, რუსეთთან ხელი მოეწერა გეორგიევსკის შეთანხმებას, რომლითაც ქვეყანა რუსეთის მფარველობის ქვეშ საშინაო საქმეებში რუსეთის ჩაურევლობის, მმართველობისა და სამეფო დინასტიის დაცვის პირობით შედიოდა, საგარეო ურთიერთობებსა და ომებში კი რუსეთის მოკავშირე ხდებოდა. გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ თბილისი, კავკასიაში მიმდინარე ოსმალეთ-რუსეთის ბრძოლაში, რუსეთისთვის სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პლაცდარმი გახდა. გარდა ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ხელშეკრულებით რუსეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კავკასიაში თავისი არეალის გაფართოებისა და გაძლიერების საქმეში. რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს მთლიანად დაპყრობა მხოლოდ დროის საკითხი იქნებოდა.

## § 2. დასავლეთ საქართველო 1800-იან წლებში.

### რუსული მმართველობის დასაწყისი

1801 წელი, როგორც რუსეთის პოლიტიკისთვის სამხრეთ კავკასიაში, ისე საქართველოს ისტორიისთვისაც, გარდამტეხი იყო. ოსმალებისგან განსხვავებით, რუსები საკმაოდ აქტიურები იყვნენ კავკასიაში. ამ დროიდან მოყოლებული მათ მოკლე ხანში მოახდინეს საქართველოს სხვა ტერიტორიების ანექსიაც. კერძოდ, იმერეთის სამეფოს, აგრეთვე სამეგრელოსა და გურიის სამთავროების. ქართველი ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა - რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის ხანგრძლივი და რთული ეპოქა (**ჩხატარაიშვილი, 1985: 5**).

თავისი ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფ რეგიონებში რუსეთმა მმართველობის ახალი სისტემა შემოიღო და ახალი მმართველები დანიშნა. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა რუსეთთან ქართლ-კახეთის მიერთების შემდეგ მალევე გამოგზავნა აქ გენერალი კნორინგი, რომელსაც დაევალა ახალი მმართველობის სისტემის დანერგვა. მისი სტატუსი, რომელიც ამავდროულად კავკასიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც გახლდათ, განისაზღვრა გენერალ-გუბერნატორობით (**Акты, 1868: 434**). იგი კავკასიის ყველა რეგიონის სამხედრო და ადმინისტრაციული კონტროლის უმაღლესი დონის უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი (**Çapraz, 2006: 68**). ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს კნორინგისთვის გამოგზავნილ ინსტრუქციაში იყო ის მითითებები, რომლებიც გენერალ-გუბერნატორს რეგიონში მმართველობის ახალი სტრუქტურების შექმნის დროს მხედველობაში უნდა მიეღო და გაეთვალისწინებინა:

ა) სამოქალაქო ადმინისტრაციული მმართველი ერთეულების შემდეგ სასულიერო სკოლის გახსნა;

ბ) ქართლ-კახეთსა და მის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ადრინდელი უფლებებისა და პრივილეგიების დაცვა;

გ) ადრე ქართლ-კახეთის სამეფო სასახლისთვის განკუთვნილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებით ჯარისთვის საჭირო ხორბლის, სურსათ-სანოვავის შეძენა ან ფულის გამოყოფა;

დ) ქვეყნის ყველა სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობების კვლევისა და შესწავლის გზით სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და შემოსავლის გაზრდა;

ე) ქართლ-კახეთის მთიან რეგიონებში მცხოვრები ადამიანების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა;

ვ) ადგილობრივი მოსახლეობისთვის ზიანის მიყენების გარეშე ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსი ჯარისკაცების საჭიროებისამებრ ბიუჯეტის ხარჯვა;

ზ) მეზობელ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეების რუსეთის მხარეზე გადმოყვანა;

თ) რეგიონში რეფორმების ისე გატარება, რომ ამან უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ხალხზე და საზოგადოებაში არ გამოიწვიოს შფოთვა (**Çapraz, 2006: 69**).

როგორც ამ ინსტრუქციიდან ჩანს, რუსეთი ყველა საჭირო ზომის მიღებას ცდილობდა, რათა თავიდან აეცილებინა შესაძლო უსიამოვნებები, რაც ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, მოჰყვებოდა რეგიონში.

რუსული მმართველობა თბილისში ძირითადად რუსებით დაკომპლექტდა. სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები რუსი მოხელეებისა და ოფიცრებისგან შეირჩნენ (**Gamakharia, Akhaladze, 2016: 30**), მათი მოადგილეები და მრჩევლები კი ქართველებისგან. მოხდა სასამართლო სისტემის ორ ნაწილად გაყოფა, სადაც სამართალწარმოება სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა. ერთ განყოფილებაში ადმინისტრაციული საქმეების წარმოება ქართული ადათებისა და ვახტანგ VI-ის (1703-1724) მიერ შემუშავებული კანონების მიხედვით ხორციელდებოდა, მეორე განყოფილებაში კი რუსეთის იმპერიაში მოქმედი კანონების შესაბამისად.

1803 წელს საქართველოში მთავარმართველად პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი იქნა გამოგზავნილი (**Bilge, 2005: 166; Forsyth, 2013: 309**). იგი წარმოშობით ქართველი, მარიამ დედოფლის ნათესავი გახლდათ. მან, იმ მიზნით, რომ არ ჰქონოდა ადგილი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლების გავლენას საზოგადოებაზე და ანტირუსული განწყობების კიდევ უფრო გაღვივებას, რუსეთის იმპერატორს მათი საქართველოდან გასახლება შესთავაზა (**Ataç, 1953: 117; Aydın, 2005: 65**).

აღმოსავლეთ საქართველოს ხელში ჩაგდების შემდეგ, რუსებმა მიმართულეა დასავლეთ საქართველოსკენ აიღეს. რუსეთი, ოსმალეთის ფაქტორის გათვალისწინე-

ბით, ნელ-ნელა მიიწევდა საქართველოს დასავლეთ რეგიონებისკენ და ცდილობდა რეგიონი ნებაყოფლობით და თანდათანობით მოექცია თავისი ძალაუფლების ქვეშ.

რუსებმა ისარგებლეს დასავლეთ საქართველოში არსებული კონფლიქტებით და დაიწყეს იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის შევიწროვება (**Gümüş, 2006: 106**). თავის მხრივ, სოლომონ II-ემ, რომელიც ცდილობდა სეპარატისტი სამთავროები თავისი ძალაუფლების ქვეშ მოექცია, გრიგოლ დადიანის ძალისმიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ლეჩხუმი აიღო (**დადიანი, 1962: 190**). გრიგოლ დადიანმა დახმარება სთხოვა აფხაზეთის მთავარ ქელემ აჰმედ ფაშას. ეს უკანასკნელი დათანხმდა ამ თხოვნის შესრულებას და 20 ათასი მეომრითა და 3 ქვემეხით ოდიშში საბრძოლო მზადყოფნაში იყო, თუმცა მეფესთან შებრძოლება მაინც ვერ გაბედა და უკან, აფხაზეთში დაიხია (**Акты, 1868: 577, №: 688; Tsurtsumia, 2018: 73-74**).

რუსული საფრთხისა და აგრესიის პირობებში სოლომონ II-ემ ვერ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და იძულებული გახდა მათ დამორჩილებოდა. 1804 წლის 25 აპრილს რუსეთსა და იმერეთის სამეფოს შორის გაფორმდა ელაზნაურის ხელშეკრულება, რომლითაც იმერეთი, გურიის სამთავროსთან ერთად, რუსეთის იმპერიის მმართველობაში შევიდა. სოლომონ II შეინარჩუნა ტახტი და საშინაო დამოუკიდებლობა (**ჩხატარაიშვილი, 1985: 20; Ataç, 1953: 125**). ელაზნაურის შეთანხმება მეფეს დროის მოგების საშუალებად მიაჩნდა. მეფეს კავშირი ჰქონდა ქართველ ბატონიშვილებთან, ხანებთან, ფაშებთან, სპარსეთის შაჰთან და ოსმალეთის კართან.

გურიის მთავარი ქაიხოსრო ბატონიშვილი უკმაყოფილო დარჩა იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებით. მან პ. ციცინაოვს წერილი გაუგზავნა, რის შემდეგ რუსეთის სამხედრო სარდლობამ გურიის საშინაო საქმეებში ქაიხოსროს მხარე დაიკავა (**ჩხატარაიშვილი, 1985: 21**). ამის გამო, ვახტანგ და ლევან ბატონიშვილები ცარიზმის ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლ სოლომონ II-ს დაუკავშირდნენ და მას ოსმალეთთან ურთიერთობაში უწყობდნენ ხელს.

1804 წლის 23 ოქტომბერს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი. მისი ადგილი ლევან V-ემ დაიკავა. რომელიც მანამდე მძევლად ჰყავდა აფხაზეთის მთავარ ქელემ ბეგ შარვაშიძეს, თუმცა რუსების ჩარევით მოხერხდა მისი გამოხსნა. ლევანის მცირეწლოვანების გამო, 1811 წლამდე ოდიშის სამთავროს 4 წევ-

რისაგან შემდგარი საბჭოს დახმარებით განაგებდა დედამისი, დედოფალი ნინო, გიორგი XII-ის ასული.

რუსეთი ხვდებოდა, რომ დასავლეთ საქართველოში მიღწეულ წარმატებების შენარჩუნებას მხოლოდ იქ ჯარის გამრავლების გზით შეძლებდა. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების გამო დარიალი ჩაკეტილი იყო, ამიტომაც აუცილებელი იყო ჯარის ზღვით გადასხმა. ზღვაზე კი ოსმალეთი ბატონობდა. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ყირიმიდან შავი ზღვით ფოთში ჯარებისა და სურსათ-სანოვანის შემოტანა, მაგრამ ამისათვის ოსმალეთის თანხმობა იყო საჭირო, რადგან ფოთის ციხე მათ ხელში იყო. მოლაპარაკებების შედეგად, რუსებმა ფოთით დროებით სარგებლობის უფლება მიიღეს, თუმცა ოსმალეთმა ახსნა-განმარტება მოითხოვა ჯარების გატარების გამო. რუსეთს აეკრძალა ფოთის დროებით გამოყენებაც კი. რუსეთის მთავრობისთვის ნათელი შეიქმნა, რომ ოსმალეთი ფოთის ნავმისადგომს არ დათმობდა, ამიტომ იმპერატორმა ციციანოვს ფოთის ხელში ჩაგდება უბრძანა. ციციანოვმა დასავლეთ საქართველოში საგანგებო მოხელე პეტრე ლიტვინოვი გააგზავნა. მას ევალებოდა:

თუ მოხერხდებოდა უხმაუროდ ფოთის ნავსადგურის ხელში ჩაგდება;

დადიანისა და სოლომონის მორიგება, სანამდე რუსეთის ჯარი შევიდოდა დასავლეთ საქართველოში

რუსეთის ჯარის ზღვით შესვლა სამეგრელოში.

მეფე-დადიანის საქმეებში ჩარევა, დადიანის გამლიერება, მეფის დასუსტება (დუმბაძე, 1957).

1804 წლის 4 ივნისს ლიტვინოვი ქუთაისში ჩავიდა და შეეცადა მეფე-მთავართა შორის შეთანხმების მიღწევას. საჭილაოში შეახვედრა მეფე და დადიანი, მათ მშვიდობიანობის დაცვის პირობა დადეს. სოლომონ მეფემ ციციანოვს სთხოვა მანამდე დადიანის მიერ დაკავებული ლეჩხუმი დაებრუნებინა, მაგრამ ციციანოვმა პირიქით მხარი დაუჭირა დადიანს.

ლიტვინოვს სურდა თავისი საგამგებლო ტერიტორიისთვის მიეერთებინა აფხაზეთი, რომელიც ოსმალეთის ვასალი იყო. პავლე ციციანოვი აცხადებდა, რომ თურქებმა ამ რეგიონში გაანადგურეს მოსახლეობა და თითქმის ამოძირკვეს ქრისტიანობაც (Акты, 1868: 340-341). რუსეთის ნამდვილი მიზანი შავი ზღვის სანაპირო

ზოლის სრულად ხელში ჩაგდება იყო. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის მთავარი ქელემ აჰმედ ბეგ შარვაშიძე გარკვეულწილად იხრებოდა რუსეთისკენ, მაგრამ როგორც ოსმალეთის ვასალი, ამ მიმართულებით ღია მოქმედებებს ერიდებოდა. ციციანოვმა, რომელმაც უწყობდა, რომ ქელემ ბეგის კავშირი ოსმალეთთან სუსტი იყო, დაავალა ლიტვინოვს ეწარმოებინა მთავართან მისი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ საიდუმლო მოლაპარაკებები. საპასუხოდ, ლიტვინოვმა აცნობა ციციანოვს, რომ აფხაზეთის მთავარზე ნდობა შეუძლებელი იყო (**Акты, 1868: 194; Tsurtsumia, 2018: 75-76**).

პარალელურად რუსეთი აგრძელებდა თავის დამპყრობლურ პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში. 1804 წელს რუსებმა ფოთსა და ანაკლიას შორის მდებარე სანაპირო დაიკავეს და რედუტ-კალეს მშენებლობა დაიწყეს. გულშენ აჰმედ ბეგმა, რომელიც ამ დროს სოხუმის დაცვას ხელმძღვანელობდა, ამ ამბის გაგებისთანავე მიიღო საჭირო ზომები (**COA, HAT., №: 7006**). პორტა რედუტ-კალეს ოსმალეთის სამტატო ციხედ თვლიდა და რუსთაგან მის დაკავებაზეც პასუხს ითხოვდა (**ხომერიკი, 2012: 164**). 1805 წლის 5 აგვისტოს რუსებმა აიღეს ანაკლიის ციხე-სიმაგრე, რომელსაც ოსმალეთის ქვეშევრდომი ქელემ აჰმედ ბეგი იცავდა. საფიქრებელია, რომ ამ მანევრით რუსულმა მხარემ თურქეთის პოზიცია მოსინჯა, მაგრამ ოსმალეთი ციხეებისა და ნავსადგურების დათმობას არ აპირებდა. ოსმალეთმა გააპროტესტა რუსეთის ეს ქმედება და მათ ანაკლიის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა (**COA, HAT., №: 7102**). იმპერატორის ბრძანებით ციციანოვმა აღნიშნული ციხეები ოსმალეთს დაუბრუნა.

აფხაზეთის მთავარი ქელემ აჰმედ ბეგი, ხედავდა რა დასავლეთ საქართველოში რუსეთის სულ უფრო ძლიერ დამპყრობლურ პოლიტიკას, ფიქრობდა, რომ ოსმალეთი ვერ მოახერხებდა მის შეჩერებას, ამიტომაც მან დაიწყო მოქმედება რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის განზრახვით (**კვაშილავა, 2018: 579**). ამ დროს ქელემ აჰმედ ბეგთან თავშესაფარებლად ჩამოვიდა ოსმალეთის ურჩი ტრაპიზონის მმართველი ჯანიქლი თაიარ ფაშა (**COA, HAT., №: 4046; Şanizade Tarihi: 51-52**), რომელმაც ქელემ აჰმედ ბეგს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლასთან დაკავშირებით თავისი სამსახური შესთავაზა (**Tsurtsumia, 2018:78**). ამის გამო ოსმალეთის ხელისუფლებასა და ქელემ აჰმედ ბეგს შორის დაძაბულობა წარმოიშვა. ოსმალეთმა ქელემ აჰმედ ბეგს

თიარ ფაშას სიკვდილით დასჯა უბრძანა (COA, HAT., №: 4067). მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქელემ აჰმედ ბეგმა ოსმალეთში წერილი გაგზავნა, რომლითაც პორტას აცნობა, რომ სიკვდილით დასჯის ბრძანების მოსვლამდე ფაშა რუსული სავაჭრო გემით ყირიმში გაემგზავრა. ქელემ აჰმედ ფაშა ამ წერილშივე პატიებას ითხოვდა და უჩიოდა ფაშას იმის გამო, რომ მან გააყალბა ბეჭედი და მთელი რიგი დოკუმენტები ოსმალეთის მთავრობას გაუგზავნა (COA, HAT., №: 4045-H-L-E. (27 ივლისი, 1806).

საბოლოოდ, 1806 წლის მაისში ქელემ აჰმედ ბეგი იძულებული გახდა დათანხმებულიყო აფხაზეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას (Tsurtsumia, 2018: 80). 1806 წლის ივნისში აფხაზეთის მთავარმა ეს გადაწყვეტილება ზუფუში, მთავრის სასახლის წინ გამართულ სახალხო კრებაზე გამოაცხადა, კრებამ კი მხარი არ დაუჭირა (Акты, 1868: 191-192, 574). ქელემ ბეგის ამ დაუმორჩილებლობის გამო ოსმალეთმა აფხაზეთის დასალაშქრად მზადება დაიწყო. შესაბამისი ბრძანება მიიღეს ერზრუმისა და ახალციხის ფაშებმა. ხმელეთით მიმავალ ჯარს ზღვიდან 11 სამხედრო გემი აცილებდა. ქელემ აჰმედ ბეგს ჩამოერთვა აფხაზეთის მმართველობა და მის ვაჟს, ასლანს, გადაეცა. ქელემ ბეგმა დახმარება რუსეთისგან ითხოვა, მაგრამ 1808 წლის 2 მაისს შვილმა - ასლან ბეგმა გამოასალმა სიცოცხლეს (დადიანი, 1962: 197; Акты, III, 1869:198-199). ამაში, როგორც ჩანს, ოსმალეთის ხელიც ერია. 1808 წელს ქელემ აჰმედ ბეგის მეორე ვაჟი - სეფერ ალი ბეგი ძმის დასალაშქრად დაიძრა. თუმცა, დამარცხდა და დახმარებისთვის მანაც რუსეთს მიმართა, რომელიც შექმნილ ვითარებას ყურადღებით აკვირდებოდა და ფრთხილად მოქმედებდა. თუ ოსმალეთის ჯარი სამეგრელოში შევიდოდა, რუსეთი მას ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევდა. საბოლოოდ, ერზრუმისა და ახალციხის ფაშებმა ვერ გაბედეს რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი სამეგრელოს გავლით სოხუმში შესვლა. 1810 წლის 10 ივნისს რუსებმა აიღეს სოხუმი და აფხაზეთი რუსეთის ადმინისტრაციულ ერთეულად გამოაცხადეს (Bilge, 2005: 211). ასლან ბეგმა თავს გაქცევით უშველა. ამგვარად, აფხაზეთმა ოსმალეთთან კავშირი გაწყვიტა და რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. საფარ ბეგმა (გიორგიმ) აფხაზეთის მთავრის ტახტი მიიღო.



რუსეთის მმართველები ძალიან დიდ ინტერესს იჩენდნენ, ასევე, სვანეთის სამთავროსადმი. დასავლეთ კავკასიის მთიელთა დაპყრობის საქმეში სვანეთს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ კიდევ საქართველოს მთავარმართებელმა ციციანოვმა სცადა, რომ სამეგრელოს მთავრის მეშვეობით კავშირი დაემყარებინა დადემშქელიანთან და სვანეთიც თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. დადემშქელიანები რუსეთთან ურთიერთობით ცდილობდნენ, რომ საკუთარი ფეოდალური ინტერესები დაეცვათ, მეტოქეები დაემარცხებინათ, ხელისუფლება შეენარჩუნებინათ და გაემლიერებინათ. სვანეთისადმი რუსეთის მთავრობის მიზნების განხორციელებას ხელი იქ გაჩაღებულმა შინაფეოდალურმა ბრძოლამ შეუწყო (დუმბაძე, 1957: 252-258).

ამ პერიოდში რუსეთი ვერ ახერხებდა, რომ სვანეთისადმი სათანადო ყურადღება დაეთმო. ამის მიზეზი საქართველოსა და კავკასიაში განვითარებული მოვლენები იყო (რუსეთ-ოსმალეთის ომი, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი სამთავროს რუსეთის მიერ ანექსირება). თუმცა ამ მდგომარეობამ მხოლოდ დროებით შეაჩერა რუსეთის მიერ სვანეთის დაპყრობა.

რუსეთის მიერ რეგიონში განხორციელებული ქმედებები ზღუდავდა იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ძალაუფლებას და მისთვის საფრთხის შემცველი იყო, ამიტომ მეფემ რუსეთის წინააღმდეგ დახმარების ძიება დაიწყო. რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლისას იმერელთა ნაწილი, რუსეთის წინააღმდეგ განწყობილი, მიიჩნევდა, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ოსმალეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა. რუსეთის მმართველობის პირველ ეტაპზე სოლომონ II-ემ ოსმალეთის იმპერიასთან კავშირი სცადა, რამაც რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის დამაბზა გამოიწვია. კავკასიის მთავარმართებელ გენერალ-გუბერნატორ გუდოვიჩს ებრძანა სოლომონ II რუსეთში გაესახლებინა ოჯახთან ერთად. ამიტომაც მეფემ დატოვა დედაქალაქი და ვარციხეში გადავიდა (Gümüş, 2006: 106). აქ ყოფნისას საქართველოში რუსეთის ჯარების სარდლის წარმომადგენლები არაერთხელ შეხვდნენ მას. ერთ-ერთი შეხვედრისას, მას ქუთაისის სასახლეში დაბრუნება და იქ ცხოვრება შესთავაზეს. “როცა რუსი ჯარისკაცები იქ არიან, არასოდეს”, - ასეთი იყო მეფის პასუხი, რაც უმნიშვნელოვანესი იყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პროცესში (Gümüş, 2006: 108).

1806 წლიდან სოლომონ II-ემ დაიწყო ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა რეგიონში რუსეთის წინსვლის შეჩერებისთვის ძალა არ ეყო (**Baddeley, 1995: 96**). ამავე წელს რუსების ხელში გადავიდა საქართველოს შავიზღვისპირეთში, ფოთსა და ანაკლიას შორის მოქცეული სანაპირო (**COA, HAT., №: 41466**), დღის წესრიგში დადგა რეგიონში არსებული ქართული სამთავროებისთვის ოსმალეთის მხრიდან ლოჯისტიკური მხარდაჭერის გაზრდის საკითხი. ოსმალეთმა რეგიონში ჯარისკაცები, საბრძოლო მასალა და ქვემეხები გაგზავნა (**COA, HAT., №: 4044**). იმავე წელს სოლომონ II ოსმალებთან ერთად ჩაება რუსების წინააღმდეგ ომში, რათა გამოეყენებინა შექმნილი ვითარება თავისი ადრინდელი მდგომარეობის დაბრუნებისთვის. თუმცა ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. 1807 წელს რუსები ბრძოლებს განაგრძობდნენ ფოთის, ყარსის და ახალციხის მიმართულებით, მაგრამ საბოლოო უპირატესობას ვერ მიაღწიეს, რამეთუ ახალქალაქთან გუდოვიჩის მიერ განცდილი დამარცხების გამო, იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ (**Baddeley, 1995: 96**).

რუსეთმა თავის ქვეშევრდომობაში შესულ იმერეთის სამეფოსა და გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში მმართველებად ადგილობრივი მეფე-მთავრები დატოვა, იმედოვნებდა რა მათი მეშვეობით სასურველი შედეგის მიღებას. მეფე და მთავრები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ კავკასიაში რუსეთის არმიის მთავარსარდალს. თუმცა, იმერეთის მეფე და გურიის მთავარი დიდხანს ვერ დარჩნენ ხელისუფლებაში, რადგან ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას.

სოლომონ II რუსეთთან ბრძოლაში დამარცხდა და იძულებული გახდა დამორჩილებულიყო. თავისი მმართველობის ბოლოს მან რუსეთის არმიის წინააღმდეგ 5 ათასამდე მეომარი გამოიყვანა, თუმცა სამეგრელოსა და გურიის დიდგვაროვნების მიერ რუსებისთვის დახმარების გაწევამ, ხალხის მთებში გაქცევამ, ახალციხიდან დახმარების არ მოსვლამ და ყველაფერი ამის შესახებ რუსების ინფორმირებულობამ, სოლომონ II-ის მარცხი გამოიწვია. ამის შემდეგ საქართველოში მისი დარჩენა შეუძლებელი იყო (**Gümüş, 2006: 107**). მიუხედავად ამისა, სოლომონ II არ ფიქრობდა ბრძოლისთვის თავის დანებებას. ერთ დილას, ისე რომ ამის შესახებ რუსებმა არაფერი იცოდნენ, ვარციხიდან ბაღდადში გადავიდა და იქ 2 ათასი მეომარი შეკრიბა. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ახალციხისკენ გზა დაკეტილია, იქაურ დიდგვაროვნებს

ხალხი გაუგზავნა დახმარების თხოვნით. გაგზავნილებმა ახალციხემდე მიაღწიეს, თუმცა რეგიონში რუსი შენაერთების ყოფნის გამო მეფესთან ველარ დაბრუნდნენ. სოლომონი II იძულებული შეიქმნა რუსებს ჩაბარებოდა. გენერალმა ტორმასოვმა მეფე თბილისში გადაიყვანა, საიდანაც რუსეთს უნდა გაეგზავნათ. თუმცა, 1810 წლის 10 მაისს ის რუსებს ხელიდან დაუსხლტა და ახალციხეში გადავიდა. მას 400 კაციანი ამალა ახლდა, რომელთა შორის იყვნენ მთავრები და დიდგვაროვნები (ვაჭრიძე, 1999: 87; Gümüç, 2006: 108).

ახალციხეში ოსმალთა მმართველები და მუსლიმი ქართველები სოლომონ II-სა და მის თანხმლებ პირებს ძალიან კარგად შეხვდნენ. სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი მეფეს დაპირდა, რომ დაეხმარებოდა იმერეთიდან რუსების განდევნასა და სამშობლოში დაბრუნებისთვის ბრძოლაში. სოლომონ II-ემ და მისი ამალის წარმომადგენლებმა დაწერეს წერილი და სტამბოლს გაგზავნეს. მასში ნათქვამი იყო, რომ ისინი ძველ-თაგანვე ოსმალეთის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდნენ, იმერეთის მიწები ოსმალეთს ეკუთვნოდა, ქართველი ხალხი აქამდე ოსმალეთის წყალობით უსაფრთხოდ ცხოვრობდა, თუმცა რამდენიმე წელია, რაც სხვადასხვა თაღლითობებით რუსებმა დაიპყრეს საქართველო, რამაც ქართველი ხალხის სიმშვიდე დაარღვია (ზარამიძე, 2005; COA, HAT., №: 44615). სულთან მაჰმუდ II-ეს მიერ ქართველი მეფისადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ ოსმალეთი რუსეთისგან გათავისუფლებისთვის საჭირო დახმარებას აღმოუჩენდა (Şanizade Tarihi, 1873: 28-30).

საქართველოს მთლიანად კონტროლქვეშ აყვანის მიზნით, სამეფოებისა და სამთავროების გაუქმების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობაც გააუქმა. 1811 წელს ქართული ეკლესია რუსეთის სინოდს დაექვემდებარა, მის მფლობელობაში მყოფი მიწებისა და სხვა ქონების ახალი მეპატრონე რუსეთის იმპერია გახდა. რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით ლიტურგიის ენად რუსული განისაზღვრა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ქართული პატრიოტული ძალების გაერთიანება მეფის რუსეთის წინააღმდეგ, ცარიზმმა ხელი შეუწყო ქართველი პატრიოტების სამშობლოდან გაშვებას სხვადასხვა გზით. მათ ადგილას კი ჩამოყავდა და დასახლებაში ხელს უწყობდა რუსებსა და სომხებს. ეს უკანასკნელნი რუსეთის

მიმართ ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ასეთი ქმედებები ხელს უწყობდა ურთიერთობების გამწვავებას ქართველ ხალხსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის. როგორც ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი და შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია წერს, ქართველებს არ უნდოდათ მექრთამე რუსი ჩინოვნიკები. მათი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ რუსეთს ისინი გარე თავდასხმებისგან დაეცვა (**ჟორდანია, 1990: 52; Gunava, 2007:3**).

სოლომონ II-ემ გარკვეული დრო ახალციხეში დაჰყო. შემდეგ ტრაპიზონში გადავიდა და იქიდან განაგრძობდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას. რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში იყვნენ ის ქართველებიც, რომლებიც საქართველოდან ოსმალეთში რუსეთის ჩაგვრას გამოექცნენ; მათი რიცხვი არც ისე ცოტა იყო (**Ahmed Cevdet Paşa, C. IX: 223**).

ამასობაში მეფის დესპანები ქაიხოსრო და დავითი სტამბოლში გაემგზავრნენ, ფადიშაჰს შეხვდნენ და მისგან დახმარება ითხოვეს. მათ ფადიშაჰს თავიანთი ქვეშევრდომობა, 4-5 ათასი ოსმალთა მეომრის შენახვა და ყოველ წუთს მათთან ერთად საბრძოლველად მზადყოფნა დაუდასტურეს, “გულწრფელად გავწირავთ თავს და დავღვრით სისხლს“ - განუცხადეს ემისრებმა ფადიშაჰს (**COA, HAT., №: 44599-Ç**).

სტამბოლში სოლომონ მეფის იმერეთში დაბრუნების გეგმაც იქნა შემუშავებული. მის მიხედვით, ჯანიკიდან 20 ათასი, ტრაპიზონიდან, ყარსიდან და ერზრუმიდან - 10 ათასი ჯარისკაცი და საკმაო საბრძოლო მასალა იქნებოდა გამოგზავნილი, გურიისა და სამეგრელოს დიდგვაროვნებისგან დახმარება იქნებოდა ნათხოვნი და ქართველები რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებებს დაიწყებდნენ. სოლომონ II-ის ემისრებმა პატრიარქისგან იმ ქართველი დიდგვაროვნების ეკლესიიდან მოკვეთა ითხოვეს, რომლებიც რუსეთზე იყვნენ ორიენტირებულნი (**COA, HAT., №: 44594**).

1811 წლის აპრილში მეფის წარგზავნილები სტამბოლიდან დაბრუნდნენ. მათ სოლომონ II-ეს ჩამოუტანეს ფადიშაჰის ფირმანი და მის მიერ ბოძებული ხალათი. ხალათთან ერთად სოლომონ II-ეს იმერეთის მეფობის სიგელიც გადაეცა. მას ასევე გაეგზავნა 5 ათასი ყურუში სხვადასხვა ხარჯებისთვის. ერზრუმის მმართველ ემინ ფაშას უშუალოდ დაევალა სოლომონისთვის დახმარების გაწევა საქართველოდან

რუსეთის გაყვანის საქმეში. ემინ ფაშას დახმარება კი ჩილდირის მმართველ შერიფ ფაშას ებრძანა. აჰმედ ჯევდეთ ფაშა შექმნილ ვითარებაში რუსეთის წინააღმდეგ ქართველებთან ერთიანობას ძალიან ხელსაყრელად თვლიდა (**Ahmet Cevdet Paşa, C. IX: 318-224**).

რუსეთი სოლომონ II-ეს დასჯას და რუსეთისთვის გადაცემა მოითხოვა. ტრაპიზონის მმართველმა, ამცნო რა ყოველივე სტამბოლს, მოთხოვნა უარყო და შეახსენა რუსებს, რომ ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი ყუბანზე გადიოდა (**COA, HAT., №: 44615 C**).

ბუქარესტის შეთანხმებაზე მოლაპარაკებებისას ოსმალეთის წარმომადგენლებმა დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს, რომ არ ყოფილიყო აღიარებული რუსეთის მიერ საქართველოს მიერთება (**İsmail, 1982: 81**). გაჩნდა საშიშროება, რომ საქართველო რუსეთის საზღვრებში რჩებოდა (**Gümüş, 2006: 110**). ამის საპირისპიროდ და რეგიონზე საკუთარი გავლენის უზრუნველსაყოფად ოსმალებმა ქართველებს მატერიალური დახმარების გაწევა აღუთქვეს. სულთან მაჰმუდ II-ის ბრძანებით, სოლომონ მეფე ერზურუმში უნდა დარჩენილიყო და მას სათანადოდ კარგად მოქცეოდნენ, აღმოეჩინათ მისთვის ყოველგვარი დახმარება (**COA, HAT., №: 41459**).

ბუქარესტის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 1813 წელს სტამბოლში ჩასულმა მეფის წარგზავნილმა ისევ ითხოვა მხარდაჭერა იმერეთის რუსებისგან გათავისუფლების უზრუნველყოფისათვის. ადრე ეს საკითხი ერზურუმის მმართველ ემინ ფაშას ებარა, თუმცა წარუმატებლობის გამო მას ეს მოვალეობა ჩამოერთვა და მისი ადგილი, ამ მიმართებით, აჰმედ ფაშამ დაიკავა. ამ პერიოდში რეგიონში წარმოქმნილი ვითარება ოსმალეთისთვის იმედის მომცემი არ იყო. რუსეთმა მხოლოდ იმერეთი კი არა, ანაკლიასა და ქემჰალის შემოგარენიც დაიპყრო, რამდენიმე ახალი ციხე-სიმაგრეც ააშენა და იმერეთში გზებიც გაიყვანა, სადაც რამდენიმე ეტლს თავისუფლად შეეძლო ერთდროულად გავლა (**COA, HAT., №: 16690, 44518 A**). ამან ქართველ პატრიოტებში დიდი იმედგაცრუება გამოიწვია.

საყურადღებოა რუსებთან ბრძოლაში მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი, დამწუხრებული და სასოწარკვეთილი გურიის მთავრის მიერ ელჩის მეშვეობით გაკეთებული გზავნილი: „თუ დამეხმარებით და რუსს საქართველოდან გააძევებთ, ფა-

დიშაჰს ერთგულად ვემსახურები. თუ რუსი არ წავა, არცერთ თქვენს შემოთავაზებას არ განვიხილავ და ვერც ოსმალეთის სამსახურში ვიქნები. როცა რუსი ჩვენს ტერიტორიაზეა, არ შემიძლია ვემსახურო სახელმწიფოს“ (COA, HAT., №: 44517-G). 1814 წელს გაგზავნილ წერილებსა და მიმართვებში ქართველები კვლავ წერდნენ, რომ ისინი რუსების შეტევების გამო მთებში იხიზნებიან, მზად არიან იბრძოლონ ბოლომდე (COA, HAT., №: 44615, 44517 E) და ითხოვდნენ დახმარებას (Baddeley, 1995: 109).

ამ პერიოდისთვის გურია, სამეგრელო, იმერეთი და მთლიანად მთელი საქართველო, რუსული მმართველობის დამყარების გამო, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ტრაპიზონში მყოფი ქართველი დიდგვაროვნები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თავიანთ კაცებს გზავნიდნენ და იქ მომხდარ ბოლო მოვლენებსა და არსებულ მდგომარეობას თვალს ადევნებდნენ, ამზადებდნენ გეგმას იქაურ მმართველებთან ერთად მოქმედებების დაწყებისთვის. 1815 წელს საქართველოში წარგზავნილებმა შემდეგი შინაარსის დანაბარები მოიტანეს ტრაპიზონში მყოფი ქართველი დიდგვაროვნებისთვის: „თუ თქვენ ოსმალეთის იმპერიისგან დახმარებას მიიღებთ, ამაზე ხელსაყრელი და კარგი სხვა რა იქნება. ჩვენც ფადიშაჰის სამსახურში ვართ და მზად ვართ შურისძიებისთვის“. ამ გზავნილის მიღების შემდეგ ტრაპიზონში მყოფმა ქართველმა დიდგვაროვნებმა ფადიშაჰს აცნობეს, რომ აქ ფუჭად ლოდინს აზრი არ ჰქონდა, მათ ომისთვის მზადება და სამშობლოში დაბრუნება სურდათ. თუ ფადიშაჰი მათ სამხედრო ძალას დაახმარდა, რუსებს შეებრძოლებოდნენ და საქართველოდან გაყრიდნენ. თუ ეს დახმარება არ იქნებოდა, მაშინ ისინი ფადიშაჰისგან საკუთარი ძალებით ბრძოლისთვის ნებართვას ითხოვდნენ (COA, HAT., №: 44517 E, F, G.).

ოსმალებმა, რომლებიც რუსეთთან უფრო ფრთხილი ურთიერთობების დამყარებას ცდილობდნენ, გარკვეული დროის შემდეგ, არამართებულად მიიჩნიეს სოლომონ II-ს დახმარება საქართველოში დაბრუნების მიზნით. რუსეთის ელჩი იტალინსკი სტამბოლიდან გენერალ რტიშჩევს 1814 წლის 2 მარტის წერილით ამცნობდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დამაბულ ბრძოლაში ქართველ მეფეს ოსმალეთის მხარდაჭერა აღარ ექნება (ჩხატარაიშვილი, 1985: 14). ირკვევა, რომ 1815 წლის იანვრის დასაწყისში ქართველ მეფეს ოსმალეთში ჩასული 400 თანმხლები პირისგან მხოლოდ 25 ადამიანი

შერჩა. დახმარების შეწყვეტის გამო, ისინი იძულებულნი იყვნენ გაეყიდათ ყველაფერი (Gümüş, 2006: 112).

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მეფე სოლომონმა მეტწილად დაკარგა სამშობლოში დაბრუნების და ტახტის დაკავების იმედი. ცნობილი ხდება, რომ ის ფარულად ჩავიდა საქართველოში, შეხვდა თავის ძველ მოკავშირეებს, თუმცა ბრძოლის გაგრძელებისთვის კონკრეტული დახმარება ვერ მიიღო და ისევ ტრაპიზონში დაბრუნდა. ამის შემდეგ ის ცდილობდა ყველასგან და ყველაფრისგან თავი შორს დაეჭირა. მას ხშირად ხედავდნენ ღრმად ჩაფიქრებულს და განმარტოებულს (Gümüş, 2006: 112). ცხადია, მას კარგად ესმოდა, რომ ბუქარესტის ხელშეკრულებამ ოსმალეთის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მხარდაჭერა ძნელი გახადა. პარალელურად, ტრაპიზონის მმართველი სულეიმან ფაშა ძალისხმევას არ იშურებდა, რომ არ მომხდარიყო სოლომონ II-ის გადახრა რუსებისკენ. სწორედ სულეიმან ფაშაა ის პიროვნება, რომელმაც თბილისიდან მოსულ რუსი გენერლის წერილს, სადაც სოლომონ მეფის რუსეთისადმი მორჩილების შესახებაა საუბარი, უარყოფითი პასუხი გასცა. მან სოლომონ მეფისთვის, მისი ერთგულების გამო, სტამბოლისგან, ჯილდოს სახით, ხელფასის გაზრდას ითხოვა. ფაშას თქმით, სოლომონ II არ იყო ის ადამიანი, რომელიც მატერიალური კეთილდღეობის გამო რუსეთს დამორჩილდებოდა. ამასთან, ქართველ მეფეს ოსმალეთის დახმარება ესაჭიროება და ამ დახმარებით სურდა თავისი ტახტის დაბრუნება (COA, HAT., №: 16690).

სოლომონ II, დარწმუნებული იყო, რომ რუსეთთან შეთანხმება შეუძლებელია, ამიტომ ტახტის დაბრუნებისთვის ბრძოლაში მხარდაჭერას ოსმალეთის გარეთაც ეძებდა. ჯერ კიდევ 1801 წელს, როცა რუსებისგან მომდინარე საფრთხე რეალური გახდა, მან დახმარება ნაპოლეონისგან ითხოვა, თუმცა უშედეგოდ. 1811 წელს საფრანგეთის იმპერატორს დახმარებისათვის ისევ მან მიმართა (Berkok, 1958: 432). ტრაპიზონში საფრანგეთის კონსული ნაპოლეონის რუსების წინააღმდეგ ბრძოლას ქართველებისთვის სასარგებლო მდგომარეობად მიიჩნევდა და სოლომონ მეფესთან ამ საკითხზე თანამშრომლობას დადებითად უყურებდა. ამ ხელსაყრელი გარემოების მიუხედავად, ურთიერთთანამშრომლობის განვითარება ვერ მოხერხდა. შედეგად, მხარდაჭერის ძიებაც უშედეგოდ დამთავრდა (Gümüş, 2006: 113).

1815 წლის 7 თებერვალს, 42 წლის ასაკში, სოლომონ II გარდაიცვალა ტრაპიზონში (დუმბაძე, 1957: 228; რეხვიაშვილი, 1982: 303) მისი სიკვდილით დასრულდა ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობა საქართველოში.

სოლომონ II-ის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ქართველების მხარდაჭერას განაგრძობდა. სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება შეფასდეს შემდგომ წლებში არსებული მიმოწერები და სტამბოლში დახმარების მოსაპოვებლად ჩასული ქართველი დიდგვაროვნებისთვის ხელფასის დანიშვნა. ოსმალებს იმერეთის სამეფო დინასტიის გაგრძელება და იმერეთის ტახტზე ამ დინასტიის წარმომადგენლის აყვანა სურდათ (COA, HAT., №:44517-A; 44599-B).

ოსმალები იმერეთის ტახტის მემკვიდრის შერჩევაში არ ჩარეულან, რადგან სურდათ, რომ მომავალი მეფის კანდიდატურა მთელი დასავლეთ საქართველოსთვის მისაღები ყოფილიყო. 1815 წლის 14 სექტემბერის წერილში, რომელიც ტრაპიზონის მმართველმა სულეიმან ფაშამ დიდ-ვეზირს გაუგზავნა, აღნიშნულია, რომ იმერეთი და საქართველო ოსმალეთის საკუთრებაა. მან იმერეთის მეფის დანიშვნასთან დაკავშირებით სულთნის ხალათისა და ბრძანების გამოგზავნა ითხოვა, სადაც ქართველების მიერ შერჩეული მეფის სახელის ჩასაწერი ადგილი ღიად იქნებოდა დატოვებული (COA, HAT., №: 44517 A). ამ დროს კი ოსმალეთის მომხრეებმა, მათ შორის მამია გურიელმაც, რუსების ფაქტორის გათვალისწინებით, ვერ გაბედეს გამოსვლა და სოლომონ II-ის მემკვიდრედ თავის გამოცხადება (COA, HAT., №: 44517), რაც რეგიონში რუსების 10 000-ზე მეტი მეომრის ყოლით იყო განპირობებული.

შექმნილი ვითარების და იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ძლიერი რუსული ჯარი იდგა, ქართველი პატრიოტები ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ და ოსმალეთიც განაგრძობდა მათთვის დახმარების დაპირებას. 1819-20 წლებში იმერეთსა და გურიაში რუსების წინააღმდეგ გამოსვლებით აღინიშნა. ქართველების გამოსვლები რუსების მხრიდან ძალით იქნა ჩახშობილი (ხომერიკი, 2012; Tsurtsumia, 2020). რუსებთან წარმოებული ბრძოლების გამო რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველები, ოსმალეთში ხან თავშესაფარს ეძებდნენ, ხან კიდევ მატერიალური და სამხედრო დახმარების თხოვნით სტამბოლსა და ტრაპიზონში ჩადიოდნენ (Gümüş, 2006: 114).



1819 წელს ქართველი დიდგვაროვნების მიერ ოსმალებისთვის გაგზავნილი წერილიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ივსება ქართველების მოთმინების ფიალა რუსების წინააღმდეგ. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად ისინი ოსმალებს დახმარებას სთხოვენ. წერილში შემდეგი რამ არის ნათქვამი: „10 წელია, რაც რუსეთი ჩვენს სამშობლოში შემოვიდა. მან ჩვენი პატივსაცემი ადამიანები მოატყუა. შემდეგ მძიმე გადასახადები და ბეგარა დაგვაკისრა. ძალადობრივი მმართველობის გატარება დაიწყო. მოხუცებისა და შვიდი წლის ბავშვების გარდა, ყველანი რუსეთში გაამგზავრა. ეს მაშინ, როდესაც საქართველო წესიერი, უსაფრთხო ქვეყანა იყო. მივიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება: ან გავუშვებთ რუსებს ჩვენი სამშობლოდან, ან ამ ქვეყანას სრულიად გავანადგურებთ. ჩვენ ოსმალეთის ქვეშევრდომები ვართ. ოსმალეთის სახელმწიფოს სწორედ ის შეეფერება, რომ რუსეთს ჩვენი თავი ფეხქვეშ არ გაათელვინოს. ჩვენი თავშესაფარი თქვენთანაა. თუ თქვენ ვერ გვიშველით, ყველანი თავს დავიხოცავთ. როცა ოსმალეთის ქვეშ ჩვენი ქვეშევრდომობა ჯანსაღია, ჩვენ დავამტკიცებთ, რომ მტერს არ დავნებდებით“ (Gümüş, 1993: 43-46). სამწუხაროდ, ერთი მხრივ, ოსმალეთსა და რუსეთს შორის მიმდინარე ომისა და, მეორე მხრივ, შიდა არეულობების გამო, ქართველებისთვის სათანადო დახმარების აღმოჩენა ვერ ხერხდებოდა.

დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჰეგემონიის დამყარება რუსეთის სტრატეგიული მიზანს წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო, რომ რუსეთს დასავლეთ საქართველოს მთავარი პოლიტიკური ერთეული - იმერეთის სამეფო ხელში ჩაეგდო და მეფე სოლომონი ტახტიდან ჩამოეგდო. ამასთან, დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებიც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილები გამხდარიყო.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგები უმძიმესი იყო საქართველოსთვის, რომელმაც დაკარგა დამოუკიდებლობა. თავის მხრივ ოსმალეთიც მძიმედ განიცდიდა რეგიონში გავლენის დაკარგვას და ქართველები-სადმი მხარდაჭერით, ხშირ შემთხვევაში, მხარდაჭერის დაპირებით, ცდილობდა შეეჩერებინა რუსეთი, რომელმაც 1801 წელს ქართლ-კახეთის დაპყრობით დაიწყო და 1810 წელს დასავლეთ საქართველოში თავისი ბატონობის დამყარებით გააგრძელა ამიერკავკასიაში დამკვიდრების პროცესი.

1801 წლიდან მოყოლებული რუსეთმა თავისი კონტროლის ქვეშ მყოფ რეგიონებში მმართველობის ახალი სისტემის შექმნა, რომელიც უცხო და მიუღებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის. აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, ეს პროცესი მტკივნეულად წარიმართა დასავლეთ საქართველოშიც. ამის ნათელი მაგალითია იმერთა მეფე სოლომონ II და მისი თავდაუზოგავი ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ტახტის დაკარგვის შემდეგ მან ოსმალთა დახმარებით სცადა რეგიონიდან რუსების განდევნა და ქვეყანაში დიდებით დაბრუნება, ძალისხმევასაც არ იშურებდა. თუმცა მისი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა. ოსმალეთმა ვერ შეძლო რუსეთის წინააღმდეგ უპირატესობის მოპოვება და დასავლეთ საქართველოზე გავლენის დაკარგვის შემდგომ თანდათან დაკარგა გავლენა სამხრეთ კავკასიაზეც.

## თავი II. რუსეთ-ოსმალეთის ომები და დასავლეთ საქართველო

### XIX საუკუნის I მესამედში

#### § 1. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების ზოგადი დახასიათება

XVIII-XIX საუკუნეების მანძილზე რუსეთ-ოსმალეთს არაერთი სამხედრო დაპირისპირება ჰქონდათ. ორი იმპერიის კონფლიქტის ძირითადი მიზეზი გეოპოლიტიკური მისწრაფებები და სავაჭრო-ეკონომიკური კონკურენცია იყო. ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობებს საფუძველი XV საუკუნეში ჩაეყარა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, თანდათან ვითარდება მათ შორის ორმხრივი სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობები (Kurat, 1987: 118; İnalçık, 1999: 25).

სულთან მეჰმედ II-მ, კონსტანტინოპოლის აღებისა და ბოსფორის სრუტეზე კონტროლის დამყარების შემდეგ, ყირიმის პორტები აიღო, რაც მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისთვის აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებისთვის. ოსმალეთის იმპერია რუსეთის მეზობელი სახელმწიფო გახდა. ის ისწრაფოდა, რომ სრული კონტროლი დაემყარებინა შავ ზღვაზე. ამ მიზნით, სულთანმა 1461 წელს ამასრა, სინოპი და ტრაპიზონი დაიპყრო (İnalçık, 1944: 195).

XVI საუკუნიდან ოსმალეთმა მიმართულა ხმელთაშუა ზღვისა და ცენტრალური ევროპისკენ აიღო, რასაც რუსეთი სახიფათო ფაქტორად არ მიიჩნევდა, ამიტომაც მის მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენდა (Köse, 2006: 1).

1552 წელს რუსეთმა ყაზანის, 1556 წელს კი ასტრახანის სახანო დაიმორჩილა (Kocabaş, 1989: 30). სამხრეთისკენ სვლით რუსეთმა შავი ზღვის აუზში ოსმალეთის გავლენასა და ბატონობას, აგრეთვე ყირიმის სახანოს შეუქმნა საფრთხე. ეს უკანასკნელი ოსმალეთის სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული, თუმცა შიდა საქმეებს დამოუკიდებლად წყვეტდა (Kuzucu, 2013: 26). 1569 წელს ოსმალეთი შეეცადა, რომ შავ ზღვაში ჩამავალ მდინარე დონსა და კასპიის ზღვაში ჩამავალ მდინარე ვოლგას შორის არხი გაეჭრა, რათა ამით, ერთის მხრივ, წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის წინსვლისთვის კავკასიაში და მეორე მხრივ, ოსმალეთის საბრძოლო ძალებისთვის სურსათისა და საბრძოლო მასალების მიწოდების უფრო ხელსაყრელი სატრანსპორტო გზა გაეხსნა

(Danışmend, 1972: 283). ოსმალეთის ეს სურვილი და მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, რადგანაც ყირიმის სახანოსგან საკმარისი დახმარება და მხარდაჭერა ვერ მიიღო (Akşin, 2005: 128). ეს წარუმატებლობა გახდა იმის მიზეზი, რომ რუსები მათ მიერ დაპყრობილ ასტრახანში საფუძვლიანად დამკვიდრდნენ და ნელ-ნელა კავკასიაში დომინირება დაიწყეს. ამ პერიოდში რუსეთსა და ოსმალეთს შორის სერიოზული ინციდენტები არ მომხდარა, თუმცა რუსეთი ამიერკავკასიაში თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას განაგრძობდა. ამ დროისთვის კავკასიის ხალხები დაყოფილ-დაქუცმაცებულნი იყვნენ. რუსეთს მის წინააღმდეგ მათი გაერთიანების შესაძლებლობა აშფოთებდნენ ამიტომაც ცდილობდა გაეთიშა ისინი და მათ შორის გაემწვავებინა უთანხმოება. ქართულ სამეფოებთან კი, ქრისტიანული რელიგიის ერთიანობის გამოყენებით, დაახლოებასა და მათ თავისი მფარველობის ქვეშ მოქცევას ცდილობდა (Cabağ, 1967: 16).

რუსეთის იმპერატორი პეტრე I (1682-1725) მიხვდა, რომ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის დიდი პორტები და თბილ (სამხრეთ) ზღვებზე გასვლა იყო საჭირო (Tellioglu, 2015: 197). იმასაც აცნობიერებდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად შავი ზღვისა და სრუტეების აბსოლუტური მმართველის, ოსმალეთის მფლობელობაში არსებული გეოგრაფიული არეალის ხელში ჩაგდება იყო საჭირო (Mustafazade, 2002: 1559). ამ დროიდან მოყოლებული, ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობები დაპირისპირების ფაზაში შევიდა (Kocabaş, 1989: 63).

პეტრე I-ს სურდა, რომ ირანისა და შუა აზიის გავლით ინდოეთამდე მიეღწია, ვაჭრობის განვითარებისთვის ბამბა, აბრეშუმი და სხვა მსგავსი ნედლეულის მომწოდებელი წყარო შეექმნა და მცირედ დასახლებული მიწების კოლონიზაცია მოეხდინა (Цымбаев, 2004: 50-51). თუმცა, რუსეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც შავი ზღვა იყო - სტრატეგიული მდებარეობის მიხედვით ამიერკავკასიაზე გასასვლელი. რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ გამოიყენებდა ოსმალეთის სახელმწიფოს სისუსტეს და თავის დიდ მიზნებს განახორციელებდა. თავდაპირველად ისეთ საკითხებს მოაგვარებდა, როგორც „შავ ზღვაზე გასვლა“ და „ყირიმის ანექსია“ იყო (Orat, Arslan, Tanrıverdi, 2011: 31). შემდგომ, სრუტეების გავლით სტამბოლსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებს ჩაიგდებდა ხელში და ე.წ. საბერძნეთის სახელმწიფოს შექმნით დიდი

მიზანი მიღწეული იქნებოდა. 1696 წელს რუსებმა აზოვი აიღეს (**Uzunçarşılı, 1983, C. III: 582**). 1700 წლის 13 ივლისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის სტამბოლის ხელშეკრულება გაფორმდა (**Danişmend, 1972, C. III: 484-485; Köse, 2012: 206**), რომლითაც ოსმალეთი იძულებული გახდა, აზოვის ციხე რუსეთისთვის დაეთმო (**სვანიძე, 2007: 223**). ამგვარად, რუსეთმა ოსმალეთზე პირველი გამარჯვება მოიპოვა (**Kurat, 1990: 13**).

პარალელურად, რუსეთი ბალტიის ზღვაზე გასვლას ფიქრობდა და შვედეთთან ომში იყო ჩაბმული (**Kocabaş, 1989: 30**). 1709 წელს პოლტავის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ შვედეთის მეფე კარლ XII-ემ დახმარებისთვის ოსმალეთს მიმართა (**Binark, 1992: 201**). პეტრე I იძულებული გახდა ომი შეეწყვიტა და მშვიდობა მოეთხოვა. 1711 წლის 21 ივლისს გაფორმდა პრუტის ხელშეკრულება. რუსეთმა დათმო სტამბოლის ხელშეკრულებით მოპოვებული უპირატესობები და აზოვის ციხე ოსმალეთს უკან დაუბრუნა (**სვანიძე, 2007: 229; Kuzucu, 2013: 75**).

1721 წლის 30 აგვისტოს პეტრე I-მა შვედეთთან ხელი მოაწერა ნიშტადტის ხელშეკრულებას (**Cezar, 1971: 2432**), რითაც დაასრულა მრავალწლიანი ჩრდილოეთის ომი. ამის შემდგომ, 1722 წლის 18 ივნისს, მან სამხრეთ კავკასიაში გაილაშქრა (**Yörük, Valiyev, 2016: 19**) და წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა ქალაქი დერბენტი (**Jorga, 2005: 1473**). ამის კვალდაკვალ რუსეთმა ბაქოს ციხესიმაგრის აღებისთვის მოქმედებები დაიწყო. შირვანელებმა, რომლებმაც გააცნობიერეს, რომ რუსეთს საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებოდნენ, ოსმალეთს სთხოვეს მფარველობა (**Köse, 1996: 60**). სამხრეთ კავკასიაში სხვა სახელმწიფოს ბატონობის დამყარებას ოსმალეთი არასასურველად მიიჩნევდა, ამიტომაც ის ამ წინადადებას დათანხმდა. 1723 წელს რუსეთის მიერ ბაქოს დაპყრობამ ორი სახელმწიფო ომის დაწყების ზღვარზე დააყენა. თუმცა პრობლემის მოგვარება მოხერხდა. 1724 წლის 24 ივნისს 1724 სტამბოლში ხელმოწერილ იქნა ოსმალეთ-რუსეთის ხელშეკრულება (**Cezar, 1971: 2448; სვანიძე, 2007: 241**), რომლითაც დასუსტებული ირანის სამხრეთ კავკასიური ტერიტორიები ორ სახელმწიფოს შორის გადანაწილდა (**Danişmend, 1972: 14**). რუსეთს მაზანდარანი და გილანი ერგო, ოსმალეთის მფლობელობაში კი განჯა-ყარაბაღი და ერევანი გადავიდა (**Kurat, 1990: 22**). ოსმალეთ-რუსეთის 1724 წლის 24 ივნისის სტამბოლის ხელშეკრულების დადების შემდეგ მთელი საქართველო ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა (**Yörük, Valiyev,**

**2016: 20).** კასპისპირეთის პროვინციები, რომლებიც რუსეთმა მოიპოვა ამ ხელშეკრულების თანახმად, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით პლაცდარმის როლს ასრულებდნენ: აქედან მიემართებოდნენ სამხედრო ექსპედიციები საქართველოსა და სომხეთის მიმართულებით (**Бочарников, 2013: 20**).

1736 წლის 30 მარტს, რუსეთმა ისარგებლა იმით, რომ ოსმალეთი ამ დროს ირანთან ომში იყო ჩაბმული, ალიანსი შეკრა ავსტრიასთან და საზღვრის დარღვევის საფუძველზე ოსმალეთს ომი გამოუცხადა (**Ayverdi, 1970: 214; Köse, 2006: 3**), თუმცა, სასურველი წარმატება ვერ მოიპოვა. საფრანგეთის შუამავლობით ავსტრიასთან 1739 წლის 18 სექტემბერს და რუსეთთან კი 1739 წლის 3 ოქტომბერს ხელი მოეწერა ბელგრადის ხელშეკრულებას (**Köse, 2006: 2**), რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი აზოვის ციხის დანგრევას ეხებოდა (**Hamit ve Muhsin, 1930: 311; Ayverdi, 1970: 216**). ამ ხელშეკრულებით ოსმალეთის სახელმწიფოს შეეძლო, რომ ორ სახელმწიფოსთან ერთდროულად ბრძოლის დემონსტრირება მოეხდინა და ამით თავისი პოლიტიკური რეპუტაცია გაეზარდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის ოსმალეთი შინაურ საქმეებში რეგრესს განიცდიდა. მრავალეთნიკურმა დიდმა სახელმწიფომ უკუსვლა დაიწყო. კრიზისი და სამხედრო-პოლიტიკური დასუსტება გახდა მიზეზი იმისა, რომ იგი თანდათან განვითარებით ჩამორჩა ევროპის სახელმწიფოებს. ამის საპირისპიროდ, XVIII საუკუნის დასაწყისში პეტრე I-ის მიერ გატარებულმა რეფორმებმა რუსეთი გააძლიერა, რამაც მას საშუალება მისცა რეგიონში ინტერვენცია დაეწყო.

პეტრეს პოლიტიკა განაგრძო გერმანული წარმოშობის რუსეთის დედოფალმა ეკატერინე II-მ, რომელიც იზიარებდა და ეთანხმებოდა თბილ ზღვებზე გასვლის იდეას, რაც ბოსფორის სრუტის გადალახვით ხმელთაშუა ზღვაზე გასვლასაც გულისხმობდა. ამ მიზნისკენ სვლას ეკატერინეს ოსმალეთის სახელმწიფო უშლიდა ხელს, ამიტომ უპირველესად ამ ბარიერის მოხსნა იყო საჭირო (**Kurat, 1990: 25**). რა თქმა უნდა, მმართველობის პირველ წლებში ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. რუსეთის გაძლიერება რეგიონში არც ევროპის სახელმწიფოებისთვის იყო ხელსაყრელი, უპირველესად კი ინგლის-საფრანგეთისთვის. ამიტომაც, ეკატერინე II,

რომელსაც კარგად ჰქონდა ეს გათვითცნობიერებული, შესაფერისი დროის დადგომას ელოდა.

ეკატერინე II-ს ორი დიდი მიზანი ჰქონდა: პირველი, ცენტრალურ ევროპაში დაფუძნებისთვის პოლონეთის რუსეთთან შეერთება, მეორე კი - ოსმალეთის სახელმწიფოს განადგურებით ხმელთაშუა ზღვაზე გასვლა. ეკატერინე II-ის ტახტზე ასვლის შემდეგ რუსეთი უფრო აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა (**Kocabaş, 1989: 106**). რუსეთი ფიქრობდა, რომ ევროპასთან დაახლოების გზა პოლონეთის ნაწილობრივ ან მთლიანად განადგურება იქნებოდა. ამ სიტუაციაში ოსმალეთი სრულიად დაუცველი იყო რუსეთის თავდასხმისაგან. რუსეთის მისწრაფებას და მიზნებს პოლონეთის, ბალკანეთის და კავკასიის მიმართულებით იგი სრულიად მოუმზადებელი ხვდებოდა. გარდა ამისა, თანდათანობით გაძლიერებული და თანამედროვე არმიის მფლობელი რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთს არც სამხედრო და არც პოლიტიკური მოკავშირე ჰყავდა (**Beydilli, 1985: 25-78**).

მიუხედავად აღნიშნულისა, 1768 წლის 8 ოქტომბერს, პოლონეთში სახალხო აჯანყების ჩახშობისა და დატრიალებული სისხლისღვრის გამო, ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს (**Kocabaş, 1989: 114**). რუსეთის წარმომადგენელი ობრესკოვი თავის ათ თანმხლებ პირთან ერთად იედიყულეს დილეგში დაამწყვდიეს (**Danişmend, 1972: 43; Aksan, 2010: 149**). მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთმა ომის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო, ის ომისთვის მზად არ იყო არც ადმინისტრაციული რესურსების და არც შეიარაღების მხრივ (**სვანიძე, 2007: 249; Ahmed Resmi, 1869: 11**).

ომს მოუმზადებელი შეხვდა რუსეთიც. მისთვის ის მოულოდნელი იყო. საბრძოლო მოქმედებები ომის გამოცხადებიდან შვიდი თვის შემდგომ დაიწყო, რამაც საშუალება მისცა რუსეთს, ბრძოლისთვის მომზადებულიყო (**Köse, 2006: 17**). ომი 31 იანვარს ყირიმის ხანის - გირეის რუსეთზე თავდასხმით დაიწყო, რამაც დედოფალი ეკატერინე II ფრიად აღაშფოთა. მან სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა და თავის ჯაშუსს, ბერძენ ექიმს, გირეი ხანი მოაწამლვინა. ხანი გარდაიცვალა 1769 წ. მარტში (**Ahmed Cevdet Paşa, 1892: 12; Danişmend, 1972: 44**).

1769 წლის 17 სექტემბერს რუსი ჯარისკაცები ხოტინში შევიდნენ (**Ahmed Vasıf, II: 31; Danişmend, 1972: 47**). ეს მარცხი ძალიან ცუდად აისახა ოსმალეთის არმიაზე. აქ

დაიწყო დეზერტირობა. რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით დაიკავა იასი, ვლახეთი და მოლდავეთი (Köse, 2006: 29; სვანიძე, 2007: 250). ოსმალეთის არმიამ დიდი მარცხი განიცადა 1770 წლის 1 აგვისტოს, სადაც მან 30 ათასზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა (Hamit ve Muhsin, 1930: 315) და საბრძოლო მასალები, ქვემეხები და სურსათი რუსებს ჩაუგდო ხელთ. ეს მარცხი შემობრუნების წერტილად იქცა ოსმალეთისთვის, რადგან დუნაის ციხესიმაგრეების დაცემის შემდგომ დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ რუსეთის არმია ბულგარეთის გავლით გეზს სტამბოლისკენ აიღებდა და მისი შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა (Gündüz, 2014: 400).

1770 წელს რუსმა ადმირალმა ალექსეი ორლოვმა ინგლისელების დახმარებით 24 რუსული გემი გიბრალტარის სრუტეზე გაატარა და ჩემშეს ნავსადგურში მყოფი ოსმალეთის ფლოტი მთლიანად გაანადგურა (Ünal, 1977: 87; Tellioglu, 2015: 197). ჩემშეში მიღწეული წარმატების შედეგად რუსულმა სამხედრო ფლოტმა დარდანელის სრუტისკენ გადაინაცვლა. ამ გადაადგილების საწინააღმდეგოდ ოსმალეთმა სრუტის ორივე მხარეს 30 ათასი ჯარისკაცი განალაგა. ქვემეხები საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და სატვირთო გემების დიდი ნაწილი შეაიარაღა (Danışmend, IV, 1972: 50). ოსმალეთის საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელმა ოსმალეთში აღჭირელი ჰასან ფაშა ჩამოიყვანა, რომელმაც რუსული სამხედრო ფლოტის ეგეოსის ზღვიდან გაყვანა მოახერხა (Ünal, 1977: 89).

ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ოსმალეთი ამ რეგიონში რუსეთის შემოსვლის საპირწონედ სხვადასხვა ზომას იღებს. 1762 და 1764 წლებში ოსმალეთმა ფოთის და სოხუმის ციხესიმაგრეები შეაკეთებინა (Yağcı, 2004: 18). გარდა ამისა, 1770 წელს სოხუმის ციხისა და მის შემოგარენში მყოფი ოსმალე ჯარისკაცებისთვის სტამბოლიდან იარაღის ჭურვები და თოფის წამალი იქნა გამოგზავნილი (COA, C.A.S., 13941-336). 1770 და 1771 წლებში რუსები ფოთის ციხეს დაესხნენ თავს, თუმცა უშედეგოდ (სვანიძე, 2007: 250). უნდა ითქვას, რომ რუსეთს საქართველო აინტერესებდა როგორც მოკავშირე, რომლის ომში მონაწილეობით ის იმედოვნებდა თურქეთის სამხედრო ძალების ყურადღების გადატანას ბალკანეთის ფრონტიდან კავკასიაზე. 1770 წელს ამიერკავკასიაში გაერთიანებულმა რუსეთ-საქართველოს ჯარებმა დიდ წარმატებას



მიაღწიეს დასავლეთ საქართველოში (Киняпина Н.С, 1984: 31-33). აფხაზეთის მმართველმა ზურაბ შარვაშიძემ კავშირი შეკრა სამურზაყანოს მმართველ ლევან შარვაშიძესთან და ოსმალებს სოხუმის ციხესიმაგრე გამოსტაცეს. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ, მათ შორის გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა. შედეგად, ლევან შარვაშიძემ სოხუმის ციხესიმაგრე ფულის სანაცვლოდ ოსმალეთს ისევ უკან ჩააბარა (Tsurtsumia, 2018: 57-58).

მალე ავსტრიისა და პრუსიის ჩარევით მშვიდობის დამყარების შესაძლებლობა გაჩნდა. ეკატერინე II სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვას მხოლოდ ერთი პირობით მიიჩნევდა შესაძლებლად, თუ რუსეთის წარმომადგენელს, ობრესკოვს, საპყრობილედან გაათავისუფლებდნენ. გარდა ამისა, ეკატერინე შემდეგ პირობებს აყენებდა: უნდა მომხდარიყო აზოვის დატოვება, ვლახეთისა და მოლდავეთისა რუსეთის მმართველობაში 25 წლით გადაცემა, ყირიმის მომავლის განსაზღვრა და შავ ზღვაზე თავისუფალი მოძრაობა (Sorel, 1911: 165). სამშვიდობო მოლაპარაკებების ამ მძიმე პირობებს ოსმალეთი არ დაეთანხმა. მან პრუსიის მეშვეობით რუსეთს უპირობოდ სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის ისევ მზადყოფნა შეუთვალა და მის მიმართ კეთილი განზრახვის საჩვენებლად რუსეთის წარმომადგენელი ობრესკოვი გაათავისუფლა. რუსეთი წამოყენებულ პირობებს არ ცვლიდა, ამიტომ მოლაპარაკებების შესახებ საუბრები შეწყდა.

1771 წელს ყირიმის ფრონტზე ბრძოლები ძალიან მძიმედ გრძელდებოდა (Köse, 2006: 56). რუსეთის არმიამ ყირიმში მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია, რამაც სულთან მუსტაფა III-ზე იმდენად იმოქმედა, რომ ის 1774 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა. ოსმალეთის ტახტზე აბდულჰამიდ I ავიდა (Yilmaz, Yakşi, 2016: 15). რუსეთის მთავარსარდალმა რუმიანცევმა დიდვეზირს წერილი გაუგზავნა, სადაც სულთან მუსტაფა III-ის გარდაცვალების გამო სამძიმარი იყო გამოთქმული. მთავარსარდალი აბდულჰამიდ I-ის ტახტზე ასვლასაც ულოცავდა დიდვეზირს და სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის პირობებსაც წერდა. რუსეთს ოსმალეთთან მშვიდობის დამყარება სურდა, რადგან კაზაკების აჯანყება პუგაჩოვის ხელმძღვანელობით, მძიმე გადასახადები ომის ხარჯების დასაფარად, რომელიც მოსახლეობას ურთულეს მდგომარეობაში აყენებდა და ეპიდემიები საშუალებას არ აძლევდა, რომ ომი გაგრძელებინა

(Kocabaş, 1989: 124; Aksan, 2010: 141). არც ოსმალეთის იმპერიის მდგომარეობა იყო სახარბიელო. სახელმწიფოს შემოსავლების უდიდესი ნაწილი ომის ხარჯებზე მიდიოდა, ეს კი მოსახლეობაზე უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენდა. ამ მიზეზთა გამო, მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ მშვიდობის დამყარება იყო. ოსმალეთმა 1774 წლის 3 ივლისს სამშვიდობო შეთანხმების შეთავაზებაზე თანხმობა განაცხადა და დაზავება ითხოვა (Köse, 2006: 105).

1774 წლის 16 ივლისს რუმიანცევის მიერ შერჩეულ ადგილას, ბულგარეთის სოფელ ქუჩუკ-კაინარჯიში ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. შედეგად, 1774 წლის 21 ივლისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას. (Muahedat Mecmuası, III, 2008: 275–284; Gündüz, 2014: 408; სვანიძე, 2007: 252). შეიძლება ითქვას, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება ოსმალეთისთვის ერთ-ერთი მძიმე ხელშეკრულებაა იმათგან, რაზედაც ოსმალეთს ხელი მოუწერია. ხელშეკრულების თანახმად, აღიარებული იყო ყირიმის დამოუკიდებლობა. თუმცა, რელიგიური კუთხით ის ისევ ოსმალეთის სახალიფოზე რჩებოდა დამოუკიდებელი (Kocabaş, 1989: 139). ყირიმის სახით ოსმალეთმა პირველად დაკარგა მუსლიმებით დასახლებული ტერიტორია და შავ ზღვაზე დომინანტის სტატუსი. გარდა ამისა, აზოვი, ქერჩი, იენიქალე, აგრეთვე, დნეპრსა და ბუგს შორის მოქცეული ტერიტორიები რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. შავი ზღვის სანაპიროების დაპატრონებით, აზოვის ნავსადგურის გავლით, რუსეთს შავ ზღვაზე გასვლის შესაძლებლობა მიეცა (Ayverdi, 1970: 236; Beydilli, 2002 : 525-526), რითაც დასრულდა შავ ზღვაზე ოსმალეთის დომინირება.

შეიძლება ითქვას, რომ ქუჩუკ-კაინარჯის შეთანხმების შემდეგ, საკმაოდ შერყეულმა ოსმალეთის სახელმწიფომ გაუზარდა რუსეთს ამბიცია კავკასიის მიმართულებით (Cabağı, 1967: 30; Aksan, 2010: 133). რუსი მეცნიერი ნ.ს. კინიაპინა აღნიშნავს, რუსეთი თავის მიზნად არ ისახავდა ამიერკავკასიის, მათ შორის საქართველოს შემოერთებას. მაგრამ გამარჯვებამ თურქეთთან ამ ომში რუსეთს შესაძლებლობა მისცა მნიშვნელოვნად გაეფართოებინა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები. ქუჩუკ-კაინარჯის შეთანხმების მუხლების განხილვისას რუსეთმა მიაღწია საქართველოს შესახებ საკითხის ჩართვასაც. 1774 წლის

შეთანხმების 23-ე მუხლში მითითებული იყო: „ციხე-სიმაგრეები: ბაღდათი, ქუთაისი და შორაპანი, რუსული იარაღით დაპყრობილები, რუსეთის მიერ იქნება აღიარებული იმ ქვეყნების საკუთრებად, რომლებსაც ისინი ოდიოგანვე ეკუთვნოდნენ“ (**Киняпина, 1984: 33-34**). რუსეთს არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო ამ რეგიონების შიდა საქმეებში (**Davison, 1981: 357**). თუმცა, არ იქნება სიმართლეს მოკლებული თუ ვიტყვით, რომ ამ შეთანხმების მიხედვით რუსეთის მიერ კავკასიაში მცხოვრები ქრისტიანების კანონიერი უფლებების დამცველის სტატუსის მოპოვება რუსეთს საქართველოს დაპყრობისთვის შესაფერის გარემოს უქმნიდა (**Cheterian, 2017: 88**). მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი რუსეთთან ომში პოლონეთის გამო ჩაება, ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებაში პოლონეთთან დაკავშირებით არც ერთი მუხლი არ ჩაწერილა. ეს ამ ხელშეკრულების საინტერესო ასპექტი იყო.

1776 წელს ეკატერინე II-ემ კავკასიაში პასუხისმგებელ პირად გენერალი პოტიომკინი დანიშნა, რომლის მთავარი მიზანი ყირიმისა და საქართველოს ანექსირება იყო. აუცილებელია აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რასაც რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პროცესში ჰქონდა ადგილი. 1777 წელს კნიაზ გრიგორი პოტიომკინმა ეკატერინე II-ს წარუდგინა პროექტი „აზოვ-მოზდოკის გამაგრებული ხაზი“, რომელიც აზოვიდან მოზდოკამდე სამხედრო ხაზის შექმნით კავკასიის დაპყრობის ხელშეწყობასა და შემდგომ რუსული მმართველობითი სტრუქტურების შექმნას ისახავდა მიზნად (**Türker, 2020: 37-41**).

პროექტის განხორციელება 1877-1878 წლებში დაიწყო. რუსეთმა, ქვეყანაში გამოწვეული აჯანყების შედეგად, შაჰინ გირეი დასვა ყირიმის ხანად. ოსმალეთი, რომელიც მას არ აღიარებდა, რუსეთთან ომის ზღვარზე აღმოჩნდა (**Kocabaş, 1989: 142-143**). საფრანგეთის ჩარევით, 1779 წელს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა კონვენციას (**სვანიძე, 2007: 253**), რომლითაც ყირიმი დამოუკიდებელი გახდა და ოსმალეთმა შაჰინ გირეი ყირიმის ხანად აღიარა (**Danişmend, 1972: 61**). თუმცა მალე, ისარგებლა რა მმართველის მიმართ ყირიმელთა უკმაყოფილებით, 1783 წელს რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია (**Ayverdi, 1970: 236-238; Tellioğlu, 2015: 199**). რუსეთის მიერ ყირიმის დაპყრობით შეიქმნა ხელსაყრელი პირობები იმისა, რომ რუსეთი კავკასიაში ადვილად მოახერხებდა შეღწევას.

ყირიმის ოკუპაციის შემდეგ რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში განაგრძობდა ჯარის მობილიზებას. ამავედროულად, სხვადასხვა დაპირებებით ცდილობდა, რომ თავის მხარეზე გადმოეყვანა ამ რეგიონების მოსახლეობა. თავის მხრივ, ოსმალეთი საჩუქრებითა და ტკბილი ენით ცდილობდა კავკასიის მოსახლეობის გადაბირებას (**Berkok, 1958: 368**). რუსეთისთვის საქართველოს მნიშვნელობას მისი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა განაპირობებდა. საქართველო კი რუსეთისგან ხსნას ელოდა. თუმცა, ქვეყნის პოლიტიკური გათიშულობა ხელს უწყობდა რუსეთს მოეხდინა თავისი ჩანაფიქრების რეალიზაცია (**Киняпина, 1984: 47**).

საქართველოში რუსეთის პოლიტიკური გააქტიურების პარალელურად ერეკლე II-ის მიერ ოსმალეთისთვის გაცხადებული ნდობა და ერთგულება უკანა პლანზე გადავიდა. 1783 წლის 24 ივნისს ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხედრო ხაზთან მდებარე ქალაქ გეორგიევსკში, ორ მხარეს შორის ხელი მოეწერა მფარველობით ხელშეკრულებას. 1783 წლის ნოემბერში ორი რუსული მსროლელი ბატალიონი, დარიალის ხეობის გავლით, თბილისში შევიდა, რითაც დაიწყო რუსული გავლენის დამყარება.

რუსეთს სურდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების გავრცელება დასავლეთ საქართველოზეც, მაგრამ ერიდებოდა სამხედრო შეტაკებას თურქეთთან, რამეთუ დასავლეთ საქართველო კვლავ ითვლებოდა ამ უკანასკნელზე დამოკიდებულად. დამინც, პეტერბურგში ახალისებდნენ სოლომონ I-ის პოლიტიკურ ორიენტაციას რუსეთზე. რუსეთმა შესთავაზა სოლომონს ოფიციალურად მიემართა პეტერბურგისთვის თხოვნით ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ. თავიდან სოლომონი ყოყმანობდა და ვერ იღებდა გადაწყვეტილებას, მაგრამ დასავლეთ საქართველოზე თურქების გახშირებული თავდასხმების გამო, მან, 1784 წელს გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, მიმართა ეკატერინე II თხოვნით რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ. იმერეთის ახალმა მეფემ, დავით გიორგის ძემ, ფაქტობრივად, დაადასტურა თავისი წინამორბედის „თხოვნის წერილები“, 1784 წლის შემოდგომაზე ელჩობაც კი გაგზავნა პეტერბურგში თხოვნით, გადაეწყვიტა რუსეთის ქვეშევრდომობაში იმერეთის მიღების საკითხი. თავის მხრივ, ოსმალეთის მთავრობა, რომელიც ეყრდნობოდა დასავლეთ საქართველოს პროთურქულად განწყობილ დიდგვაროვნებს, აგრეთვე, ქუჩუკ-კაინარჯის შეთანხმების ცნობილ სტატიას (23-ე), ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი

გავლენა ამ რეგიონში. ეკატერინე II, რომელსაც სურდა ოსმალეთთან მშვიდობის შენარჩუნება, იძულებული იყო შეესრულებინა ქუჩუკ-კაინარჯის შეთანხმების პირობები და უარი უთხრა დავით გიორგის ძის ელჩობას. იმავდროულად, რუსეთის მთავრობა იმერეთის მეფეს თხოვდა დალოდებოდა ქვეშევრდომობის შესახებ გადაწყვეტილებას და გააძლიერა თავისი აქტიურობა დასავლეთ საქართველოში, რათა ყველანაირად შეეშალა ხელი აქ თურქეთის გავლენისთვის (**Киняпина, 1984: 54-55**).

რუსეთის წინსვლით ირანიც იყო შემფოთებული. თავრიზის ხანი საუბრობდა იმაზე, რომ რუსეთს ისლამური სახანოების განადგურება სურდა და ამის საწინააღმდეგოდ მუსლიმი ხანების ერთიანობა იყო საჭირო (**СОА, НАТ., №: 10/333**). რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიის სახანოები გაერთიანდნენ და ჩილდირის მმართველს სულეიმან ფაშას წერილი მისწერეს. კავკასიელი ხანები რუსეთთან ომში ჩაბმულ ოსმალეთს მხარდაჭერას უცხადებდნენ (**СОА, НАТ., №: 3/79**). მაშინ როდესაც ქუჩუკ-კაინარჯის შეთანხმებით საქართველო ოსმალეთის კონტროლის ქვეშ დარჩა, რუსეთი ამტკიცებდა, რომ საქართველოს ძველი პატრონი თვითონ იყო. ამიტომ, რუსეთმა საქართველოზე გავლენის გასაძლიერებლად აქტიურობა დაიწყო. რუსეთის ამ მოქმედებებს ოსმალეთის სახელმწიფო ეფექტურ პოლიტიკას ვერ უპირისპირებდა. ოსმალეთი ცდილობდა, თავაზიან და მშვიდობისმოყვარე ვითარებაში აეხსნა რუსეთისთვის, რომ მისი ქმედებები არ შეესაბამებოდა შეთანხმების პირობებს. იმავდროულად, ოსმალეთი სავარაუდო თავდასხმების მოსაგერიებლად ციხე-სიმაგრეებს მეომრებითა და საბრძოლო მასალებით აძლიერებდა.

რუსეთის ექსპანსიის გამო შემფოთებული სახანოების ოსმალეთის სახელმწიფოზე დამოკიდებულება გარკვეულწილად გაიზარდა (**Kuzucu, 2013: 81**). 1780-იანი წლების ბოლოდან ოსმალეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა. 1787 წელს რუსეთის ელჩმა ოსმალეთს წარუდგინა მოსაგვარებელი საკითხები, რომლებიც ეხებოდა ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობებსა და იმავდროულად საქართველოს. ოსმალეთის გადმოსახედიდან ის საკითხები საკმაოდ რთული მოსაგვარებელი იყო. ოსმალეთს ომი არ უნდოდა. მას პრობლემების მოგვარება მოლაპარაკებების გზით სურდა.

ქართული წარმოშობის დიდვეზირმა – იუსუფ ფაშამ რუსეთის ელჩს განუცხადა, რომ რუსი მეომრები თბილისიდან უნდა გასულიყვნენ და აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მმართველობის ქვეშ არ უნდა ყოფილიყო (**Gökçe, 1979: 138**). ბულგაკოვმა თავის მხრივ უპასუხა, რომ თბილისი რუსეთის მმართველობის ქვეშაა და ეს მოცემულობა არ შეიცვლება. ოსმალეთი მიხვდა, რომ რუსეთისგან რაიმე დადებითი პასუხის მიღების იმედი ფუჭი იყო, მათ შორის ყირიმის საკითხზეც და 1787 წლის 19 აგვისტოს ომი გამოუცხადა რუსეთს (**სვანიძე, 2007: 257; Kuzucu, 2013: 119**). ელჩი და მისი თანხმლები ამაღაც დააპატიმრეს და იედიყულეს ციხეში ჩასვეს (**Kocabaş, 1989: 152**). ევროპის საზოგადოების თვალში ისე ჩანდა, რომ ოსმალეთის სახელმწიფომ ომი ყირიმის უკან დაბრუნების მიზეზით დაიწყო (**Kocabaş, 1989: 152**). არასწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის წინააღმდეგობა რომ გაეწია, 1787 წლის 25 აგვისტოს ოსმალეთმა კომუნიკე გაავრცელა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ოსმალეთ-რუსეთს შორის არსებული უთანხმოება რუსეთის მხრიდან სამშვიდობო შეთანხმების დარღვევის შედეგია, რაც მის პოლიტიკურ ქმედებებში გამოიხატა. კომუნიკეში საუბარი იყო, აგრეთვე, რუსეთისა და ავსტრიის კავშირზე ოსმალეთის წინააღმდეგ (**Kuzucu, 2013: 123**).

თუ გავითვალისწინებთ რუსეთის რეაქციას ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით, ცხადი გახდება, რომ კავკასიაში ექსპანსიონისტური პოლიტიკის მიზეზით რუსეთს დიდი ხანია ამ ომისთვის ნიადაგი მზად ჰქონდა და ეს სიტუაცია როგორც შესაძლებლობა, ისე გამოიყენა. რუსეთმა 1787 წლის 7 სექტემბერს განაცხადი გამოაქვეყნა, რომელშიც ომის პასუხისმგებლობა ოსმალეთს დააკისრა. ევროპული საზოგადოების თვალში რუსეთი მსხვერპლი იყო. აქვე მოყვანილი იყო ოსმალეთის მხრიდან გაკეთებული განცხადებაც: „მთელი მსოფლიოს წინაშე რუსეთთან ოსმალეთმა სამშვიდობო შეთანხმება დადო, რაც რუსეთის მხრიდან მოღალატეობრივად იქნა დარღვეული. ჩვენი მეთაურებისა და არმიის გამბედაობისა და სიძლიერის გვჯერა. გვჯერა, ღმერთი დაგვეხმარება ამ საქმეში“ (**Şirokorad, 2009: 207**).

6 თვიანი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ავსტრიამ, რომელიც ამ ომში რუსეთის მოკავშირე იყო, ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ოსმალეთი იძულებული იყო, ორ ფრონტზე ებრძოლა. ავსტრიის ფრონტზე

ოსმალეთის არმიას დიდვეზირი ქოჯა იუსუფ ფაშა ხელმძღვანელობდა (**Danişmend, 1972: 66**). რუსეთის ფრონტზე სახმელეთო არმიის ხელმძღვანელად ვეზირი ალი ფაშა დაინიშნა. ზღვაზე მოსალოდნელი ბრძოლების გათვალისწინებით კი საზღვაო ძალებს გაზი ჰასან ფაშა ხელმძღვანელობდა (**Kuzucu, 2013: 126**). კავკასიის ფრონტზე ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ყუბანის შემოგარენი წარმოადგენდა. რადგან რუსები ყუბანის გავლით ანაპაზე თავდასხმას, მის აღებასა და შემდგომ შავი ზღვის სანაპიროზე გასვლას ისახავდნენ მიზნად. ოსმალეთს ამ ფრონტზე წარმატებისთვის კავკასიელი ხალხის დახმარება ესაჭიროებოდა, ამიტომ მათ რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა. კავკასიის ხალხების მცირე ნაწილი იბრძოდა კიდევ რუსების წინააღმდეგ. ოსმალეთი ამ ომისთვის საბრძოლო და სურსათის მხრივ მზად არ იყო. რუსები ამით სარგებლობდნენ და ჩერქეზების, ყაბარდოელების და დაღესტნელების გაერთიანებისთვის ხელის შეშლას ცდილობდნენ, რათა ისინი დამხმარე ძალად არ მოვლენილიყვნენ ოსმალეთისათვის. “ოსმალეთი თქვენ ვერ დაგეხმარებათ. თქვენ დამოუკიდებელი ხალხები ხართ. მოდით, ჩვენთან ერთად მშვიდობა დავამყაროთ” – ეუბნებოდნენ რუსები კავკასიელებს (**Ahmet Cevdet, II: 134**). 1787 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომის გამო რუსეთმა თბილისის გარშემო განლაგებული სამხედრო ძალა უკან გაიწვია, რითაც ქართლ-კახეთის სამეფო დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს გარემოება უარყოფითად აისახა ქართ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის ურთიერთობებზე. ერეკლე II-ს 1787-1791 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომში არავის მხარე დაუჭერია (**Bilge, 2005: 154**), მიუხედავად რუსეთის სურვილისა, ქართველები ჩაბმულიყვნენ ომში რუსეთის სასარგებლოდ.

ომის დაწყებისთანავე აფხაზეთის მმართველად პროოსმალური განწყობის ქელემ აჰმედ ბეგი დაინიშნა. ქელემ აჰმედ ბეგმა თავისი სამხედრო და პოლიტიკური მოსაზრებების გატარება დაიწყო. მან სამთავროს მართვის ცენტრი ლიხნიდან სოხუმში გადაიტანა, სადაც ოსმალთა მესაზღვრეები იმყოფებოდნენ (**ანთელავა, 1951: 82; Tsurtsumia, 2018: 64**). ოსმალები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების, სოხუმის ციხე-სიმაგრისა და პორტის გამლიერებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ოსმალეთი ხვდებოდა, რომ სოხუმი უმნიშვნელოვანესი ბაზა იყო იმპერიისთვის. ამიტომ სელიმ III-ის ბრძანებით სოხუმში ოსმალეთის ფლოტისთვის სამხედრო გემე-

ბის მშენებლობისთვის საზღვაო არსენალის შექმნა გადაწყდა. 1791-1799 წლებში ამ არსენალში 45 სამხედრო გემი აშენდა და 2329 საომარი ზარბაზანი დამზადდა.

ოსმალეთს სურდა, რუსეთის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზები გაენადგურებინა, თუმცა ქართლ-კახეთის მეფის თხოვნის გათვალისწინებით, გადაიფიქრა (COA, HAT., №: 1221).

მთავარსარდალმა იუსუფ ფაშამ ტრაპიზონის მმართველსა და ჯარის მეთაურს ბათალი ჰუსეინ ფაშას ათი ათასი მეომრით ანაპაში გაელაშქრა უბრძანა (Ahmed Cevdet Paşa, II: 135; Fedakar, 2015: 281). მან რუსების თავდასხმების შედეგად დანგრეული ანაპის ციხე შეაკეთა, რის შემდეგაც ყაზარდოში გადასვლის მითითება მიიღო (Fedakar, 2015: 282). ბათალი ჰუსეინ ფაშამ, რომელსაც არ სურდა ამ ბრძანების შესრულება, სხვადასხვა უსაფუძვლო არგუმენტები მოიმიზეზა და უარი განაცხადა ყაზარდოში გადასვლაზე. 1790 წლის აპრილში ანაპას ოსმალეთის ფლოტი მოადგა. სამხედრო გემზე ჯელალ მაჰმუთ ალა იმყოფებოდა. მან ბათალი ჰუსეინ ფაშას სელიმ III-ის მიერ გაგზავნილი ბრძანება უჩვენა, დაემუქრა კიდევ და ყაზარდოში წასვლა უბრძანა (Bilge, 2005: 155). ბათალი ჰუსეინ ალას სიკვდილით დასჯის შეეშინდა და 1790 წლის 8 აგვისტოს 30 000 მეზრძოლით და საბრძოლო მასალებით აღჭურვილი ყაზარდოსკენ დაიძრა. ის საკმაოდ მძიმედ გადაადგილდებოდა. ყუბანამდე მივიდა, მაგრამ ყაზარდოსკენ გზა აღარ გაუგრძელებია. იქ პატარა შენაერთი გაგზავნა, რომელიც დამარცხდა და უკან გამობრუნდა (Kocabaş, 1989: 157). რუსები თვალყურს ადევნებდნენ შენაერთების მოძრაობას. მათ ყუბანში ჯარი გაგზავნეს. ბათალი ჰუსეინ ფაშას მეომრები შემფოთებამ და დაბნეულობამ მოიცვა. ჰუსეინ ფაშა რუსებს დანებდა. ამან კი ჯარის დაშლა გამოიწვია. დაშლილი ჯარის შენაერთებმა დიდი დანაკარგის გარეშე მოახერხეს და ანაპის ციხეში დაბრუნდნენ (Ahmed Cevdet Paşa, II: 145). როგორც კი გაიგეს სტამბოლში ბათალი ჰუსეინ ფაშას კაპიტულაციის ამბავი, მის ადგილას ერზრუმის და ტრაპიზონის მმართველი სარი (ჰაჯი) აბდულაჰ ფაშა დანიშნეს. მას დაუყოვნებლივ ანაპაში გამგზავრება ებრძანა (Fedakar, 2015: 283).

ბათალი ჰუსეინ ფაშას რუსებისთვის ჯეროვანი წინააღმდეგობა არ გაუწევია. როცა რუსების დამარცხების შანსი არსებობდა, ის მაშინ დანებდა. ბათალი ჰუსეინ ფაშას შემცველად დანიშნული სარი აბდულაჰ ფაშა ანაპაში არ წავიდა და ტრაპი-



ზონში დარჩა. ყოველივე ეს ოსმალეთის შიდა კრიზისზე მიუთითებდა, რამაც საშუალება მისცა რუსეთს სიტუაცია შეეფასებინა და თავის სასარგებლოდ დასკვნები გამოეტანა. რუსეთმა გენერალ პავლე პოტიომკინის ნაცვლად ყუბანის რეგიონში მთავარსარდლობა გენერალ ივანე გუდოვიჩს ჩააბარა. 1791 წელს კი ეს რეგიონი დაიპყრო (Forsyth, 2013: 325). 13 დღიანი ალყის შემდეგ ანაპა რუსეთს ჩაბარდა (Ayverdi, 1970: 245; Bilge, 2005: 156).

ფრანგი ინჟინრების დახმარებით ანაპის ციხე პირველი კლასის ციხე-სიმაგრედ იქცა. კავკასიასთან დაკავშირებული ომები სწორედაც რომ ამ ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდების გამო მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთს ისევ ძლიერი გავლენა ჰქონდა კავკასიელ მუსლიმანებზე. რუსებს მიაჩნდათ, რომ თუ მათ ოსმალეთის მხრიდან სამხედრო მხარდაჭერა აღარ ექნებოდათ, ეს გავლენაც შესუსტდებოდა. ამიტომაც ანაპა ბრძოლის მუდმივი ცენტრი იყო (Baddeley, 1989: 76). როგორც აღვნიშნეთ, სარი აბდულაჰ ფაშა ანაპაში მთავარსარდლად გამწესდა, თუმცა იქ არ წასულა. ანაპის დაკარგვაც მის კისერზე იყო. ამიტომაც, პორტამ ის სიკვდილით დასაჯა. ანაპის ციხე-სიმაგრე დაიცალა. ფოთისა და სოხუმის ციხეებში უსაფრთხოების ზომები იქნა მიღებული (Ahmed Cevdet Paşa, II: 147, Kocabaş, 1989: 158).

ეკატერინე II-ს ოსმალეთის განადგურება სურდა, თუმცა კარგად ესმოდა, რომ ევროპის სახელმწიფოები ამის უფლებას არ მისცემდნენ (Ünal, 1977: 98). მიუხედავად იმისა, რომ ფრონტებზე მას უპირატესობა ჰქონდა, ოსმალეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო. შედეგად, 1792 წლის 9 იანვარს (ძველი სტილით 1791 წლის 29 დეკემბერს) ხელი მოეწერა იასის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით რუსეთმა მიიღო ყირიმი და ტამანი (Hamit ve Muhsin, 1930: 325).

ომის შემდეგ რუსეთმა გააძლიერა თავისი პოზიციები შავ ზღვაზე. გაიზარდა იმის საფრთხე, რომ რუსეთი სრუტეებისა და სტამბოლის მიმართულებით წინ წაიწევდა. ომმა გამოავლინა ოსმალეთის სამხედრო და ეკონომიკური სისუსტე, რაც სამხედრო საჭიროებებისა და არმიის სურსათით არასათანადოდ მომარაგებაში, ჯარისკაცების უდისციპლინობასა და დაუმორჩილებლობაში გამოიხატა. მდგომარეობის გამოსასწორებლად სელიმ III-ემ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა, განსაკუთრებით სამხედრო მიმართულებით (Ayverdi, 1970: 246). ადმინისტრაციული, ეკონო-

მიკური და სოციალური სფეროების გადახალისებით სელიმ III-ს სურდა, დაწეოდა ევროპის ქვეყნებს, რომელთაც ძალიან ჩამორჩებოდა (**Ünal, 1977: 102**).

იასის ხელშეკრულების დადებიდან ძალიან მალევე რუსეთმა კავკასიის ჩრდილოეთი ნაწილი სრულად მოაქცია ალყაში. გააფართოვა დარიალის ხეობა, რათა გაადვილებოდა სამხედრო ოპერაციის ჩატარება. ოსმალეთი, შიდა პოლიტიკური არეულობების გამო, კავკასიაში მიმდინარე პროცესებისგან შორს იდგა და მასში აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა. თუმცა 1796-1798 წლებში, ჩერქეზებისა და აფხაზების მიერ რუსეთის კუთვნილ ტერიტორიებზე მძარცველური თავდასხმების გამო, იძულებული იყო იასის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაცია გადაეხადა (**COA, Cevdet Tasnifi Askeriye, №: 5878; Bilge, 2005: 161**).

ამასობაში, ირანის ტახტზე ავიდა ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი ალა-მაჰმად-ხანი. კავკასიაში ოსმალეთის გავლენის დაკარგვის გათვალისწინებით, ის აზერბაიჯანსა და საქართველოში გალაშქრებას ფიქრობდა, რათა ისინი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ემ ოსმალეთს წერილი გაუგზავნა, რომლითაც პატიებას ითხოვდა და ირწმუნებოდა, რომ პორტას მტრად არ განიხილავდა (**COA, Cevdet Tasnifi Askeriye, №: 7253/1**). პატიების პირობად ოსმალეთმა ერეკლე II-სგან დარიალის ხეობაზე გამავალი სამხედრო გზის მოშლა მოითხოვა (**COA, Cevdet Tasnifi Askeriye, №: 7253/2**). იასის ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, ოსმალეთი ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში ვერ ჩაერეოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს რუსეთთან ახალ პრობლემებს წარმოშობდა. ამიტომ ოსმალეთმა გზის დანგრევა ერეკლეს დაავალა (**COA, HAT., №: 10667**). ერეკლე II-ემ შესაბამისი ხარჯები ითხოვა. ამასობაში კი ირანი ქართლ-კახეთის სამეფოს დაესხა თავს და ქვეყანა მოაოხრა. ეკატერინე II-ემ რეგიონში ჯარი გამოგზავნა და 1796 წლის მარტში ირანს ომი გამოუცხადა. ალა-მაჰმად-ხანმა სტამბოლისგან დახმარება ითხოვა, რაზეც უარი მიიღო, თუმცა ოსმალეთი მუდმივად ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში რუსების შემოსვლისთვის ყველანაირად შეეშალა ხელი.

1796 წლის 18 ნოემბერს ეკატერინე II გარდაიცვალა. რუსეთის ტახტი პავლე I-მა დაიკავა (**Acar, 2004: 169**), რომელმაც ირანთან მოლაპარაკებებით, 1797 წელს, უზრუნველყო ომის დასრულება. მიუხედავად იმისა, რომ პავლე I-მა რუსეთის სამხე-

დრო შენაერთები გაიყვანა კავკასიიდან, იგი მაინც არსებული მდგომარეობის შენარჩუნებასა და დაცვას ცდილობდა. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში მდგომარეობა საკმაოდ დაულაგებელია: ირანს სურდა თავისი ავტორიტეტის გამყარება, რეგიონის სახანოები კი ერთმანეთთან კონფლიქტში იყვნენ ჩართულნი. ამ პერიოდში, ბათუმი და ფოთი ოსმალეთის შემადგენლობაში იყო, სოხუმს კი პორტასთან დაკავშირებული ქელემ ბეგი მართავდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ რუსეთს ამ ქალაქებზე ხელი არ მიუწვდებოდა. ამიტომაც რუსეთის სურვილი - კავკასიაში დაპატრონებოდა იმერეთისა და სამეგრელოს მიმდებარე სანაპიროებს - სულ უფრო და უფრო მზარდი ხდებოდა.

1803 წელს რუსეთმა განჯის სახანო დაიპყრო. ამას მოჰყვა 1804 წელს შირვანისა და შაქის სახანოების ანექსია. თუმცა, რუსეთის მზარდი მადა ამაზე არ შეჩერებულა, რამაც საბოლოო ჯამში, ოსმალეთთან ახალ ომამდე მიიყვანა იგი. იასის ხელშეკრულების დადების შემდგომ ოსმალეთი კავკასიაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში პასიურად იყო ჩართული. ოსმალეთის იმპერიას, რომელსაც ეგვიპტის საკითხის გამო საფრანგეთთან პრობლემები ჰქონდა, არ შესწევდა ძალა რუსეთის წინააღმდეგ ებრძოლა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კავკასიაში კონტროლის არეალის გაფართოებას ცდილობდა. ამათ გარდა, 1804 წელს სერბების აჯანყებამ, რომელიც დიდწილად რუსეთის მიერ იყო წაქეზებულ-პროვოცირებული, ოსმალეთს სიმშვიდე დაურღვია (Ataç, 1953: 119). აღნიშნული მიზეზების გამო, ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში კავკასია უკანა პლანზე გადავიწია. თუმცა, საზღვრის გასწვრივ მდებარე ტერიტორიების მმართველებისგან რუსეთის მოქმედებების შესახებ მუდმივად ინფორმირებული იყო (Bilge, 2005: 167). კავკასიის სახანოები რუსეთის თავდასხმების მოსაგერიებლად თავიანთ ელჩებს ოსმალეთში გზავნიდნენ. ისინი ოსმალეთს თავიანთ ერთგულებას უცხადებდნენ და დახმარებას სთხოვდნენ (COA, HAT., №: 44645.). ოსმალეთი სახანოებს საკმარისად ვერ ეხმარებოდა. თუმცა, სხვადასხვა საჩუქრებს უგზავნიდა და ფირმანის საშუალებით მოუწოდებდა, რომ ბრძოლა გაეგრძელებინათ. ამავე პერიოდში პორტამ გააძლიერა შავი ზღვის სანაპიროს ისეთი დამცავი სიმაგრეები, როგორც იყო: სოხუმი, ფოთი და ანაპა.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობები სათავეს სავაჭრო ურთიერთობების დაწყებით იღებს, თუმცა, ამავდროულად, რუსეთი ოსმალეთის ისტორიაში ის ქვეყანაა, რომელთანაც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა. ვაჭრობის სფეროთი დაწყებული ურთიერთობა, რუსეთის მიერ დასახული იდეალების სისრულეში მოყვანის შესაბამისად, რაც ოსმალეთის კუთვნილი ტერიტორიების ხელში ჩაგდებას გულისხმობდა, XVIII საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან დაიძაბა და შემდგომში მრავალწლიან ომში გადაიზარდა. შავ ზღვაზე დომინანტი პოზიციის მოპოვებისთვის, რომელიც სატრანზიტო მარშრუტს წარმოადგენდა კავკასიაში, რუსეთი კავკასიის რეგიონებს თავს ესხმოდა, რაც რუსეთ-ოსმალეთს შორის გამართული მრავალი ომის მიზეზი გახდა.

ოსმალეთის სახელმწიფომ, რომელმაც ვერ მიაღწია წარმატებას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მასთან დადებული საკმაოდ მძიმე ხელშეკრულებებით, შავ ზღვაზე ბევრი მნიშვნელოვანი პუნქტი, მათ შორის ყირიმი დაკარგა, რითაც დასრულდა მისი ერთპიროვნული ბატონობა შავ ზღვაზე.

ტერიტორიული მთლიანობისადმი მზარდი საფრთხეების (რუსეთის პოლიტიკა ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელად, პანსლავიზმის პოლიტიკა და ნაციონალიზმი) პარალელურად, აღნიშნული პერიოდის ოსმალეთში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა პრობლემები ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებში, რის დაძლევაც ქვეყნის ფექტიანი რეფორმირებით იყო მხოლოდ შესაძლებელი.

ოსმალეთის მცდელობების მიუხედავად, რომ შეეჩერებინა რუსეთის წინსვლა კავკასიასა და შავი ზღვის მიმართულებით, უშედეგო აღმოჩნდა. პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული პორტა, რომელსაც აღარ გააჩნდა ძველებური სიძლიერე, იძულებული გახდა, ეღიარებინა რეგიონში რუსეთის ბატონობა.

## § 2. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და იმერეთის სამეფო.

### ომის შემდგომი წლების სირთულეები

1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყებამდე რუსეთი სამხრეთ კავკასიაში საკმაოდ გაძლიერდა. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ რუსეთმა, რომელიც შავი ზღვისპირეთში გაბატონებისკენ მისწრაფოდა, კავკასიაში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში, თავისი მმართველობის დამყარება დაიწყო (**Kocabaş, 1989: 188**). თავის მხრივ, ოსმალეთი ცდილობდა, განემტკიცებინა თავისი პოზიციები კავკასიის ფრონტზე. კერძოდ, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო დაეცვა რუსეთის აგრესიისგან, შეენარჩუნებინა პოზიციები დასავლეთ საქართველოში და ამავდროულად შეესუსტებინა რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში.

1805 წლის 25 სექტემბერს ოსმალეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ცხრაწლიანი მეგობრობის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა სრუტეებზე გასვლის უფლება მოიპოვა (**Kocabaş, 1989: 175**). მიუხედავად ამისა, ორმა იმპერიამ მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება ვერ მოახერხა. დასავლეთ საქართველოში რუსული ჯარების რაოდენობის ზრდა ოსმალეთის შემფოთებას იწვევდა. ოსმალეთს სამეგრელოს მთელი სანაპიროდან სურდა მათი გაყვანა, თუმცა რუსეთ-ოსმალეთმა ვერ მოახერხა შეთანხმების მიღწევა ვერც ამიერკავკასიაში და ვერც ოსმალეთის სხვა რეგიონებში. ამას კი მოჰყვა კეთილმეზობლური ურთიერთობების საბოლოო შეწყვეტა (**Чапраз, 2004: 85**).

ოსმალეთ-რუსეთის ომი 6 წელს გაგრძელდა. ომის გამომწვევი მიზეზები, გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, ოსმალეთის დასავლეთით მიმდინარე მოვლენებიც იყო, თუმცა, თემის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ აღმოსავლეთ ფრონტზე განვითარებულ პროცესებს შევხებით.

XIX საუკუნის დასაწყისში მთელი ევროპის ყურადღება ნაპოლეონის საფრანგეთზე იყო მიპყრობილი. ამ პროცესებში მონაწილეობდა რუსეთიც, რომელსაც სურდა, რომ ევროპისთვის თავისი არსებობა და სიძლიერე ეჩვენებინა და, ამავდროულად, თავიდან აეცილებინა ის უარყოფითი გავლენა, რაც შეიძლებოდა ნაპოლეონის მიერ წარმოებულ ომებს მოეხდინა რუსეთზე. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას,

რომ 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი, რომელიც რამდენიმე ფრონტზე ხანგრძლივად მიმდინარეობდა, ფაქტობრივად, საფრანგეთის მიერ ევროპაში წამოწყებული ომების (ნაპოლეონის ომები) შედეგი იყო (**Kocabaş, 1989: 176**). ეგვიპტეში ლაშქრობის შემდეგ ნაპოლეონმა ოსმალეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მას სურდა, რომ ოსმალეთზე, რუსეთსა და ინგლისზე დაკარგული ზეგავლენა კვლავ მოეპოვებინა. საფრანგეთის ელჩის დაჟინებული მოთხოვნით, 1806 წლის 24 აგვისტოს, ოსმალეთმა გაათავისუფლა პრორუსულად აღიარებული ვლახეთისა და მოლდავეთის მმართველები და მათ ნაცვლად საფრანგეთის მომხრეები დანიშნა (**Karpat, 2012: 29**). ამას რუსეთის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. რუსეთმა ძველი მმართველების უკან დაბრუნება მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიპლომატიური ურთიერთობებზე უარი შეუთვალა (**Kocabaş, 1989: 178**). ინგლისმაც რუსეთს დაუჭირა მხარი და ფლოტის დარდანელის სრუტეში შესვლით დაიმუქრა (**Yücel-Sevim, 1991: 147**). ამ ზეწოლის გამო ოსმალეთი იძულებული გახდა უკან დაეხია. 1806 წლის 16 ოქტომბერს ოსმალეთმა პრორუსულად განწყობილი გადაყენებული მმართველები უკან დააბრუნა (**Kocabaş, 1989: 178**). ამავდროულად, რუსეთი მატერიალურად, შეიარაღებითა და ადამიანური რესურსებით ეხმარებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებულ სერბებს, რომელთა გააქტიურება ქარა გიორგის (შავი გიორგი) მეთაურობით 1804 წელს დაიწყო (**Danişmend, 1972 : 83**).

რუსეთი, ფაქტობრივად, საფრანგეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის შემფოთებული და უკმაყოფილო იყო ოსმალეთ-საფრანგეთის მოკავშირეობით. ცხადი იყო, რომ რუსეთს ვლახეთსა და მოლდავეთის გარდა, მდინარეების დნესტრისა და დუნაის შემოგარენის ხელში ჩაგდებაც სურდა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ, ვლახეთისა და მოლდავეთის მმართველების გადაყენება (მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვლავ დააბრუნეს უკან) რუსეთმა საბაზად გამოიყენა, თუმცა ომის დაწყებისთვის სხვა მიზეზებიც გააჩნდა. ის უკმაყოფილო იყო ოსმალეთზე საფრანგეთის ზეგავლენის ზრდით. ამიტომაც, რუსეთმა ისარგებლა ოსმალეთის მოუმზადებლობით, და გაფრთხილების გარეშე თავს დაესხა მის ტერიტორიებს (**Ünal, 1977: 139; Danişmend, 1972: 84**). 1806 წლის 16 ოქტომბერს რუსეთის 60 000-იანმა არმიამ, გენერალ მიხელსონის მეთაურობით, საომარი მოქმედებები დაიწყო. ოსმალეთის სულ-

თანმა სელიმ III-ემ სრუტეებზე გასასვლელები ჩაკეტა. მან რუსეთი ბალკანეთში განვითარებულ მოვლენებსა და ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფი საქართველოსა და ყირიმის დაპყრობაშიც დაადანაშაულა (სვანიძე, 2007: 274; Чанпаз, 2004: 87).

აღმოსავლეთ ფრონტზე რუსეთის ძირითად სტრატეგიას შავ ზღვაზე გასასვლელის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რაც ანაკლიისა და ფოთის დაპყრობით უნდა განეხორციელებინა. გარდა ამისა, რუსეთი ოსმალეთის აღმოსავლეთ საზღვრისპირა ტერიტორიების შემოერთებით თავის სამფლობელოს გაფართოებას გეგმავდა. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ტერიტორიების მმართველთა მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა (ქორთუა, 1964: 114; Teymurova, 2016: 48), ხაზს უსვამდა სოხუმის, ანაკლიისა და ფოთის ციხე-სიმაგრეების უდიდეს მნიშვნელობას და მათი რუსეთისათვის შეერთების საჭიროებას (Tsurtsumia, 2018: 83).

საპასუხოდ, ოსმალეთი ტრაპიზონისა და ფოთის მიმართულებით მეომრებსა და საბრძოლო მასალებს გზავნიდა. ამასობაში ცნობილი გახდა, რომ თბილისში მყოფი რუსული არმია ახალციხესა და ჩილდირს დაესხა თავს. ოსმალეთმა ამ მოვლენების შემდგომ ერზურუმის ყოფილი მმართველი, ძველი ვეზირი იუსუფ ზია ფაშა აღმოსავლეთის მთავარსარდლად დანიშნა (Gökçe, 1979: 200; ვარდმანიძე, 2013: 20).

ამ პერიოდში რუსეთი ირანთან ომში იყო ჩაბმული, თანაც საბრძოლო მოქმედებებს საქართველოს გავლით ახორციელებდა. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსი ჯარისკაცებისთვის სურსათის მიწოდება იყო საჭირო. რუსეთმა სთხოვა ოსმალეთს, რომ ფოთის, ბათუმისა და ანაპის მიმართულებით მიმავალი გემების გატარების ნება დაერთო. ოსმალეთს არ სურდა გემებისთვის გავლის ნებართვის მიცემა. თუმცა, რუსეთის ელჩის ჩარევისა და დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, ოსმალეთმა მხოლოდ სურსათის მარაგის ტრანსპორტირებაზე განაცხადა თანხმობა. გენერალ გუდოვიჩის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი არ უნდა ჩაბმოდა ოსმალეთთან ომში, მით უფრო მაშინ, როცა ის ირანთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რუსეთისთვის საჭირო იყო, ირანთან მშვიდობა დაემყარებინა და განეწყო ის ოსმალეთის წინააღმდეგ. თუმცა, ირანი არ იყო მშვიდობის მომხრე. გუდოვიჩის ასეთი სურვილების მიუხედავად, რუსეთი ორივე ფრონტზე ომისკენ მიექანებოდა (Aydın, 2005: 89).

1807 წლის 7 იანვარს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. გუდოვიჩთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ კავკასიაში მყოფი რუსეთის სამხედრო ძალები უნდა გაგზავნილიყო საქართველოს პროვინციებში, რომლებიც ესაზღვრებოდნენ ოსმალეთს. ის აღშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ სამეგრელოს სანაპიროზე მდებარე ფოთისა და ანაკლიის ციხეები ოსმალეთის მფლობელობაში იყო. ამიტომ საქართველოს უსაფრთხოების გათვალისწინებით, ეს ტერიტორიები რუსეთის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო (Aydın, 2005: 89). რუსეთმა მიმართა აფხაზეთის მთავარ ქელემ ბეგ შარვაშიძეს ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსულიყო. რუსეთი ამ ომს აფხაზეთის ხელში ჩასაგდებად კარგ შესაძლებლობად მიიჩნევდა. თანაც, აფხაზეთის მთავარი რუსეთს ემხრობოდა (Tsurtssumia, 2018: 84). გარდა ამისა, რუსეთი მოითხოვდა ბესარაბიის, მოლდავეთისა და ვლახეთის გადაცემას, სერბეთის დამოუკიდებლობისა და რუსეთისთვის საქართველოს მიერთების აღიარებას. ოსმალეთს ამ დროს ინგლისისა და ავსტრიის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და თავი გამომწვევად ეჭირა (სურგულაძე, 1973: 54). შავი ზღვის ფლოტს ნაბრძანები ჰქონდა მზად ყოფილიყო ოსმალეთის შავიზღვისპირა ციხე-სიმაგრეებზე საიერიშოდ, ხოლო ვიცე-ადმირალ სენიავინს, რომელიც რუსეთის ფლოტით იონიის რესპუბლიკაში იმყოფებოდა, ებრძანა ხმელთაშუა ზღვის აუზში შებრძოლებოდა ოსმალეთის ფლოტს და გაენადგურებინა. ამგვარად, ოსმალეთთან ომის დაწყების შემთხვევაში, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს უნდა შეევეწროებინა ოსმალეთი ოთხი მხრიდან: დუნაიზე, შავ ზღვაზე, არქიპელაგიდან და საქართველოდან (ქორთუა, 1964: 143). ბალკანეთში დაწყებული ოსმალეთ-რუსეთის ომი კავკასიაშიც მიმდინარეობდა.

ომის დაწყებისთანავე პირველი, რაც ოსმალეთის სახელმწიფომ კავკასიაში მოიმოქმედა, იყო 1807 წლის 20 თებერვალს თავდასხმა რედუტ-კალეზე, რომელიც რუსების კავკასიასთან დამაკავშირებელ ერთადერთ კვანძს წარმოადგენდა. საქართველოსა და ყირიმს შორის მდებარე ამ რგოლის გაწყვეტის მიზნით განხორციელებული თავდასხმა წარუმატებელი იყო. ეს იერიში ოსმალეთის გამარჯვებით რომ დასრულებულიყო, ხელში ჩაიგდებდა რა ამ მნიშვნელოვან ტერიტორიას, იგი რუსეთის მიმართ სტრატეგიულ უპირატესობასაც მოიპოვებდა (Aydın, 2005: 90).



თავის მხრივ, რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა ხელთ ეგდო შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები ანაპა, სოხუმი, ფოთი და სხვ. გუდოვიჩის ნაბრძანები ჰქონდა, არ შეზღუდულიყო პასიური თავდაცვით, ეწარმოებინა შეტევა ოსმალების წინააღმდეგ და დაეპყრო ის ციხე-სიმაგრეები, რომლებიც მდებარეობდნენ სამეგრელოდან დაწყებული ანაპამდე. ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი არმია, რომელსაც გუდოვიჩი სარდლობდა, სამ ნაწილად იყოფოდა. მთავარ ძალებს ფრონტის ცენტრალურ ნაწილში უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდა. მარჯვენა ფრთას წარმოადგენდა ის ნაწილები, რომლებიც იმერეთსა და სამეგრელოში იმყოფებოდნენ და რომლებსაც გენერალ-მაიორი რიკჰოფი მეთაურობდა; ხოლო მარცხენა ფრთას სარდლობდა გენერალ-მაიორი ნესვეტაევი. ფრონტის ცენტრალურ ნაწილში მოქმედ ძალებს უნდა დაეკავებინა ახალციხე და ახალქალაქი; მარჯვენა ფრთაზე მოქმედ ჯარს ფოთი უნდა გაეთავისუფლებინა, ხოლო მარცხენა ფრთა უნდა დაუფლებოდა ყარსს. გადაწყდა, შეტევაზე პირველი მარცხენა ფრთა გადასულიყო ნესვეტაევის სარდლობით (**ქორთუა, 1964: 160-161**). ფრონტის მარჯვენა ფრთაზე ფოთის ციხე-სიმაგრისთვის ბრძოლას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფოთის, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორპოსტის, რუსეთის ხელში გადასვლა არსებითად შეუწყობდა ხელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე რუსეთის საბოლოოდ დამკვიდრების საქმეს, რასაც კარგად გრძნობდა, როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის სარდლობა. ოსმალეთი საგანგებოდ აძლიერებდა ფოთის მეციხოვნეთა გარნიზონს, ამარაგებდა მას სურსათით და საომარი მასალით (**ქორთუა, 1964: 166**). შავიზღვისპირეთში გასამაგრებლად რუსებს სჭირდებოდათ ან ფოთი, ან სოხუმი. ციციანოვი პირდაპირ აცხადებდა, რომ ფოთი უფრო მნიშვნელოვანი შენაძენია, ვიდრე მთლიანად სამეგრელო (**Чапраз, 2004: 81**).

ომის დაწყებისთანავე რუსეთის არმიამ კავკასიის ფრონტს შეუტია და 1807 წელს ფოთსა და ანაკლიის შორის მდებარე ქემჰალის სრუტე, რომლის ხელში ჩაგდების მცდელობას ადრეც ჰქონდა ადგილი, დაიპყრო (**Kocabaş, 1989: 189**). შემდგომ კი ახალქალაქის მხრიდან ოსმალეთის ტერიტორიაზე შევიდა. რუსეთმა ანაკლიაც დაიპყრო. 1807 წლის 29 აპრილს რუსეთის სამხედრო ძალები, 4 ქვეითი პოლკი და ფლოტი, რომელიც ხუთი კრეისერის, ხუთი საბრძოლო გემისა და სახანძრო გემებისაგან

შედგებოდა, ანაპასთან მივიდნენ. თავდასხმა ორი საათი გაგრძელდა. მეციხოვნეებმა დატოვეს ანაპა და გაიქცნენ. რუსებმა ანაპის ციხე ადვილად იგდეს ხელთ. თუმცა, მალევე მიხვდნენ, რომ ციხეს ვერ შეინარჩუნებდნენ და 1807 წლის 6 მაისს მისი აფეთქება გადაწყვიტეს. წარუმატებელი მცდელობის შემდგომ რუსებმა ციხე-სიმაგრე დაცალეს (**Baddeley, 1995: 97**).

29 ივნისს რუსეთის ჯარმა არფაჩაისთან დაამარცხა ოსმალეთის ჯარი, რითაც, შეიძლება ითქვას, კავკასიაში სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა. ამ პერიოდში ოსმალეთი შიდა აჯანყებებთან გამკლავებას ცდილობდა. სულთან სელიმ III-ეს პოლიტიკური, სამხედრო, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი სფეროების განახლება სურდა, მაგრამ ჯარის, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების და საზოგადოებისგან სასურველი მხარდაჭერა ვერ მიიღო. სელიმ III-ის განსაკუთრებული სურვილი რეგულარული და მოდერნიზებული ჯარის შექმნა იყო. თუმცა იენიჩრები და დიდი სახელმწიფო მოხელეები ამ სიახლეებს ეწინააღმდეგებოდნენ; ამას მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება და, საბოლოო ჯამში, სულთანი სელიმ III ჩამოაგდეს ტახტიდან. ოსმალეთის ტახტი მუსტაფა IV-ემ დაიკავა (**Beydilli, 2001: 8-9; Beydilli, 1989: 364-365**). ის ფაქტი, რომ იენიჩრები ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში და მათ ხელმწიფის შეცვლაც კი შეძლეს, ოსმალეთის სახელმწიფოს სისუსტის მაჩვენებელი იყო. ოსმალეთის სახელმწიფოს შიდა სისუსტე მის საგარეო პოლიტიკაზეც ახდენდა ზეგავლენას და მისი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო.

გენერალ გუდოვიჩს არ სურდა ოსმალეთის მიმართ მოპოვებული უპირატესობის დაკარგვა. 1807 წლის 24 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული სლობოდეას შეთანხმების შედეგად გენერალს ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. ოსმალეთ-რუსეთის სლობოდეას შეთანხმება, საფრანგეთსა და რუსეთს შორის 1807 წლის 7 ივლისს ტილზიტის ზავის შესაბამისად, საფრანგეთის შუამავლობით იქნა გაფორმებული (**Gökçe, 1979: 200**). ამ საზავო ხელშეკრულებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ იმერეთსა და სამეგრელოში რჩებოდა რუსეთის ჯარის ნაწილები გენერალ რიკჰოფის სარდლობით, მტკიცდებოდა რუსეთის პოზიციები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე და მზადდებოდა ნიადაგი მომავალში ოსმალეთისათვის ხელიდან გამოეტაცათ საქართველოს შავიზღვისპირა პროვინციები (**ქორთუა, 1964:**

**185).** ოსმალეთი, მართალია, ჯერ შეურიგდა იმერეთისა და სამეგრელოს შესვლას რუსეთის მფარველობის ქვეშ (1803-1804 წწ.), მაგრამ ის უბრძოლველად არ სთმობდა არც ერთ სიმაგრეს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. ომის დაწყების პირველი დღიდანვე ცდილობდა კვლავ დაუფლებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს. მაგრამ ომის პირველი შედეგები განამტკიცებდა რუსეთის პოზიციებს და საშუალებას არ აძლევდა ოსმალეთს საქართველოში დამკვიდრებისათვის (**ქორთუა, 1964: 188**).

ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის წელიწადნახევრის განმავლობაში არ განახლებულა, რითაც ორივე მხარემ ისარგებლა და ეს პერიოდი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილების გაძლიერებისთვის გამოიყენა. აღმოსავლეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად იუსუფ ზია ფაშას ნაცვლად ფერჰად ფაშა დაინიშნა (**Gökçe, 1979: 201**). ოსმალეთი კავკასიაში რუსების გადაადგილების შესახებ ჩილდირის მმართველის სელიმ ფაშას მიერ მომზადებული მოხსენებებით სრულად იყო ინფორმირებული. ამ მოხსენებებით ირკვეოდა, რომ რუსები დასავლეთ საქართველოში მოქმედებისთვის სამზადისში იყვნენ. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით სოლომონ II-სთვის წერილის გაგზავნა და რეგიონიდან რუსების განდევნისთვის ძალისხმევის გამოჩენის საჭიროებაზე იყო საუბარი (**Aydın, 2005: 93**). 1807 წლის 4 დეკემბერს გენერალი გუდოვიჩი მოახსენებდა რუმინელებს: „იმერეთის მეფე სოლომონმა რუსეთისადმი მტრული დამოკიდებულება გააძლიერა. იგი ძალიან პრეტენზიული გახდა, აღარ ასრულებს ელაზნაურის ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევი მას შემდეგ გახდა, რაც გავრცელდა ხმები, თითქოს დროებითი ზავის ძალით იმერეთი თურქეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა. მე ხელმწიფეს მივწერე, ამის მსგავსი არაფერი მომხდარა-თქო, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ხელსაყრელია ამ ხმების დაჯერება. სოლომონ II მუქარასაც კი ბედავს, კატეგორიულად მოითხოვს ქუთაისიდან რუსთა ჯარის გაყვანასო“ (**ბენდიანიშვილი, 1980: 50**). ოსმალეთის მმართველ წრეებს განზრახული ჰქონდათ მოხერხებულად გამოეყენებინათ იმერეთის მეფე რუსეთის წინააღმდეგ მომავალ ომში. სოლომონ II ყველა ღონეს მიმართავდა სამეფოს გადასარჩენად. მეფე რუსეთს მფარველობას სთხოვდა და ამავედროულად ოსმალეთთანაც ჰქონდა კავშირი (**ქორთუა, 1964: 91**). რუსეთის გეგმით, იმერეთის სამეფო უნდა გაუქმებულიყო, მეფე ოჯახით და ტახტის მემკვიდ-

რე, ბატონიშვილი კონსტანტინე, რუსეთში უნდა გაესახლებინათ. იმერეთში რუსი ოფიცრის ხელმძღვანელობით დროებითი მმართველობა დამყარდებოდა. იმერეთის მოსახლეობა უნდა დაერწმუნებინათ, რომ მისი ინტერესები დაცული იქნებოდა. თუმცა, ოსმალეთ-რუსეთის ომის პირობებში ამ გეგმის განხორციელება გადაიდო **(ვაჭრიძე, 1999: 76; Рыбаков, 2009: 163)**.

გენერალ გუდოვიჩის დაქვემდებარებაში მყოფი რუსეთის რაზმები ახალქალაქთან დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მალე, გენერალმა რიკჰოფმა, ახალქალაქთან წარუმატებლობის შემდეგ, მიიღო გრაფ გუდოვიჩის ბრძანება ფოთზე ალყის მოხსნის შესახებ. 19 მაისს რიკჰოფმა მოხსნა ალყა და ჯარი რედუტკალეში გადაიყვანა **(ქორთუა, 1964: 169)**.

რაც შეეხება ვითარებას აფხაზეთში, იქაურ მმართველს - ქელემ ბეგს თავისივე ვაჟი ასლან ბეი თავს დაესხა და სიცოცხლეს გამოასალმა **(Forsyth: 2013: 328)**, სოხუმის ციხესიმაგრე ხელში ჩაიგდო, თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა და ოსმალეთის იმპერიისადმი ერთგულება განაცხადა **(ქორთუა, 1964: 260; დადიანი, 1962: 197)**.

პარალელურად, აფხაზეთის ყოფილმა მმართველმა, შარვაშიძეების საგვარეულოს წარმომადგენელმა, საფარ-ბეგმა ისლამი უარყო, ქრისტიანობა მიიღო, გიორგი დაირქვა და რუსეთის ქვეშევრდომობაც აღიარა **(Terim, 1976: 110; Bilge, 2005: 175)**, რითაც აფხაზეთის მთავრის ტახტზე დამკვიდრება უნდოდა. გიორგი შარვაშიძე (საფარ ბეგი) სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანისა და აფხაზი დიდგვაროვნების დახმარებით შეეცადა კიდევ ამის გაკეთებას, თუმცა წარუმატებლად. გიორგი შარვაშიძემ რუსეთის დახმარება ითხოვა. გუდოვიჩი არ დათანხმდა შარვაშიძის ამ თხოვნას, რადგან არ სურდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევა **(Aydın, 2005: 99)**. ოსმალეთის სახელმწიფომ სოხუმის ციხე-სიმაგრის დასაცავად ზომები გაამლიერა და ასლან ბეგს რუსების მიმართ უფრო მეტად ყურადღებით ყოფნა უბრძანა. 1808 წლის მიწურულს სოხუმი მიუვალა ციხე-სიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებდა **(ქორთუა, 1964: 262)**.

1808 წლის ბოლოს გუდოვიჩმა შეტევა განახორციელა ერევანზე, რაც რუსეთის მარცხით დამთავრდა და გუდოვიჩი დიდი დანაკარგით თბილისში დაბრუნდა. ამის შემდეგ 1809 წელს რუსეთის ჯარების სარდლად გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი

დაინიშნა (Baddeley, 1995: 97-98). პირველი, რაც ა. ტორმასოვმა გააკეთა, იმერეთ-სამეგრელოში განლაგებული რუსეთის ჯარის სარდალს დ. ორბელიანს გიორგი შარვაშიძისთვის მხარის დაჭერა და მთელი აფხაზობის მისთვის მიმხრობა დაავალა (წურწუმია, 2012: 89).

ამასობაში, 1809 წლის 5 იანვარს ოსმალეთსა და ინგლისს შორის ხელი მოეწერა ჩანაქვალეს სამშვიდობო ხელშეკრულებას (Kocabaş, 1989: 184), რომლითაც ინგლისისა და ოსმალეთის ურთიერთობები ნორმალურ ვითარებას დაუბრუნდა, რამაც რუსეთის საფუძვლიანი შეშფოთება გამოიწვია და ოსმალეთს დაუყოვნებლივ ნოტა გაუგზავნა. რომლითაც მოითხოვა სტამბოლიდან ინგლისის ელჩის გაწვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მტრობა განახლდებოდა. ოსმალეთის პასუხი უარყოფითი იყო (Aydın, 2005: 92).

1809 წლის 12 აგვისტოს ფოთის ციხის ასაღებად რედუტ-კალედან (ყულევიდან) დაიძრა ჯარი ორბელიანის მეთაურობით. გენერალმა ციხის დასაცავად ახალი ძალების მომლოდინე მემიშ ალას დანებების წინადადებით მიმართა. მემიშ ალა არ დათანხმდა ამ წინადადებას. მან მართლაც მიიღო დახმარება, რომელსაც ელოდა და რუსმა ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს. ფოთის ციხის დაცვისთვის ახალი ზომები იქნა მიღებული. თავის მხრივ, სოხუმის კომენდანტს, ასლან ბეგს, საჭირო თავდაცვითი ზომების მიღება ებრძანა (Gökçe, 1979: 201).

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროდან ოსმალეთის სრულად განდევნისთვის, რუსეთი გენერალ ორბელიანის ხელმძღვანელობით სამხედრო სამზადისს შეუდგა. ამასთან, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის ქართველობიდან ხალხი იქნა შერჩეული და სამხედრო სამსახურში ჩაყენებული. მეორე მხრივ, სოლომონ II-ემ გადაიბირა სამეგრელოს, გურიისა და მეტწილად იმერეთის წარჩინებულთა გარკვეული ნაწილი და დაუპირისპირა იმათ, ვინც ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ ხალხის ანტიოსმალური განწყობა ასუსტებდა ამ ფეოდალთა ანტირუსულ საქმიანობას. ოსმალეთის სარდლობამ სოლომონ II-ის თხოვნა საბაზად გამოიყენა და ფოთში ტრაპიზონის მმართველი შერიფ-ფაშას მეთაურობით 9000-იანი კორპუსი გამოგზავნა. ოსმალური კორპუსის ნაწილი ფოთს გემებით მოადგა, ხოლო ნაწილი კი გურიის ტერიტორიით შემოვიდა და ალყაშემორტყმული ფოთიდან 20 კმ. დაშორე-

ბით დაბანაკდა. შერიფ-ფაშა დაიმედებული იყო, რომ სოლომონ II-ისა და გურიის მთავრის მამია გურიელის მხარდაჭერით ფოთს დაიხსნიდა (**ქორთუა, 1964: 251; ქართული დიპლომატიის ისტორია, 1998: 306**). თუმცა, 1809 წლის 15 ნოემბერს რუსეთის ჯარმა გენერალ ორბელიანის სარდლობით ფოთის ციხე-სიმაგრე აიღო (**Aydın, 1986: 113; ვარდმანიძე, 2013: 23**), რის შედეგადაც, რუსეთმა მნიშვნელოვნად შეასუსტა ოსმალეთის გავლენა დასავლეთ საქართველოს რეგიონში და გაიმყარა პოზიციები შავ ზღვაზე.

ფოთის ციხესიმაგრის დათმობის ერთ-ერთ მიზეზად ჩილდირისა და ტრაპიზონის მმართველებს შორის არსებული უთანხმოება დასახელდა (**Danişmend, 1972: 100**). ამ უთანხმოებაში დამნაშავედ ტრაპიზონის მმართველი შერიფ ფაშა იქნა მიჩნეული. ამიტომ შერიფ ფაშა თანამდებობიდან გადააყენეს (**Şanizade Tarihi: 305-306**). აღმოსავლეთ ფრონტზე წარუმატებლობა აღმოსავლეთის მთავარსარდალსაც დაბრალდა. ამ თანამდებობაზე ჯერ იბრაჰიმ ფაშა, შემდეგ კი ემინ ალა დაინიშნა (**Gökçe, 1979: 202-203**). როგორც ვხედავთ, მხედართმთავრებს შორის უთანხმოება და აღმოსავლეთ ფრონტზე მთავარსარდლების მუდმივი ცვლილება, რაც მათი წარუმატებელი საქმიანობით იყო გამოწვეული, აღმოსავლეთის ფრონტზე მარცხის მიზეზი გახდა.

ფოთის დაკარგვის შემდგომ ოსმალეთმა ყურადღება სოხუმზე გადაიტანა. ასლან ბეგს, რომელიც სოხუმის მმართველად იყო აღიარებული, რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა ებრძანა. მის დასახმარებლად კი ოსმალური სამხედრო გემებით სოხუმში იარაღი და ფული გაიგზავნა. რუსეთმა, გაითვალისწინა რა, რომ აფხაზეთში გიორგი შარვაშიძის დახმარება დასჭირდებოდა, 1810 წლის 17 თებერვალს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობის ქვეშ, აფხაზეთის მთავრად დანიშნა. სოხუმის აღებისთვის სამზადისში მყოფმა რუსეთმა სევასტოპოლიდან გემები გამოგზავნა. გარდა ამისა, სამეგრელოს ჯარს მხარდაჭერისთვის სოხუმში გამგზავრება სთხოვა (**Tsursumia, 2018: 90-91**). 8 ივლისს სოხუმში ჩასულმა რუსეთის სამხედრო ფლოტმა ციხე-სიმაგრეში განლაგებულ ოსმალეთის ჯარისკაცებს დანებების წინადადებით მიმართა. ოსმალებმა არ მიიღეს ეს შეთავაზება და რუსულ გემებს ცეცხლი გაუხსნეს. რუსულმა გემებმა მყისიერი წინააღმდეგობა გაუწიეს ოსმალებს და სოხუმის დაბომბვა დაიწყეს. დაბომბვის შედეგად ნავსადგურში მყოფი 7 ოსმალური გემი

ჩაიძირა და ციხე-სიმაგრის კედლები დაინგრა. რუსი ჯარისკაცები ნაპირზე გადავიდნენ და 1810 წლის 9 ივლისს სოხუმი დაიკავეს. ამგვარად, კავკასიაში შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი რუსების ხელში გადავიდა (ქორთუა, 1964: 264; ქადარია, 2003: 111; Aydın, 2005: 100).

სოხუმში ბრძოლების დაწყებამდე ასლან ბეგი 4 ათასი ჯარისკაცით დასავლეთ საქართველოსკენ დაიძრა. მას სურდა, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ იმერეთის მეფე სოლომონ II-ს ჯარით დახმარებოდა. სოხუმზე რუსების თავდასხმის ამბავი რომ გაიგო, ასლან ბეი უკან გაბრუნდა. თუმცა სოხუმს როცა მიუახლოვდა, მიხვდა, რომ ის უკვე რუსების ხელში იყო და მთაში გაიქცა (Tsurtsumia, 2018: 92).

23 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ რუსეთის იმპერიის წინაშე ერთგულების ფიცი დადო. ამგვარად, აფხაზეთის ტახტზე რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი მთავარი დაჯდა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი აფხაზეთის მთავარი იყო, მას არ ჰქონდა საკმარისი ავტორიტეტი. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არ ეთანხმებოდა რუსეთის ქვეშევრდომობაში ყოფნას. ეს იყო ჯგუფი პროოსმალურად განწყობილი ადამიანების, რომლებიც ასლან ბეგის მმართველობას უჭერდნენ მხარს. ასლან ბეგს თავის მომხრეებთან ერთად სოხუმის ციხე-სიმაგრის მახლობელ სოფლებზე მიჰქონდა იერიში. მიღებული ზომების შემდეგ, ასლან ბეგი ტრაპიზონში გაიქცა. სამეგრელოს დედოფალმა ნინო დადიანმა გიორგის წინააღმდეგ განწყობილი და ასლან ბეგის მხარდამჭერი ზოგიერთი აფხაზი თავადი გიორგისთან შეარიგა. მათ აღიარეს გიორგის მმართველობა და რუსეთს ერთგულება შეჰფიცეს.

1810 წლის აგვისტოში დასავლეთ საქართველოში მმართველად სიმონოვიჩი დაინიშნა, რომელიც ამ ტერიტორიებზე მყოფი რუსი ჯარის და ამავდროულად ქართული ჯარის მეთაურიც იყო (ვაჭრიძე, 1999: 117; წურწუმია, 2012: 92). მაგრამ იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა იმერეთისა და ზოგადად, დასავლეთ საქართველოს პოზიციასთან დაკავშირებით. სოლომონ II 1810 წლის 5 იანვარს ტორმასოვისადმი გაგზავნილ წერილში ამხელდა რუსეთის ხელისუფლების მიერ იმერეთის მეფესა და რუსეთის მთავრობას შორის დადებულ საქვეშევრდომო ტრაქტატის დარღვევის ფაქტებს (ქორთუა, 1964: 317). სოლომონ II-ს კარგად ჰქონდა გააზრებული რუსეთის საბოლოო მიზანი და ამიტომ დიდ სიფრთხილეს

იჩენდა. მან ქუთაისი დატოვა და ვარციხეში გამაგრდა. მეფე კვლავ მოითხოვდა ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, იმერეთის ავტონომიის გაფართოებას და თავისი უფლებების მიმართ პატივისცემას. იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მიერ რუსების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ოსმალეთი კმაყოფილებით შეხვდა. ოსმალეთი იმასაც ფიქრობდა, რომ ეს მდგომარეობა მას რუსებისგან ფოთის ციხის გამოსხნაშიც კი დაეხმარებოდა (COA, HAT., №: 42034-D).

მას შემდეგ, რაც რუსებმა ფოთის ციხე აიღეს, რუსეთის მეფე (ალექსანდრე I) მიიჩნევდა, რომ მისი ქვეყნის პოზიციები დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ გაძლიერდა. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ სოლომონ II ტახტიდან გადაეყენებინა და იმერეთის სამართავად რუსეთის ერთგული საბჭო შეექმნა (Aydin, 2005: 107). 1810 წელს თბილისში მყოფმა ტარმასოვმა იმერეთის მეფე სოლომონ II მეგობრული ურთიერთობების დამყარების საბაზით თბილისში დაპატიჟა. სოლომონ მეორემ მიიღო მოწვევა და თბილისში ჩავიდა. ტარმასოვმა ფარულად ბრძანება გასცა, რომ მეფე თავისი თანმხლები ამალით პეტერბურგში გადაესახლებინათ. ამ ვერაგული სვლის შედეგად სოლომონ II 40 დღე თბილისში პატიმრობაში იმყოფებოდა. შემდგომ კი ახალციხეში მოახერხა გაქცევა (Gökçe, 1979: 204; ბენდიანიშვილი, 1980: 53). სამეფოს ლიკვიდაცია იმერეთში დამატებითი ჯარის შეყვანას მოითხოვდა; ეს კი მიმდინარე ომების ვითარებაში შეუძლებელი იყო. ამიტომ რუსეთის მთავრობამ იმერეთში შინაფეოდალური განხეთქილების გაღვივების ხერხს მიმართა. გადაწყვიტეს მეფისგან გურიელის ჩამოცილება, რაჭის საერისთავოს აღდგენა და (სამეგრელოს მთავართან ერთად) მათი გამოყვანა მეფის წინააღმდეგ (დუმბაძე, 1957: 191). „დაყავი და იბატონე“-ს პოლიტიკამ გარკვეული შედეგი გამოიღო: დადანი და გურიელი ჩაეხრნენ ბრძოლაში იმერეთის მეფის წინააღმდეგ. მაგრამ მთავარი მიზანი მიუღწეველი იყო. ამიტომაც ტარმასოვს მოუხდა ახალი პოლკების გაგზავნა იმერეთში. ამ გზით რუსეთმა იმერეთის რეგიონის მთლიანად დაპყრობა შეძლო. სოლომონ II ფიქრობდა, რომ, ერთი მხრივ, ოსმალეთთან და მეორე მხრივ ირანთან ომში ჩაბმული რუსეთის პოზიციები დასავლეთ საქართველოში შესუსტებული იყო. ამიტომ ახალციხეში ჩასვლისთანავე იმერეთის სამეფოს უკან დასაბრუნებლად საომარ სამზადისს შეუდგა (ქორთუა, 1964: 325).



1810 წლის ივნისის დასაწყისში სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ახალციხიდან ჩამოვიდა და აჯანყების მოწყობის საქმეს ჩაუდგა სათავეში. 1810 წლის ივნისის ბოლოს, ათასკაციანი რაზმით იმერეთში ჩავიდა თვით სოლომონ II (Allen, 1932: 217-218; ვაჭრიძე, 1999: 89). ტორმასოვი იძულებული გახდა აჯანყების სალიკვიდაციოდ გადამწყვეტი ზომები მიეღო. იმერეთის საქმეების მოგვარება ცნობილ გენერალ ორბელიანს დაევალა. ამისთვის 2 ბატალიონი გამოიყო. იმერეთში სულ 8 ბატალიონი შეგროვდა. მაგრამ აჯანყება იმდენად ძლიერი და ფართო ხასიათისა იყო, რომ რუსთა ჯარები ზედიზედ მარცხდებოდნენ (დუმბაძე, 1957: 193). ა. ტორმასოვი უკმაყოფილო დარჩა დ. ორბელიანის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციებით და ამიტომ, 1810 წლის 16 ივლისს იგი გადააყენა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარების სარდლის მოვალეობიდან. მის მაგივრად გენერალ-ლეიტენანტი როზენი დაინიშნა. 1810 წლის 29 ივლისს როზენმა აჯანყებულებით გარშემორტყმული ქუთაისი აიღო და თ. სიმონოვიჩს შეუერთდა. აჯანყებულები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ იმერეთში სულ ახალი და ახალი ჯარები მოდიოდნენ. 25 სექტემბერს სოლომონი დარწმუნდა, რომ ბრძოლა წაგებულია, იმერეთი დატოვა და თავის ერთგულ მხლებლებთან ერთად ახალციხეში გადავიდა (ვაჭრიძე, 1999: 91-92). ახალციხეს გადასული მეფე კვლავ ცდილობდა საქმის შემობრუნებას, იმერეთის მოსახლეობის ახალი აჯანყებისათვის მომზადებას, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მაგრამ რუსეთის მთავრობამ იმერეთში მკაცრი რეჟიმი დაამყარა და გასაქანს არ აძლევდა ხალხს. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ არსებითად დამთავრდა საქართველოს რუსეთთან შერთების პროცესი.

სოლომონ II არ წყვეტდა რუსეთთან ბრძოლას და ოსმალეთისგან დახმარება ითხოვა. რუსეთთან ომში მყოფ ოსმალეთს, ერთის მხრივ, ქართველების თავის მხარეზე გადაყვანა სურდა, მეორეს მხრივ კი ომის სიმძიმის შემსუბუქებას ფიქრობდა. ოსმალეთმა სოლომონ მეორეს დახმარება და სამეფოს უკან დაბრუნებაში გვერდში დგომა აღუთქვა (COA, HAT., №:44599-C). ოსმალეთის მმართველობამ, სოლომონ II-ის კმაყოფილება რომ გამოეწვია და თან წაეხალისებინა, გადაწყვიტა, მისთვის ფულადი დახმარება - ხუთი ათასი ყურუში და სხვადასხვა საჩუქარი გაეგზავნა (COA, C.H.R., №: 45-2217; 77-3808).

რუსეთთან ომში ოსმალეთი ზედიზედ მარცხდებოდა როგორც ევროპის, ისე აღ-  
მოსავლეთის ფრონტზე. 1811 წლის მიწურულში რუსეთის არმიამ კუტუზოვის სარდ-  
ლობით მდ. დუნაის ნაპირზე ალყაში მოაქცია და გაანადგურა ოსმალეთის 60-ათა-  
სიანი ლაშქარი. 1811 წ. 8 დეკემბერს რუსთა ჯარებმა გამარჯვება მოიპოვეს სამხრეთ  
საქართველოშიც და ოსმალები ახალქალაქიდან გარეკეს (**დუმბაძე, 1957: 225**).

1811 წლის 6 ივლისს გენერალი ტორმასოვი უკან გაიწვიეს. სამხრეთ კავკასიაში  
რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად გენერალი ფილიპ პაულუჩი და-  
ინიშნა. რუსეთის მიერ საქართველოს თითქმის სრულად ხელში ჩაგდება, 1811 წლის  
11 ივლისს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და რუსეთის სინოდისადმი  
მისი დაქვემდებარება, მოსახლეობისგან გადასახადების ძალის გამოყენებით მოკრება  
და მსგავსი მიზეზები ხალხის რუსეთის წინააღმდეგ განწყობისა და უკმაყოფილების  
ზრდას იწვევდა, რაც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებების მომზადების მიზეზი გახდა.

რუსეთის წინააღმდეგ წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ, ოსმალეთს ომის გა-  
საგრძელებლად არც სამხედრო და არც პოლიტიკური რესურსი აღარ გააჩნდა. ამ გა-  
რემოებების გათვალისწინებით, ორივე სახელმწიფოს ომის დამთავრება სურდა. 1811  
წელს შედგა საზავო მოლაპარაკებების პირველი ეტაპი. რუსეთმა კავკასიაში მდინარე  
რიონიდან საზღვრებამდე ტერიტორიები მოხაზა და ანაპიდან ქემჰალამდე არსე-  
ბული ქართული მიწები, ჩერქეზეთი, ბალკანეთში კი ბესარაბია, ვლახეთი და მოლ-  
დავეთი მოითხოვა (**Kocabaş, 1989: 192**). ოსმალეთს კი მშვიდობის დამყარება სურდა  
ტერიტორიების დაკარგვის გარეშე. ამ პერიოდში რუსეთს არ შეეძლო მკაცრი და შეუ-  
ვალი პოლიტიკის გატარება. მას ოსმალეთთან ომის დამთავრება სურდა, რადგანაც  
აუცილებელი იყო არმიის მობილიზება ნაპოლეონის წინააღმდეგ. თანაც, ირანთან  
ომი ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო. ოსმალეთსაც თავისი შიდა საქმეების მოწეს-  
რიგება (სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში მთელი რიგი ცვლილებები და განახლება)  
და რუსეთისგან მომავალი საფრთხის მშვიდობიანი გზით მოგვარება ესაჭიროებოდა  
(**Kocabaş, 1989: 192**). ბუქარესტში გამართული ხანგრძლივი შეხვედრებისა და მოლა-  
პარაკებების შედეგად 1812 წლის 16 მაისს ხელი მოეწერა 16 მუხლისგან შემდგარ  
ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებას (**დუმბაძე, 1950: 225; Фадеев, 1960: 190; Aslantaş,**  
**2013: 150-151**). რუსეთისთვის ამ ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი

იყო ის, რომ საფრანგეთთან მოახლოებულ ომში, ოსმალეთი ნეიტრალური ქვეყნის როლში იქნებოდა (**Širokorad, 2009: 311**). მე-4 მუხლის მიხედვით, ოსმალეთსა და რუსეთს შორის საზღვარი მდინარე დუნაიზე დაიდო. ოსმალეთის საზღვრები კავკასიაში ომამდელ მდგომარეობაში უნდა დაბრუნებულიყო. ასევე ოსმალეთს უბრუნდებოდა რუსეთის მიერ დაპყრობილი სოხუმი, სუჯუკ-კალე, ფოთი და ანაპა (**Чапраз, 2004: 98**).

თუმცა, როგორც ჩანდა, რუსები რეგიონის დატოვებას არც კი ფიქრობდნენ. რუსეთის მიერ დასაბრუნებლად მოთხოვნილი ქემჰალის ციხეზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, ქუთაისისკენ მიმავალი გზის მშენებლობა და გურიაში ჯარის გაგზავნა ამის ნათელი დადასტურება იყო. რუსეთის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების უგულბელობის გამო ოსმალეთმა რუსეთისგან პასუხი მოითხოვა. გენერალ რტიშჩევის განმარტება ასეთი იყო: „...დასავლეთ საქართველო, რომელიც ერთ დროს ოსმალეთის დაქვემდებარებაში იყო, ახლა რუსეთის მფლობელობაშია. გარდა ამისა, ანაკლიისა და ქემჰალის ციხე-სიმაგრეები არ შედიან ხელშეკრულების პირობებში. ანაკლია სოხუმს ექვემდებარება, სოხუმის მმართველი საფარ ალი ბეი კი რუსეთს. ქემჰალის ციხესიმაგრე, თავის მხრივ, სამეგრელოს დაქვემდებარებაშია. ახალქალაქის ციხე-სიმაგრე ემინ ფაშასთვის, ფოთის ციხე-სიმაგრე კი ტრაპიზონის მმართველისთვისაა გადაცემული (COA, HAT., №: 44517-I)“. ამის გამო ოსმალეთი სოხუმის აღებას ძალისმიერი გზით შეეცადა და იქ ჯარი გაგზავნა. სოხუმის ასაღებად ასლან ბეგი გაიგზავნა. მან ციხის მეთაურს, ასისტავს, ციხის ევაკუაცია უბრძანა. „ხელმწიფის ბრძანების გარეშე ციხეს არ დავცლი“, - ასეთი იყო ასისტავის პასუხი. რუსეთი არ ელოდებოდა ოსმალეთისგან სოხუმის ასაღებად ჯარის გაგზავნას, ამიტომაც მან ოსმალეთის ამ ქმედებას მკაცრად უპასუხა. კავკასიის მთავარმართებელმა ტრაპიზონის მმართველს სულეიმან ფაშას რუსულ და თურქულ ენებზე შედგენილი 5 გვერდიანი წერილი გაუგზავნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ საკითხის მოგვარება სტამბოლში რუსეთის ელჩისა და სახელმწიფოთაშორისი დელეგაციების ჩარევით უნდა მოხდეს. სოხუმში სამხედრო ძალის გაგზავნა კი ხელს შეუშლის სამშვიდობო პროცესს. მით უფრო, რომ იქნება საპასუხო რეაქცია სამხედრო ძალის გამოყენებაზე. ამიტომ ჯარი დაუყონებლივ უნდა იქნას უკან გამოყვანილი (COA, HAT., № 44558-I).

ნიკოლაი რტიშჩევი ფიქრობდა, რომ სოხუმის მმართველი ვინც იქნებოდა, აფხაზი ხალხიც მას დაემორჩილებოდა. თუ ოსმალები სოხუმს დაეუფლებოდნენ, აფხაზები გიორგი შარვაშიძის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდნენ და რეგიონში ქრისტიანობის გავრცელების ახლად დაწყებულ პროცესს ზიანი მიადგებოდა. შედეგად, რუსეთის მიერ რეგიონის დაცვა შეუძლებელი იქნებოდა. უფრო მეტიც, აფხაზეთის მთავარმა თავის ხალხთან და ტერიტორიებთან ერთად ნებაყოფლობით აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა, ამიტომ ოსმალეთისთვის სოხუმის უკან დაბრუნება შეუძლებელია და ეს მოთხოვნა უარყოფილი უნდა იქნას (**Tsurtssumia, 2018: 97**).

მკვლევარ ქველი ჩხატარაშვილის აზრით, ბუქარესტის ხელშეკრულების მე-6 მუხლი საჭირო სიზუსტით არ იყო ჩამოყალიბებული, კონკრეტულად იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის შესახებ მასში არაფერი იყო ნათქვამი, რაც ოსმალეთს საშუალებას აძლევდა ამ მუხლისთვის სასურველი განმარტება მიეცა. თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ ბუქარესტის ზავით ოსმალეთ-რუსეთის ყველა ძველი ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა (მათ შორის ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ხელშეკრულებაც, რომელიც დასავლეთ საქართველოში თურქეთის უპირატეს უფლებებს აღიარებდა და 1791 წ. იასის ხელშეკრულება, რომელშიც დასავლეთ საქართველოს შესახებ მუხლი ბუნდოვნად იყო შედგენილი), ცხადი გახდება, რომ თურქებს დასავლეთ საქართველოზე პრეტენზიების გამოხატვის საშუალება რჩებოდათ (**ჩხატარაშვილი, 1985: 44**).

მოვლენების ამგვარად განვითარების პირობებში, ოსმალეთი, რომელიც ვერ დაეყრდნობოდა თავის სამხედრო ძალებს და ახალ ომს ვერ წამოიწყებდა, საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას დაჟინებით მოითხოვდა. იმ დროს, როდესაც რუსეთის ბატონობის განმტკიცებას სამეგრელოსა და გურიის მთავრები უწყობდნენ ხელს, აფხაზეთში ოსმალეთის მომხრეთა დაჯგუფებამ იმდენად იმპლავრა, რომ აფხაზეთის მთავარი იძულებული გახდა ოსმალეთთან მოლაპარაკება ეწარმოებინა. ამასობაში საფარ ბეგი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის მიერ სოხუმის ციხის აღებაში, საკმაოდ დაუახლოვდა ოსმალეთს და პატივსაც კი ითხოვა. პორტამ, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა საფარ ბეგს და მის მიმართ ყურადღებით იყო, სტამბოლიდან ფირმანი გამოგზავნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ სულთანს, ოსმალე-

თისთვის სოხუმის ჩაბარების შემთხვევაში, საფარ ბეგს შეიწყალებს (წურწუმია, 2012: 102). ამ მოვლენების პარალელურად, ასლან ბეგი სოხუმის ალებისთვის ბრძოლას განაგრძობდა, თუმცა უშედეგოდ. ოსმალეთი, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობდა, რომ ასლან ბეგისთვის გაწეული დახმარება არ გამჟღავნებულიყო (Aydin, 2005: 141). 1813 წლის მარტ-აპრილში ოსმალეთმა რუსეთს მოსთხოვა დაებრუნებინა მთელი დასავლეთ საქართველო და გაეთავისუფლებინა „სამხედრო ტყვეები“ - რუსეთში გადასახლებული მარიამ დედოფალი (სოლომონ II-ის მეუღლე) და მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე მარიამი (სოლომონის და) (ზარამიძე, 2005: 6). 1813 წ. 18 ივლისს ტრაპიზონის მხედართმთავარმა და ფოთის გარნიზონის უფროსმა სულეიმან ფაშამ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს მისწერა, რომ მათი მიწები ოტომანთა საკუთრებაა, რომ ისინი თანახმად ბუქარესტის ტრაქტატისა, რუსეთისგან თავისუფალნი არიან და მოუწოდა მათ არ შეეშვათ თავიანთ საბრძანებელში არც ერთი რუსი და მთლიანად მინდობოდნენ პორტას (ზარამიძე, 2005: 7). მიუხედავად ოსმალეთის ამ მოთხოვნისა, გურიელმა ეს რუსეთის სარდლობას აცნობა. რტიშჩევი გურიელს დახმარებას დაპირდა. სამაგიეროდ მოითხოვა, რომ გურიელს რუსებისთვის თურქეთის საზღვართან, შეკვეთილში, რედუტის ციხის აგების უფლება მიეცა. რაკი ფოთი თურქეთს დაუბრუნდა, შეკვეთილის სიმაგრე რუსეთს შავ ზღვაზე, რიონის სამხრეთით, დასაყრდენად გამოადგებოდა (ჩხატარაიშვილი, 1985: 45).

1813 წლის ნოემბერში ოსმალეთმა (ისევ და ისევ ბუქარესტის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით) იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, სოხუმის ციხის, რედუტ-კალეს და ანაკლიის უკან დაბრუნება მოითხოვა. თუმცა ნიკოლაი რტიშჩევისგან ამ მოთხოვნაზე უარი მიიღო (ჩხატარაიშვილი, 1985: 45). ამავდროულად, 1813 წლის 6 დეკემბერს რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით პოლკოვნიკი პეჩორსკი ექვსი ასეულით მივიდა გურიის საზღვართან, დაიბანაკა ჩოხატაურში და ორი ასეული მაიორ ივანოვის სარდლობით გაგზავნა შეკვეთილის ციხე-სიმაგრის ასაგებად. სწორედ ამ ციხე-სიმაგრეს უნდა უზრუნველყო ზღვისპირა საზღვრებისა და რიონით პროვიანტის შემოტანის უსაფრთხოება (ზარამიძე, 2005: 14).

იმერეთის მეფე სოლომონ II განაგრძობდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ის, ერთი მხრივ, საქართველოს რუსეთის შევიწროებისგან დაცვას ცდილობდა და მეო-

რეს მხრივ, იმერეთის სამეფოს შენარჩუნება სურდა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, როდესაც რუსეთმა გაიგო, რომ სოლომონ II ფოთში აპირებდა გამგზავრებას, ტრაპიზონში მყოფი თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ოსმალეთისგან მისი გადაცემა მოითხოვა (COA, HAT., №: 44615-C; Aydın, 2005: 146). სოლომონს ტრაპიზონის მხედართმთავართან, სამთულიან სულეიმან ფაშა ხაზინადაროღლუსთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ფაშამ ფოთში 100 ნავით 2000 ოსმალთა ჯარისკაცი ჩაიყვანა, იმერეთიდან დევნილ მეფეს თავისი გეგმის რეალიზაციის იმედი მიეცა (ზარამიძე, 2005: 10). მიუხედავად იმისა, რომ სოლომონ II-ეს გურიის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა და მიესალმა მის გურიაში ჩასვლას, მან რუსეთისთვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა მაინც ვერ მოახერხა. როდესაც რუსეთმა გაიგო, რომ სოლომონ II ფოთში იმყოფებოდა, რეგიონში შესაძლებელი არეულობის აღსაკვეთად ტრაპიზონის მმართველს სულეიმან ფაშას მუქარის წერილი გაუგზავნა და დაშინების პოლიტიკას მიმართა (Aydın, 2005: 147). ოსმალეთმა ვერ შეძლო სოლომონ II-სთვის სათანადო დახმარების გაწევა რუსეთთან ბრძოლაში. ამიტომ ქართველი ხალხის გვერდით დგომის დემონსტრირებისთვის იმერეთის დევნილი მეფე თავისი ამალით ოსმალეთში შეიფარა. მათ განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა და მატერიალურადაც ეხმარებოდა ყოველთვიური ხელფასის სახით (COA, HAT., №: 44603). თავისი ქვეყნიდან რუსების განდევნისთვის და იმერეთის ტახტის დაბრუნებისთვის მძიმე ბრძოლებგადატანილი სოლომონ II 1815 წლის თებერვალში ტრაპიზონში გარდაიცვალა (დუმბაძე, 1957: 228).

ოსმალეთმა ვერ მოახერხა რუსეთის დამარცხება. ამის მიზეზი როგორც სამხედრო ძალის არასაკმარისი რაოდენობა, ისე ქვეყნის შიგნით სამხედრო-პოლიტიკური უთანხმოებები გახლდათ. მისი წარუმატებლობის გამო, რუსეთი დასავლეთ საქართველოში დიდი ხნის მანძილზე დომინანტად იქცა. თუმცა, ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს მიმართ პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა და კვლავაც შესაფერის მომენტს ელოდა რეგიონის დასაკავებლად. ზავის მიუხედავად, ფოთის ფაშა საშუალებას არ აძლევდა რუსეთის გემებს საზღვაო გზით მოემარაგებინათ გურიის რუსული გარნიზონი (ზარამიძე, 2005: 14).

ოსმალეთს კავკასიაში რუსების პროგრესირებისთვის ხელის შემშლელად კავკასიელი ტომების მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ქვეყნის უკიდურეს წერტილში მდებარე და შავი ზღვის ჩამკეტად მიჩნეული ანაპის ციხე-სიმაგრის უფრო მეტი უსაფრთხოებისთვის მისი დამატებითი შეკეთება დაიწყო და დაცვისთვის სამხედრო ძალის გაზრდა იქნა მოთხოვნილი. ციხე-სიმაგრეში ჯარისკაცთა სასურველი რაოდენობის გაგზავნა პორტამ ერთბაშად ვერ უზრუნველყო. მხოლოდ 1825 წელს მოხდა, რომ ციხის მცველი მეომრების რაოდენობამ 1500-ს მიაღწია (Aydın, 2005: 156-158).

რუსეთის მომავალ გეგმებში შედიოდა აზერბაიჯანის სახანოებთან და ირანთან ბრძოლის გაგრძელება (Baddeley, 1995: 106-107). 1816 წლის 12 ოქტომბერს კავკასიაში გენ. ერმოლოვმა ჯარი შეიყვანა. მიზანი კავკასიის მთლიანად ხელში ჩაგდება იყო (Forsyth, 2013: 316). ერმოლოვი მხარს უჭერდა რეგიონში მკაცრი ზომების გატარებას და თავის მოსაზრებას ამასთან დაკავშირებით ასე გამოხატავდა: “მინდა, რომ შიშმა, რომელსაც ჩემი სახელის გაგონება გამოიწვევს, ჩვენი საზღვრები ჩვენს ციხე-სიმაგრეებზე უფრო მეტად დაიცვას. ჩემი ერთი სიტყვა მთიელთათვის სიკვდილზე მეტად გარდაუვალი ფირმანი უნდა იყოს” (Baddeley, 1995: 115). რაც უფრო იზრდებოდა რუსების მხრიდან კავკასიაში ხალხის შევიწროვება, მით უფრო ნათელი ხდებოდა სხვადასხვა თემების მიერ ბრძოლის დაწყების გარდაუვლობა.

ბუქარესტის ხელშეკრულების შემდეგ, 1813 წელს რუსეთმა ირანს გულისტანის მძიმე პირობებით ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი (Bilge, 2005: 181; Türkmen, 2001: 17). ამ ხელშეკრულებით დერბენდი, ბაქო, შირვანი, ყარაბაღი და ყუბა რუსეთის მმართველობის ქვეშ გადავიდა. ამასთან, ირანმა უარი თქვა შემდეგ დაღესტანსა და საქართველოზე (Budak, 2015: 11). გულისტანის ხელშეკრულებით რუსეთმა კავკასიაში ირანის გავლენას დიდი ზიანი მიაყენა. ამან კი რუსეთს როგორც სამხრეთ კავკასიის, ისე დაღესტნის დაპყრობა გაუადვილა.

დასავლეთ საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლები და აჯანყებები არასოდეს შეწყვეტილა. ქართველი ხალხი განაგრძობდა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. 1819 წელს იმერეთში რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ეს მოვლენა უკავშირდებოდა 1811 წელს რუსეთის მიერ დაწყებულ საეკლესიო რეფორმას, რომლის შედეგად გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ის რუსეთის სინოდის

დაქვემდებარებაში გადავიდა. მამია ღუმბაძე წერს: „იგი (რეფორმა - ჰ.ე.) შემუშავებულ იქნა ზევიდან ისე, რომ სავსებით უგულვებელყოფდა დასავლეთ საქართველოს წყობილებისა და არსებული სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის თავისებურებებს (ღუმბაძე, 1957: 232). იმერეთში 1819 წელს „საეკლესიო ბუნტის“ სახელით დაწყებულმა აჯანყებამ თანდათან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახე მიიღო. დღის წესრიგში დადგა მეფის არჩევის საკითხი, რაც სახელმწიფოებრიობის აღდგენას ნიშნავდა. აჯანყებულები ალექსანდრე ბატონიშვილისგან მხარდაჭერას ელოდნენ. საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო. ერთი ნაწილი ემხრობოდა სამეფო ტახტის ერეკლე II-ის ძისთვის გადაცემას, მეორე ნაწილი მხარს უჭერდა ივანე აბაშიძეს (სოლომონ მეორის შვილიშვილს). აჯანყებულთა ნაწილმა ივანე აბაშიძე იმერეთის მეფედ გამოაცხადა (კუპრაშვილი, 2011: 40). ოსმალეთისადმი გაგზავნილ წერილში ქართველები ოსმალეთს ერთგულებას უდასტურებდნენ და სამხედრო დახმარებას სთხოვდნენ (COA, HAT., №: 7584, 44597).

ერმოლოვმა აჯანყების ჩასაქრობად, გენერალ ველიამინოვის სარდლობით, ჯარის მსხვილი ნაწილები გაგზავნა. დიდი ბრძოლები მოხდა რაჭაში, იმერეთში. იმერეთის დამორჩილების შემდეგ გენ. ველიამინოვი 3200 კაცით გურიაში შეიჭრა. ციხეები, სოფლები მიწასთან იქნა გასწორებული. თვით ერმოლოვი წერდა, რომ აჯანყებული სოფლები განადგურებულია და მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ აღიდგენს ადრინდელ მდგომარეობას. უკიდურესი სიღარიბე იქნება მათი სასჯელი (ბენდიანიშვილი, 1980: 90).

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ველიამინოვმა, ერმოლოვის ბრძანების შესაბამისად, ემიგრაციაში წასულ მოჯანყეთა ყმა-მამული მეფის რუსეთის ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა. ამ აქტით რუსეთის ხელისუფლებამ დაარღვია გურიის მთავართან 1810 წლის ივნისში დადებული ხელშეკრულება. ავტონომიური გურიის სამთავროს ტერიტორიისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მეფის რუსეთმა მიითვისა. ამის გამო გურიელმა 1821 წ. 8 იანვარს ოფიციალური პროტესტით მიმართა იმერეთის მმართველის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ ივანე აფხაზს. ამას მოჰყვა ოფიციალური მიმოწერა სხვა დიდ მოხელეებთან. გურიელი პოზიციებს არ თმობდა. ის თავგამოდებით იბრძოდა თავისი სამთავროს ერთიანობისა და პრივილეგიების შესა-



ნარჩუნებლად. საგარეო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით მეფის რუსეთ-მა უკან დახევა არჩია. გურიის აჯანყების მონაწილეთა ყმა-მამულზე რუსეთის ხაზინამ ხელი აიღო და გურიელს გადასცა (**ჩხატარაიშვილი, 1985: 74-76**).

რთული სიტუაცია იყო აფხაზეთშიც. ასლან ბეგი განაგრძობდა სოხუმიდან რუსების განდევნისთვის ბრძოლას. მან აფხაზეთის მმართველობის ხელში აღებისთვის მოქმედებები კიდევ უფრო გაამძაფრა. 1821 წლის 30 ნოემბერს პ. გორჩაკოვმა ლიხნში, ოფიციალურ ცერემონიაზე, აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა დიმიტრი შარვაშიძე. იმისათვის, რომ ასლან ბეგის მხრიდან თავიდან ყოფილიყო აცილებული დიმიტრის მკვლელობის საფრთხე, რუსებმა ლიხნში 200 კაციანი საჯარისო შენაერთი დატოვეს. დიმიტრის მთლიანი მმართველობა რუსულ ძალას ეყრდნობოდა. მან იმ ხალხის ენაც კი არ იცოდა, რომელსაც მართავდა და არც ამ ხალხს იცნობდა. ამიტომაც აფხაზეთს რეალურად დიმიტრის დედა, საფარ ბეგის ქვრივი, თამარ შარვაშიძე მართავდა. დაახლოებით ერთი წელი დიმიტრი თითქმის ტყვესავით ცხოვრობდა სამთავროში. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიფრთხილე იყო გამოჩენილი მისი სიცოცხლის დასაცავად, ასლან ბეგთან კავშირში მყოფმა დიმიტრის მსახურმა მოახერხა მისი მოწამვლა. 1822 წლის 16 ოქტომბერს დიმიტრი გარდაიცვალა (**Tsurtsumia, 2018: 110-114**). მთავრად 13 წლის მიხეილი გაამწესეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მალე იძულებული გახდა დედასთან ერთად დაეტოვებინა აფხაზეთი. 1822-24 წლებში აფხაზეთში გამუდმებული არეულობაა (**დუმბაძე, 1957: 240**).

ასლან ბეგი განაგრძობდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ოსმალეთის სახელმწიფოსგან დახმარება არასაკმარისი იყო. თუმცა ასლან ბეგმა მოახერხა ანაპის მცველის მხარდაჭერით კავკასიელი თემებისგან სამხედრო დახმარების მოპოვება და რუსების წინააღმდეგ აჯანყების დაწყება. 1824 წელს ლიხნსა და მის შემოგარენში რუსებთან ბრძოლების შედეგად უამრავი რუსი მეომარი, მათი მეთაურის ჩათვლით, გამოასალმეს სიცოცხლეს. მოვლენების ამ მიმართულებით განვითარებამ და რეგიონში ასლან ბეგის მზარდმა გაძლიერებამ გენერალ ერმოლოვის შეშფოთება გამოიწვია. მან აფხაზეთში 2000 რუსი ჯარისკაცისა და სამეგრელოდან 1300 მეომრის გაგზავნა ბრძანა. რუსულმა შენაერთმა გორჩაკოვის მეთაურობით ჩაახშო აჯანყება. ასლან ბეგი იძულებული გახდა გაცლოდა რეგიონს (**Aydın: 2005: 142; კუპრაშვილი, 2011: 42**). იმ

დროს, როდესაც აფხაზეთში ეს ამბები ვითარდებოდა, ოსმალეთი თავისი ქვეყნის შიგნით მიმდინარე არასასიამოვნო მოვლენებთან (ბერძნების აჯანყება) გამკლავებას ცდილობდა და კავკასიაში აქტიურ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა. ამიტომაც ვერ ახერხებდა გაზრდილი რუსული მმართველობისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

რაც შეეხება ირანს, 1820-იანი წლები მისთვის იყო ბოლო მცდელობები, რათა რამენაირად შეემსუბუქებინა ის ზარალი, რომელიც 1813 წლის გულისტანის ხელშეკრულების პირობებით მიადგა. პირველ რიგში, ირანმა სამხედრო დახმარება გაუგზავნა ასლან ბეგს, რომელმაც რუსების წინააღმდეგ დაღესტანში წარმატებას მიაღწია. ამით ირანმა რეგიონში უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა. ამის შემდგომ ირანმა, დაღესტანთან ერთად, სამხრეთ კავკასიიდან რუსების განდევნის მიზნით მათთან ომი წამოიწყო (1826) (**Berkok, 1958: 416**).

რუსეთს დამაბული ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან, რადგანაც რუსეთი ოსმალეთში მიმდინარე ბერძნების აჯანყებას უჭერდა მხარს. პარალელურად, რუსეთი ახდენდა ირანის დესპანის პროვოცირებას ოსმალეთის წინააღმდეგ.

1827 წლის 29 მარტს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა კავკასიის მთავარმართებლად გენერალი ივანე პასკევიჩი დანიშნა (**Bilge, 2005: 189; Tsurtsumia, 2018: 118**), რომელმაც წარმატებები მოიპოვა ირანთან ომში (**Türkmen, 2001: 19**). დამარცხებული ირანი იძულებული გახდა 1828 წლის 8-9 თებერვალს ხელი მოეწერა თურქმენჩაის ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები რუსეთს დარჩა. რუსეთსვე გადაეცა ლენქორანში მდებარე თალიშის ერთი ნაწილი, რითაც რუსეთმა მოიპოვა კასპიის ზღვაზე გასასვლელი. ირანი დათანხმდა 30 მილიონი რუბლის გადახდას ომის კომპენსაციისთვის და რუსეთში წასვლის მსურველი სომხებისთვის უფლების მიცემას. ამგვარად, ირანის ბატონობა კავკასიაში დასრულდა (**Budak, 2015: 13**). შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში რუსეთის კონკურენტი მხოლოდ ოსმალეთის იმპერია იყო.

ამ მოვლენების პარალელურად იმერეთში ისევ შეინიშნებოდა ქვეყნის გამოხსნისკენ მიმართული მოძრაობა. მეფობის ერთ-ერთი კანდიდატის, ბატონიშვილ ვახტანგის მიერ 1827-1828 წლებში ოსმალეთის იმპერიაში გაგზავნილ წერილში საუბარია საქართველოში სამხედრო ძალის გამოგზავნასა და დახმარებაზე. ვახტანგის

თქმით, საქართველოში ამ პერიოდში რუსეთის ჯარის მხოლოდ მცირედი ნაწილია დარჩენილი, რადგანაც დიდი ნაწილი ირანთან ბრძოლაშია ჩართული. თუ ეს დახმარება უზრუნველყოფილი იქნებოდა, ის ოსმალეთის იმპერიის ერთგულების პირობას იძლეოდა. წერილში ასევე გაცხადებულია, რომ ხალხი ოსმალეთის მმართველობის მომხრეა (COA, HAT., №: 42796). დროდადრო ოსმალეთში გაგზავნილი მსგავსი თხოვნები ოსმალეთის მმართველებს იმედიანად განაწყობდა, თუმცა რეგიონის ერთგულები ხან რუსეთის, ხან კიდევ ირანის გავლენის გამო განწყობებს იცვლიდნენ. ამიტომაც ოსმალეთის სახელმწიფოს წინდახედული, ფრთხილი პოლიტიკის გატარება უხდებოდა. მეორე მხრივ, კავკასიის რეგიონის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ოსმალეთის ინტერესების გამორიცხვა ამ რეგიონიდან და სრულად რუსეთისთვის მისი დატოვებაც არ იქნებოდა მართებული.

ამასობაში ცვლილებები გურიის სამთავროშიც იყო მოსალოდნელი. სანამ მამია გურიელი ცოცხალი იყო, რუსეთის ხელისუფლებას ამ რეგიონიდან პრობლემები არ შექმნია, რადგან ის რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ კაცად ითვლებოდა. მაგრამ 1826 წლიდან სიტუაცია შეიცვალა. 1826 წლის 21 ნოემბერს მამია V გურიელი გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე დავითი იმ დროისათვის მცირეწლოვანი იყო (ვაჭრიძე, 1999: 261). ამიტომ დედოფალმა სოფიომ მესამე დღესვე, არ დაელოდა რა რუსული ხელისუფლების სპეციალურ ნებართვას (როგორც იყო გათვალისწინებული მფარველობის პირობებით), გურიის თავად-აზნაურობა თავის და დავით ბატონიშვილის ერთგულებაზე დააფიცა. თანაც ასკანისა და ლიხაურის ციხეები კიდევ უფრო გაამაგრებინა (ზარამიძე, 2005: 28). ერმოლოვმა სოფიოს საქციელი არამართებულად მიიჩნია და მას საყვედური შეუთვალა. ერმოლოვს სოფიოს რუსეთისადმი ერთგულებაში ეჭვი ეპარებოდა და გადაწყვიტა შეძლებისდაგვარად შეეზღუდა მისი საგამგებლო უფლებები. მისი ბრძანებით, 1827 წ. 3 იანვარს დაარსდა გურიის სამთავროს მმართველი საბჭო, რომელსაც უნდა ემართა სამთავრო, სანამ ტახტის მემკვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა (ჩხატარაიშვილი, 1985: 82). ხელისუფლების მოყვარე და თავისი შვილის სამემკვიდრეო უფლებათა ენერგიული დამცველი სოფიო გურიელი რუსეთის მთავრობას პროტესტს უცხადებდა. იგი ძველებური წესრიგის დატოვებისთვის იბრძოდა (დუმბაძე, 1957: 244). რუსეთმა გურიაში თავისი მოხელე გაამწესა.

გურულებს რუსი მოხელისთვის თავის დახრა არ სურდათ და აჯანყდნენ. რუსებმა აჯანყება ჩაახშეს.

რუსეთის პოლიტიკით განაწყენებულმა დედოფალმა სოფიომ გადაწყვიტა ოსმალეთის მფარველობაში შესულიყო. იქაურ გავლენიან წრეებთან სოფიოს მიმოწერა რუსული ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო. პორტასთან მზარდი დაპირისპირებისა და 1828 წლის მაისიდან საომარი პირობების ვითარებაში მთავარმართებელი და მისი ხელქვეითი დედოფალს კეთილგონიერი მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ოსმალური ორიენტაცია და რუსეთთან აშკარა დაპირისპირება მას კარგს არაფერს უქადდა. წერეთლის ასული კი გურიის სამთავროს გადარჩენაზე ფიქრობდა და ამ საქმეში ოსმალეთის მხარდაჭერა დიდად ეიმედებოდა (**ბარამიძე, 2005: 31-39**). გურულებმა ოსმალეთს წერილი მისწერეს, სადაც რუსეთთან თავიანთ ბრძოლაზე ატყობინებდნენ და უიმედო, გამოუვალი მდგომარეობის გამო ოსმალეთის იმპერიაში თავშესაფარს ითხოვდნენ (**Gökçe, 1979: 222**). ოსმალეთი გურიაში განვითარებული მოვლენებით კმაყოფილი იყო. ოსმალეთიდან გაგზავნილი იქნა დოკუმენტი, რომელიც დედოფალ სოფიოს გურიის მმართველად აღიარებას ეხებოდა, რის გამოც დედოფალმა ოსმალეთს მადლიერება და მისდამი ერთგულება გამოუცხადა (**COA, HAT., №: 29329-G**). ამ დროს ფადიშაჰმა გურიის მთავარს, დავითს, ოქროსტარიანი ხმალი გაუგზავნა საჩუქრად და მისი მოთხოვნების გასათვალისწინებლად შესაბამისი ბრძანების გაცემა მოითხოვა (**COA, HAT., №: 43435**). მაჰმუდ II-ემ ეს სურვილები სისრულეში მოიყვანა. დავით ხანისთვის გადასაცემი 1000 ცალი თოფი და 500 ცალი ხმალი ტრაპიზონში საწყობში ინახებოდა. ტრაპიზონის ვილაიეთში 1828 წლის 8 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ ეს იარაღი, როცა ამის დრო მოვა, ქართველებისთვის გადაეცათ (**COA, HAT. №: 44613**).

აღნიშნული სამზადისი მაჰმუდ II-ის პოლიტიკის შედეგი იყო, რაც კავკასიაში ოსმალეთ-რუსეთის შორის შესაძლო ომის დაწყების შემთხვევაში ქართველების ოსმალეთის მხარეზე დგომის განზრახვით იყო ნაკარნახევი.

ამგვარად, პერიოდი ბუქარესტის ზავის დადებიდან 1828 წ. აპრილამდე, როდესაც ოსმალეთ-რუსეთის ახალი ომი დაიწყო, დასავლეთ საქართველოსთვის მთელი რიგი სისხლიანი აჯანყებებითა და მმართველებისა და მთავრების ხშირი ცვლით

აღინიშნა. რაც ნიშანდობლივია, დასავლეთ საქართველო ისევ რჩებოდა ოსმალეთისა და რუსეთის მიერ გავლენის მოპოვებისთვის ბრძოლის ასპარეზად. მეორე მხრივ, ბუქარესტის ხელშეკრულებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბალკანეთში, კავკასიასა და სრუტეებზე რუსეთის პოლიტიკის განსაზღვრა-ჩამოყალიბებაში.

რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომის მსვლელობისას რუსეთმა მოახერხა აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, იმერეთის მიერთება და მეფის ხელისუფლების გაუქმება. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა ძალებმა სოლომონ II-ის მეთაურობით და შემდგომ წლებში, ვერ შეძლეს მართვის სადავეების ხელში აღება, ვერც გარე ძალების, მათ შორის ოსმალეთის დახმარებით, რადგან დასუსტებულ პორტას ამ მიმართულებით ღია და ხელშესახები მხარდაჭერის აღმოჩენა არ შეეძლო, რადგან ერიდებოდა რუსეთის ზედმეტად გაღიზიანებას.

საქართველოში რუსი საჯარისო შენაერთების რიცხვის გაზრდამ, რუსეთის მიერ შავ ზღვაზე კონტროლირებადი არეალის გაზრდამ, მათ შორის ყირიმის დაპყრობამ და მეორეს მხრივ, 1804 წელს ქარა (შავი) გიორგის მეთაურობით აჯანყებული სერბებისთვის ადამიანური, მატერიალური რესურსებით და იარაღით დახმარების გაწევა საფუძვლიანი მიზეზი გახდა იმისა, რომ 1806 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაწყებულიყო.

1806-1812 წლებში კავკასიის ფრონტზე რუსეთს-ოსმალეთს შორის ბრძოლები შავიზღვისპირეთის ისეთ ციხე-ქალაქებში მიმდინარეობდა როგორცაა: ფოთი, სოხუმი და ანაპა. სახმელეთო ბრძოლები კი ახალქალაქისა და იმერეთის რეგიონში იმართებოდა. რუსეთის ბატონობით უკმაყოფილო სოლომონ II საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ძალას არ იშურებდა და ოსმალეთის დახმარებით ცდილობდა მიზნის მიღწევას.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელ ხალხებზე რუსეთი ზეწოლას ახორციელებდა, ისინი რუსეთ-ოსმალეთის ომებში ოსმალეთს ეხმარებოდნენ და მისდამი ერთგულებას გამოხატავდნენ. ისლამის გავრცელებამ დიდი გავლენა იქონია იმ პერიოდში კავკასიელი ხალხების (განსაკუთრებით აფხაზებისა და ჩერქეზების) საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

ოსმალეთი რუსეთთან ბრძოლებში პერმანენტულად მარცხდებოდა. რუსეთმა კავკასიის რეგიონში ხელთ იგდო ანაპიდან ქემჰალამდე მდებარე დიდი ტერიტორია. ოსმალეთს თავისი არასახარბიელო სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობის გამო აღარ შესწევდა ძალა, რომ ბრძოლები გაეგრძელებინა. რუსეთსაც, საფრანგეთთან დადაბული ურთიერთობების გამო, ომის დამთავრება სურდა. საბოლოოდ 1812 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა ბუქარესტის ხელშეკრულება, რომლითაც ოსმალეთმა ძირითადად შეძლო შეენარჩუნებინა არსებული საზღვრები და უზრუნველყო ომის დროს რუსეთის მიერ ხელში ჩაგდებული სოხუმის, სუჯუკ-კალეს, ფოთისა და ანაპის ციხესიმაგრეებისა და დასავლეთ საქართველოს დაბრუნება.

აღნიშნული რეგიონებისადმი ორმხრივი ინტერესებით გამოწვეულმა პრობლემებმა რუსეთი და ოსმალეთი ისევ ომის დაწყების საშიშროების წინაშე დააყენა. ამან აიძულა ოსმალეთი კავკასიის რეგიონის ცალკეული ტერიტორიები რუსეთის საკუთრებად ელიარებინა, რადგანაც მას არც ეკონომიკური და არც სამხედრო კუთხით ომის წარმოების ძალა არ შესწევდა.

კავკასიაში რუსეთის შთამბეჭდავ გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა ოსმალეთის მიერ რეგიონში არსებული ციხე-სიმაგრეებისთვის საჭირო საბრძოლო მასალებით მომარაგების შეუძლებლობამ და კავკასიის ფრონტზე მეტრძოლი ოსმალეთის სარდლობაში არსებულმა უთანხმოებამ. პორტა თავისი შიდა პრობლემებით იყო დაკავებული და ამიტომაც ვერ მოახერხა, რომ სათანადოდ მიეხედა და უფრო მეტი სერიოზულობით მოჰკიდებოდა კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს.

ოსმალეთის არასტაბილურობამ და გეგმის გარეშე მოქმედებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი რუსეთის წარმატებას კავკასიაში. ბუქარესტის შეთანხმების შემდეგ რუსეთმა კავკასიაში დამკვიდრება კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გააგრძელა.

### § 3. დასავლეთ საქართველო რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის პერიოდში. ადრიანოპოლის ზავის შედეგები

XIX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს რუსეთ-ოსმალეთს შორის მორიგი სამხედრო დაპირისპირება დაიწყო, რაც რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული:

1. საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ნაციონალური იდეის წინ წამოწევის შედეგად ოსმალეთის სახელმწიფოში მიმდინარე სერბებისა და ბერძნების აჯანყებები, რომელსაც რუსეთი უჭერდა მხარს; 2. იმპერატორ პეტრე I-დან მოყოლებული რუსეთის ისტორიული ამბიცია ოსმალეთის მიმართ; 3. ევროპის სახელმწიფოებისგან და რუსეთისგან ბერძნების საკითხთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე უარის მიღების შემდგომ ნავარინში ოსმალეთის ფლოტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა; 4. ნიკოლოზ I-ის მიერ ოსმალეთის სახელმწიფოს რთული მდგომარეობის (ფაქტობრივად, არმიის გარეშე ყოფნა - იენიჩრების არმიის გაუქმების შემდეგ ახალი არმიის ფორმირების პროცესი არ იყო დასრულებული), სათავისოდ გამოყენების მცდელობა, რაც მიზნად ისახავდა სტამბოლის თავისი კონტროლის ქვეშ მოქცევას.

როდესაც ვსაუბრობთ იმ მოვლენებზე, რომლებიც ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომს წინ უძღოდა, მხედველობაშია მისაღები უფრო დასავლეთში განვითარებული პროცესები, ვიდრე ის, რაც კავკასიაში ხდებოდა. საფრანგეთის რევოლუციის მიერ წამოყენებულმა ეროვნულმა (ნაციონალურმა) იდეამ გავლენა იქონია როგორც მთლიანად ევროპაზე, ისე ოსმალეთის სახელმწიფოზეც (Özcan, 2014: 16). ბუქარესტის ხელშეკრულების მიხედვით სერბეთს მიენიჭა ავტონომია (Armaoğlu, 1997: 97), რამაც მისი შიდა პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრა. ამან კი ოსმალეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება გამოიწვია. ამის კვალდაკვალ, დამოუკიდებლობის მსურველმა ბერძნებმაც მოაწყვეს აჯანყება პელოპონესში (Erkin, 1940: 3). მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთმა ჩაახშო ეს აჯანყება, ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის ჩარევის გამო საკითხმა საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა (Efe-Kızıl, 2018: 315). განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთის როლი, რომელიც ბალკანეთში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის პრობლემებს საკუთარ პრობლემებად მიიჩნევდა. ამიტომაც მან ეს მდგომარეობა ოსმალეთზე დარტყმის მიყენების საშუალებად გამოიყენა და აჯანყებულებს მხარი დაუჭირა (Kocabaş, 1989: 194). რეალურად, რუ-

სეთმა ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შედეგად ოსმალეთის მიმართ მთელი რიგი უპირატესობა მოიპოვა (იქ მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანების მუდმივი დაცვის უფლება) და მათი გამოყენება დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული დაპყრობები სისტემური გეგმის ნაწილი იყო.

1828-1829 წწ. ომის დაწყება განაპირობა, ასევე, ალექსანდრე I-ის გარდაცვალების შემდეგ თურქების მტრის – ნიკოლოზ I-ის გამეფებამ (**Kurat, 1990: 53**), რამაც გამოიწვია ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობების დამაბეზა (**Budak, 2015:14**). მისი, როგორც მეფის, მიზანი ეკატერინე II-ისა და ალექსანდრე I-ის მეფობის დროს დაპყრობილი ტერიტორიების გაფართოება და ძლიერი ჯარის შექმნით ევროპაში ჰეგემონიის დამყარება იყო. გასათვალისწინებელია ზოგადად ის ამბიციაც, რომელიც რუსეთს პეტრე I-დან მოყოლებული ოსმალეთის მიმართ გააჩნდა. როდესაც ნიკოლოზმა ტახტი დაიკავა, რუსეთში ინგლისის ელჩთან პირველსავე შეხვედრაზე, პეტერბურგში რუსეთის სურვილი გამჟღავნა. „ოსმალეთის სახელმწიფო მძიმე ავადმყოფია და სულს ღაფავს. ამიტომ ჩვენ, დროის დაკარგვის გარეშე, უნდა მივიღოთ ჩვენი წილი“, - განუცხადა მან ინგლისის ელჩს (**Ünal, 1977: 187**). ამ მიზნით რუსები შავ ზღვაზე უნდა გასულიყვნენ და რაც შეიძლება მეტად დაახლოვებოდნენ სტამბოლსა და ინდოეთს. შავ ზღვაზე გასვლის შემდეგ კი, საზღვაო არსენალის შექმნით, სამხრეთისკენ - თბილი ზღვებისკენ დაძრულიყვნენ (**Aykun, 2002: 721**). ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად რუსეთს ოსმალეთის მიწები უნდა ჩაეგდო ხელში (**Armaoğlu, 1997: 176**). თუკი გადავხედავთ რუსეთის სტრატეგიას ოსმალეთის მიმართ, ვნახავთ, რომ მისი მიზანი ოსმალეთის განადგურება კი არა, მისი დასუსტება იყო. ამ ომში ბალკანეთიდან სტამბოლზე გასვლა და მისი ხელში ჩაგდების სტრატეგია ოსმალეთის განადგურებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულებიდან უფრო მეტი სარგებლის მიღებას (**Bitis, 2002: 4**).

რუსეთმა 1826-1828 წლების ომში სრულიად დაამარცხა კავკასიაში თავისი მეტოქე ირანი. ამის შემდეგ, კავკასიაში მისი უპირველესი მიზანი მდინარე ჭოროხიდან მდინარე ყუბანამდე ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი დასავლეთ კავკასიის ხელში ჩაგდება იყო (**Bilge, 2005: 190**). გასათვალისწინებელია, რომ ეს პერიოდი ოსმალეთისთვის სამხედრო-პოლიტიკურ, სოციალურ და ბევრ სხვა სფეროში განახლების და



რეფორმების ხანა იყო. ოსმალეთს სურდა განახლებული, ძალა მოკრებილი და გაძლიერებული წარმდგარიყო ევროპის სახელმწიფოების წინაშე. ამისთვის ის მცდელობას არ აკლებდა. პარალელურად სულთანმა მაჰმუდ II რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას ცდილობდა. ომამდე ცოტა ხნით ადრე (1826 წ.), მან გააუქმა იენიჩართა კორპუსი და ახლის შექმნამდე, ჯარის გარეშე დარჩა. ეს ამბავი ცნობილი იყო რუსეთისთვის და ნიკოლოზ I ფიქრობდა, რომ ამ მდგომარეობის გამო სტამბოლზე კონტროლის დამყარების მალე შეძლებდა (Kocabaş, 1989: 203).

აღნიშნულ პერიოდში უკვე აქტიურ ფაზაში იყო რუსების მიერ წაქეზებული ბერძნების აჯანყება (Öztuna, 2011: 63-64; Turan, 1951: 111). ოსმალეთს არასაკმარისი სამხედრო ძალის გამო გაუჭირდა მისი ჩახშობა. სხვა გამოსავალი რომ აღარ დარჩა, ოსმალეთმა დახმარებისთვის ეგვიპტის მმართველს, მეჰმედ ალი ფაშას მიმართა, რომელსაც ძლიერი არმია ჰყავდა (Danışmend, 1972: 108). პასუხად ფაშამ, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ (მისთვის პელოპონესისა და კრეტას გუბერნიების გადაცემა), ოსმალეთს დახმარება აღუთქვა. სტამბოლის მხრიდან თანხმობის მიღებისთანავე, ფაშამ თავის ვაჟს, იბრაჰიმ ფაშას, 60 გემით და 20 ათასი მეომრით აჯანყების ჩახშობა დაავალა (Ünal, 1977: 187; Özcan, 2014: 17).

ბერძნების აჯანყება, რომლის ჩახშობაც ოსმალეთის მმართველებმა ოთხი წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს, იბრაჰიმ ფაშას რეგულარული არმიის მიერ ძალიან მოკლე დროში იქნა ჩახშობილი (Karal, 1994: 115). ამით უკმაყოფილო რუსეთმა 1826 წლის 17 მარტს ოსმალეთს ულტიმატუმი წაუყენა (Gökçe, 1979: 225). რუსეთი ფიქრობდა, რომ საფრანგეთთან მიმდინარე ომის პირობებში ბუქარესტის ხელშეკრულების აღსრულება დაჩქარდებოდა და ზოგიერთი მუხლი (მოლდავეთთან, ვლახეთთან და სერბეთთან დაკავშირებული მუხლები) თავიდან იქნებოდა განხილული (Kocabaş, 1989: 201), რამაც შედეგი გამოიღო: 1826 წლის 7 ოქტომბერს, ხელი მოეწერა აკერმანის კონვენციას (Ünal, 1977: 188; Kurat, 1990: 55), რომლის IV მუხლის თანახმად, რუსეთის სამფლობელოდ დამტკიცდა ბუქარესტის ზავის VI მუხლით შეძენილი კავკასიის შავიზღვისპირეთის ბაზები, რომელთა დაბრუნებას 14 წლის განმავლობაში მოითხოვდნენ ოსმალეთის მმართველი წრეები (Фадеев, 1960: 214). ეს რუსეთის დიდ გამარჯვებად შეფასდა (Ünal, 1977: 188; Aslantaş, 2013: 150; Jorga, 2005: 272). შეიძლება

ითქვას, რომ ოსმალეთი კმაყოფილიც კი იყო იმით, რომ რუსეთმა თავისი მოთხოვნები კიდევ უფრო არ გააფართოვა და ბერძნების აჯანყებასთან დაკავშირებით არანაირი მოთხოვნა არ გამოუთქვამს, რადგანაც ეს საკითხი მას უფრო მეტად აწუხებდა.

ბერძნების აჯანყების ჩახშობამ ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთის უკმაყოფილება გამოიწვია. დაიწყო მოლაპარაკებები, რის შედეგად, 1827 წლის 6 ივლისს ხელი მოეწერა ლონდონის კონვენციას (**Karal, 1994: 117; სურგულაძე, 1973: 188**), რომლის თანახმად, საბერძნეთისთვის შეთავაზებული იქნებოდა დამოუკიდებლობა. თუ ოსმალეთის სახელმწიფო ამ წინადადებას არ მიიღებდა, კონვენციის საიდუმლო მუხლზე დაყრდნობით მოხდებოდა მასზე ზეწოლა და იძულებით დთანხმება (**Öztuna, 2013: 46; Armaoğlu, 1997: 180**). ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფერთევ ფაშამ განაცხადა, რომ ის არ ეთანხმებოდა ამ წინადადებას, რადგანაც ის, ერთი მხრივ, ოსმალეთის საშინაო საქმეებში ჩარევად, მეორე მხრივ კი იმპერიის შიგნით მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის წამახალისებელ მაგალითად მიაჩნდა (**Kocabaş, 1989: 204; Erkin, 1940: 7**). ამიტომ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი, რომელთა ინტერესებს სრულად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის მიერ აჯანყებების ჩახშობა, შეიკრიბნენ და ბერძნებისთვის მხარდაჭერის დასტურად საბრძოლო ხომალდები პელოპონესში გაგზავნეს, ოსმალეთს კი ამ რეგიონიდან ჯარისკაცებისა და საზღვაო ძალების გაყვანა მოსთხოვეს (**Karal, 1994: 118**). მოკავშირეები 1827 წლის 20 ოქტომბერს ოსმალეთის და ეგვიპტის ფლოტებს მოულოდნელად დაესხნენ თავს და რამდენიმე საათში ჩამირეს 52 თურქული ხომალდი. ოსმალეთის სახელით ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფერთევ ევენდიმ ინგლისს, საფრანგეთს და რუსეთს საპროტესტო განცხადებით მიმართა და ფლოტის განადგურებისთვის კომპენსაცია მოითხოვა (**Kocabaş, 1989: 206; სვანიძე, 2007: 281**). მოთხოვნაზე უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ოსმალეთმა ამ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა (**Karal, 1994: 118**). 1827 წლის 8 დეკემბერს ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის ელჩებმა სტამბოლი დატოვეს (**Öztuna, 2013: 47**).

ოსმალეთმა, რუსეთის თავდასხმის თავიდან ასაცილებლად და იმის გამო, რომ სამ სახელმწიფოსთან ერთდროულად ბრძოლის წარმოება არ შეეძლო, მდინარე დუნაის ნაპირებზე ჯარისკაცების გაგზავნა დაიწყო (**Kurat, 1990: 56**). მიუხედავად იმისა,

რომ ოსმალეთის სახელმწიფო რეალურად არ იყო მზად რაიმე სახის ომში მონაწილეობისთვის, ის მაინც განაგრძობდა მზადებას რუსეთთან შესაძლო ომისთვის. აღმოსავლეთ ფრონტის მთავარსარდლად ერზრუმის მმართველი გალიფ ფაშა იქნა გამწესებული (Aykun, 2002: 1215).

ფოთის ციხე-სიმაგრის დაცვის უფროს ჰაჯი ალი ფაშას ებრძანა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო ფოთში და რუსების თავდასხმების წინააღმდეგ სამხედრო მობილიზება უზრუნველყო (Aydın, 2005: 207). ამის შემდგომ გურიიდან 700 ჯარისკაცი გაიგზავნა, პორტას მხრიდან კი 5000 ყურუში გამოიყო (COA, HAT., №: 44291). შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ციხე-სიმაგრეებში ასეთი მნიშვნელოვანი ზომების გატარების პარალელურად, ყარსსა და ახალციხეში სანგრების გათხრა და სამხედრო ნაწილების შექმნა დაიწყო. გარდა ამისა, გურიასა და იმერეთზე რუსების მიერ განხორციელებული თავდასხმების გამო ამ რეგიონებისთვის სამხედრო დახმარების გაწევის გადაწყვეტილება იქნა მიღებული (Aydın, 2005: 207-208).

ერზრუმის მმართველის გალიფ ფაშას მიერ ბაზი ალისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ რუსები ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდნენ. ფაშა ანატოლიის საზღვრის გასწვრივ რეგულარული ჯარის ნაწილების გაზრდას ითხოვდა (Köprülü, 1996: 331). აქვე საუბარია იმაზეც, რომ ახალციხეში მყოფი იმერეთის ბატონიშვილის ვახტანგისა და ერეკლე II-ის ვაჟის ალექსანდრეს, რომელიც ერზრუმში იმყოფებოდა, ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ მათ საქმესაც წაადგებოდა (COA, HAT., №: 44307; 38094-C). ერზრუმის მმართველის ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბატონიშვილები რუსეთის თავიანთი ქვეყნიდან სრულად განდევნისთვის დიდ ძალისხმევას იჩენდნენ. რუსეთის წინააღმდეგ 1819-1820 წლების აჯანყებებში განსაკუთრებით აქტიური როლი ვახტანგ ბატონიშვილმა ითამაშა. გურიის მმართველის სოფიოს მიერ ოსმალეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში კვლავ სამხედრო დახმარების თხოვნაზეა საუბარი. წერილში აღნიშნულია გურიიდან რუსების განდევნის მტკიცე გადაწყვეტილება და ხაზგასმულია ოსმალეთის სახელმწიფოსადმი ერთგულება. ამ თხოვნის საპასუხოდ გადაწყდა, რომ გურიისთვის სამხედრო და სხვა სახის დახმარება გაეწიათ და გურიის მოსახლეობის რუსების წინააღმდეგ განეწყობ (COA, HAT., №: 44625).

ნავარინის ბრძოლიდან ორი თვის შემდეგ, 1827 წლის 20 დეკემბერს ოსმალეთის სულთანმა მაჰმუდ II-ემ დაარღვია აკერმანის კონვენცია და სრუტეები რუსული გემებისთვის ჩაკეტა (**Bitis, 2002: 3**). რუსეთმა ისარგებლა ოსმალეთის დასუსტებული სამხედრო მდგომარეობით და ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ, 1828 წლის აპრილში, ოსმალეთს ომი გამოუცხადა (**ჩხატარაიშვილი, 1985: 84; Aygün, 2007: 6**).

რუსეთს ინგლისისა და საფრანგეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. მან ამ სახელმწიფოებს ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა და ოსმალეთის ტერიტორიის ერთმანეთში გაყოფა შესთავაზა (**Öztuna, 2013: 47**). ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ გამოეყენებინათ თურქეთის „ავადმყოფობა“ და ხელთ ეგდოთ მისი ტერიტორიები. ამასთან, თითოეულ მათგანს ყველაზე დიდი ნაწილის მიღება სურდა (**Троцкий, 1999: 119**). მაგრამ რუსეთის განზრახვებით უკმაყოფილო ევროპის სახელმწიფოებს ოსმალეთთან ომი არ სურდათ. გარდა ამისა, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ნავარინის ბრძოლის შედეგით - ოსმალეთის ფლოტის განადგურებით, ისედაც ძალიან შორს წავიდნენ. ამიტომ ევროპის სახელმწიფოებმა რუსეთს ოსმალეთთან ომში მონაწილეობაზე უარი განუცხადეს (**Ahmet Muhtar Paşa, 1928: 20**).

ნიკოლოზ I-მა ოსმალეთზე თავდასხმა ორი მხრიდან გადაწყვიტა. რუსეთის საჯარისო შენაერთები დასავლეთით ედირნემდე მივიდნენ, კავკასიის ფრონტზე კი ერზრუმამდე მიაღწიეს. ოსმალეთში არსებული ძალიან მძიმე მდგომარეობის გამო არავინ ელოდა, რომ ის ომში ჩაებმებოდა. თუმცა შავ ზღვაზე რუსეთის თავდასხმამ, მუქარამ ბოსფორის მიმართულებით და ნავარინში განვითარებულმა სამწუხარო მოვლენამ ოსმალეთი აიძულა ომში ჩაბმულიყო (**Aksan, 2010: 357**). რუსეთის მიერ დასავლეთის ფრონტზე მდინარე პრუტიდან თავდასხმისა და აღმოსავლეთ ფრონტზე ანაპაზე მიტანილი შეტევის შემდეგ, ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა (**სვანიძე, 2007: 281; Ahmet Rasim (Yıldız), 2012: 321**). უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც რეგიონში პორტას რეგულარული არმია 6000-მდე ჯარისკაცს ითვლიდა, მოხალისე მეომართა რაოდენობა 35 000-მდე აღიოდა (**Bilge, 2005: 190**), მაჰმუდ II კი 80 ათასი მოხალისის შეკრებას მოელოდა, რამაც სულთნის დიდი იმედგაცრუება გამოიწვია (**Kocabaş, 1989: 218**). რუსეთის არმია კავკასიაში 60 000 ჯარისკაცსა და 166 ქვემეხს ითვლიდა (**Bilge, 2005: 190**). აქედან 5000 მეომარი და 15 ქვემეხი ქუთაისი-ანაკლია-

სოხუმში იყო განლაგებული, 1700 მეომარი და 14 ქვემეხი კი გურიის რეგიონში (Çakın, 1978: 150). სამხედრო ძალის ერთი ნაწილი, როგორც სათადარიგო, რუსეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა (Seyfi, 1940: 71).

მართალია, რუსეთის არმია ოსმალეთის არმიაზე უფრო კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ წინააღმდეგობებით გასავლელ ადგილებში მოძრაობისა და ნიშანში სროლის უნარით ოსმალეთის არმიის ჯარისკაცები რუსებზე გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდნენ (Ahmet Muhtar Paşa, 1928: 47).

1828 წლის ოსმალეთ-რუსეთის ომი (რომელიც აპრილში დაიწყო) რუსეთისთვის წარმატებით წარიმართა, თუმცა ამიერკავკასიის ფრონტზე ვითარება მეტად დამაბული იყო. რუსეთის სარდლობას განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგი - გურიის სამთავროს ტერიტორია აფიქრებდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკით გურიის დედოფლის უკმაყოფილება საყოველთაოდ იყო ცნობილი (ჩხატარაიშვილი, 1985: 84). პორტასთან მზარდი დაპირისპირებისა და 1828 წლის მაისიდან საომარი ვითარების პირობებში მთავარმართებელი და მისი ხელქვეითი დედოფალს კეთილგონიერი მოქმედებისკენ მოუწოდებდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ოსმალური ორიენტაცია და რუსეთთან აშკარა დაპირისპირება მას კარგს არაფერს უქადდა (ზარამიძე, 2005: 31).

გურიის დამოუკიდებლობისათვის რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი გურიის დედოფალი სოფიო ამ პერიოდისთვის უკიდურესად კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ბრძოლის გასაგრძელებლად ძალა აღარ შესწევდა. მას თავისი პოლიტიკური უფლებების დაცვა რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ გარეშე ძალის დახმარებით შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალი სოფიო ვითარებიდან გამოსავალს ოსმალეთის სახელმწიფოსთან გვერდით დგომაში ვერ ხედავდა, მაინც მიმართა ოსმალეთს დახმარებისთვის და მასთან მოკავშირეობას ანიჭებდა უპირატესობას. ის ფიქრობდა, რომ ასეთი უკიდურესი ზომებით იძულებულს გახდიდა რუსეთს, რათა გურიელის სამთავრო-სამემკვიდრეო უფლებები არ გაეუქმებინა (დუმბაძე, 1957: 246).

ჰაირი ჩაფრაზის ნაშრომში ვკითხულობთ: „1828 წ. ივნისს ცნობილი გახდა, რომ დედოფალმა სოფიომ ოსმალეთის ერთგულების ფიცი დადო და სულთნისგან საგანგებო ფირმანი მიიღო, რომლის თანახმად ის (სულთანი) იღებდა გურიის სამთავროს

თავისი მფარველობის ქვეშ. თავადთა გარკვეული დაჯგუფება მხარს უჭერდა სოფიოს პროოსმალურ პოლიტიკას. ამ დროს, წერს ავტორი, ალექსანდრე და ვახტანგ ბატონიშვილები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებასთან ოპოზიციაში იყვნენ, იქვე ახლოს, ქობულეთში, იმყოფებოდნენ. მათ დაამყარეს კავშირი როგორც სოფიოსთან, ასევე სხვა უკმაყოფილო ადამიანებთან იმერეთსა და სამეგრელოში და მათ რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ“ (**Чапраз, 2004: 11**).

აი, რას წერს აღნიშნული მოვლენების თანამედროვე, რუსი სამხედრო ისტორიკოსი პოტო: „...დედოფალი სოფიოს ძალაუფლებისადმი სიყვარული ემუქრებოდა ქვეყანას ღალატისა და მუხანათობის საეჭვო გზაზე ჩათრევით. ის თურქებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს მართავდა და მეტიც, საკუთარი შვილები მძევლებად გაგზავნა. რისთვისაც სულთნისგან ფირმანი და საჩუქრები მიიღო“ (<http://biblioclub.ru/index.php?page=book&id=118313>).

რუსებმა ფრონტზე ორი სხვადასხვა მიმართულებით შეუტყეს. სამხედრო ძალის ერთი ნაწილი საქართველოში შავი ზღვის სანაპიროსკენ, კერძოდ, ბათუმისკენ დაიძრა, მეორე ნაწილმა კი სომხეთიდან ბაიაზეთისკენ აიღო გეზი (**Baddeley, 1989: 192**). თავდაპირველად, 1828 წლის 6 მაისს, რუსებმა ზღვიდან და ხმელეთიდან კავკასიის რეგიონში სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს პუნქტს ანაპის ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყეს (**Gökçe, 1979: 231; Ahmet Muhtar Paşa, 1928: 212**). შეტაკებები თითქმის 40 დღე გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმან ფაშას თავდაცვისთვის ძალა აღარ შესწევდა, ის 1500-მდე მეომრით ციხე-სიმაგრეში ბრძოლას მაინც განაგრძობდა. რუსებმა მას ციხის ჩაბარება მოსთხოვეს, სანაცვლოდ კი დაპირდნენ, რომ როგორც სამხედრო ტყვეს, ისე მოექცეოდნენ. ოსმან ფაშა დათანხმდა ამ წინადადებას იმ პირობით, რომ რუსები იარაღს და ნივთებს არ შეეხებოდნენ. 1828 წლის 24 ივნისს, როდესაც რუსები თავდასხმისთვის ემზადებოდნენ, ანაპის ციხე ოსმალებმა რუსებს ჩააბარეს (**Aydın, 2005: 219; Çakın, 1978: 152**). რუსეთმა ტყვეების ნაწილი ყირიმში გააგზავნა (**Çakın, 1978: 152**). ციხე-სიმაგრის ჩაბარების თარიღი სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა რიცხვითაა დაფიქსირებული. ასე მაგალითად: 12 ივნისი (**Ataç, 1953: 148**), 13 ივნისი (**სვანიძე, 2007: 282**) და 17 ივნისი (**Fedakar, 2015: 288**).

რუსებმა წარმატებას მიაღწიეს ყარსის მიმართულებითაც. 23 ივნისს პასკევიჩის მთავარსარდლობით რუსეთის არმიის ნაწილებმა ჩაიბარეს ციხე-სიმაგრე ემინ ფაშა-საგან (საქართველოს ნარკვევები IV, 1973: 882; Gökçe, 1979: 237). ზოგიერთ თურქულ წყაროში ციხის ჩაბარების თარიღად 25 ივნისია აღნიშნული (Ahmet Muhtar Paşa, 1928: 217; Ataç, 1953: 148). ყარსის დასახმარებლად მიმავალმა სივასის მმართველმა ქოსე მეჰმედ ფაშამ ციხე-სიმაგრის ჩაბარების ამბავი როგორც კი გაიგო, უკან დაიხია - ჯერ არტაანში, შემდეგ კი სოღანლის მთებში (Bilge, 2005: 192; Erkin, 1940: 40). ანატოლიის საზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრის აღებას რუსეთი დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

პასკევიჩმა ყარსის დასაცავად თავის დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ძალებთან ერთად გენერალი ბერგმანი დატოვა (Allen-Muratoff, 1966: 28), თვითონ კი ახალქალაქისკენ გაემგზავრა. ახალქალაქი აკონტროლებდა რუსეთიდან სამხედრო აღჭურვილობის შემოტანის გზას. ასე რომ, მისი აღება მნიშვნელოვანი იყო რუსეთისთვის. ციხე-სიმაგრეში ოსმალეთის 1000-კაციანი სამხედრო რაზმი იმყოფებოდა (Seyfi, 1940: 77). 25 ივნისს ციხე-სიმაგრე რუსებმა ხელში ჩაიგდეს (Allen-Muratoff, 1966: 28). რამდენიმე დღის შემდეგ კი, 30 ივნისს, ახალქალაქიდან 40 კილომეტრის დაშორებით მდებარე ხერთვისიც რუსების ხელში გადავიდა (დუმბაძე, 1957: 247). რუსეთის ახალი სამიზნე კი ჩილდირის ეიალეთის ცენტრი - ახალციხე გახდა (Kirzioğlu, 1958: 549; Baddeley, 1995: 198).

პასკევიჩი 8 ათასი ჯარისკაცით და 58 ზარბაზნით ახალციხისკენ დაიძრა (Erkin, 1940: 40). როგორც კი ეს ამბავი სოღანლის მთებში დაბანაკებულმა ქოსე მეჰმედ ფაშამ გაიგო, დაუყოვნებლივ ახალციხისკენ გაემართა და მას ახალციხეში მისვლა დაასწრო (Gökçe, 1979: 239).

ქოსე მეჰმედ ფაშას ახალციხეში მისვლის შემდეგ ოსმალეთის ჯარისკაცთა რიცხვი უკვე რუსებისას აღემატებოდა. ამიტომ პასკევიჩმა ბრძანება გასცა, რომ საქართველოში მყოფი რუსული ჯარის ნაწილები მთლიანად მასთან გადასულიყვნენ (Gökçe, 1979: 239). ამგვარად, რუსეთის არმიის ჯარისკაცთა რიცხვი ჯამში 12 ათასამდე ავიდა (Baddeley, 1995: 202). ქოსე მეჰმედის მეთაურობით ოსმალეთის ჯარისკაცების რაოდენობამ დაახლოებით 30 ათასი შეადგინა, ზარბაზნებისამ კი 18

ერთეული. ამას გარდა, ციხე-სიმაგრეში 10 ათასი (4 ათასი ციხის მცველთან ერთად იყო 6 ათასი ქალაქის შეიარაღებული მაცხოვრებელი (**Erkin, 1940: 40**) ოსმალთა ჯარისკაცი იმყოფებოდა (**Çakın, 1978: 162**). ამ ვითარებაში, 8 აგვისტოს რუსულმა მხარემ სამხედრო კრება მოიწვია, სადაც გადაწყდა, რომ თავდაპირველად ქოსე მეჰმედ ფაშას არმიას დასხმოდნენ თავს, შემდგომ კი ახალციხეს. პასკევიჩმა, რომელმაც შეიტყო, რომ ოსმალთა ჯარისკაცები სადამოს მორიგეობისას სათანადო ყურადღებას არ იჩენდნენ, ადრიან დილით ციხე-სიმაგრეზე თავდასხმა დაიწყო (**Erkin, 1940: 44-45**). ოსმალები ქოსე მეჰმედ ფაშას ხელმძღვანელობით მთელი ძალით იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ, რომლებმაც ქალაქი ცეცხლის ალში გახვიეს. დიდი იყო ოსმალების დანაკარგი. საბოლოოდ, 16 აგვისტოს ციხე-სიმაგრე რუსებს ჩაბარდა (**Allen, Muratoff, 1966: 29; დუმბაძე, 1957: 247**). ახალციხე თავის ისტორიაში პირველად აღმოჩნდა რუსების ხელში. 50 ათასი ადამიანით დასახლებული ქალაქი, რუსების მიერ გადამწვარ-გავერანებულ პატარა დაბას დაემსგავსა (**Kirzioğlu, 1953: 549**).

ახალციხის შემდეგ რუსებმა არტანის ციხე-სიმაგრეზეც დაამყარეს კონტროლი (**Bilge, 2005: 192; დუმბაძე, 1957: 247**). თავად ჭავჭავაძის მეთაურობით რუსებმა ბაიაზეთის ციხე-სიმაგრეც აიღეს და ამით სოღანლის მთამდე არსებული მიწები ხელთ იგდეს (**Seyfi, 1940: 87**). არსებული მდგომარეობის შესახებ ერზრუმის მმართველმა და აღმოსავლეთ ფრონტის მთავარსარდალმა გალიფ ფაშამ ოსმალეთის მთავრობას წერილი მიწერეს, რომელშიც ვითარების გაუარესებასა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობაზე იუწყებოდნენ (**Kocabaş, 1989: 210**). გალიფ ფაშას საქციელი და მოქმედებები მის სიმხდალედ ჩაითვალა და ის თანამდებობიდან გადააყენეს (**Köprülü, 1996: 331**). მის ნაცვლად სალიჰ ფაშა დაინიშნა (**Lütfi Tarihi: 75-76; Erkin, 1940: 52**).

პარალელურად, ივნისის დასაწყისში იმერეთის მმართველი გენერალ-მაიორი კ. გესე ქუთაისიდან ფოთისკენ დაიძრა. სამეგრელოს მთავარმა გესეს 4000 ცხენოსანი ჯარისკაცი გაუგზავნა (**Aydın, 2005: 221**). ივლისში გურიაში რუსეთის მოწინააღმდეგეთა დასახმარებლად მივიდა ახმედ-ბეგი 500 მოლაშქრით და ზარბაზნით (**ჩხატარაიშვილი, 1985: 88**).



რუსების მიერ მდინარე რიონის სანაპიროზე განლაგებული ზარბაზნები მთელი დღეების განმავლობაში ესროდნენ ფოთს, რითაც ციხეს დიდი ზარალი მიადგა. 15 ივნისს ფოთი რუსების ხელში გადავიდა (**Seyfi, 1940:78; ბარამიძე, 2005: 41**). როგორც კი გურიაში შემოსულმა თურქეთის ჯარმა ფოთის დაცემა გაიგო, მაშინვე უკან გაბრუნდა (**ჩხატარაიშვილი, 1985: 88**). ფოთის აღებით უზრუნველყოფილი იქნა პირდაპირი საზღვაო მოძრაობა ყირიმს, აზოვის ზღვასა და კავკასიას შორის (**Allen-Murtoff, 1966: 30**).

გურიის დედოფალი სოფიო 16 ივლისით დათარიღებულ თავის წერილში ოსმალეთის სახელმწიფოს სახელზე მადლობას უხდის ოსმალეთს გამოგზავნილი საჩუქრებისთვის და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაგრძელება მისი ერთგულება ოსმალეთის მიმართ და იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი ხალხის რელიგია და კანონები ხელშეუხებელი დარჩება და ოსმალეთის სახელმწიფო გააგრძელებს მათ დაცვას გარეშე მტრებისაგან. ამავდროულად, სოფიო რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყებას, მათ სრულად განდევნას გეგმავდა და ამასთან დაკავშირებით ოსმალეების სარდალთან, ოსმანთან, შეხვედრებს მართავდა. როგორც ჩანს, სოფიოს რუსების მიერ ფოთის ხელში ჩაგდების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, რადგანაც წერილი ფოთის აღებიდან მეორე დღეს არის დაწერილი (**ბარამიძე, 2005: 42**).

მალე სოფიო გურიელი მიხვდა, რომ პოზიცია წაგებული ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელად მაინც სცადა, ახლა უკვე საკუთარი თავისა და პრესტიჟის გადარჩენა. აგვისტოს შუა რიცხვებში დედოფალმა მთავარმართებელ პასკევიჩისა და გენერალ სიპიაგინისადმი გაგზავნილ წერილებში მოინანია რუსეთის წინაშე შეცოდებანი და თავისი დანაშაულის გამოსასყიდად, რუსთა ჯარის დახმარებით, ქობულეთისა და ბათუმის დაპყრობის ვალდებულება აიღო. ამ ვალდებულების შესასრულებლად პასკევიჩმა მას ორი კვირის ვადა მისცა. დათქმულ დროში ამ დანაპირების განხორციელება შეუძლებელი შეიქმნა. უამინდობისა და მალარიის გავრცელების გამო რუსთა ჯარის ტრაპიზონის, გურიის ლაშქრის შეტევა- ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით ჩაიშალა. 1828 წლის 30 სექტემბერს პასკევიჩის მითითების შესაბამისად ორი ბატალიონი გენერალ-მაიორ კ. გესეს მეთაურობით გურიაში შევიდა (**Baddeley, 1995: 205; ბარამიძე, 2005: 46**) დედოფალი სოფიო როგორც კი მიხვდა, რომ თავადებისა და

აზნაურების ნაწილი რუსების მხარეზე გადავიდა, თავდაპირველად ქობულეთში, შემდეგ კი ტრაპიზონში გაიქცა და თან თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრე დავითიც წაიყვანა. ამის შემდგომ გენერალ პასკევიჩის ბრძანებით გურიაში შეიქმნა დროებითი სამმართველო, რომლის განაწესი კ. გესეს მიერ იქნა შედგენილი (**ვაჭრიძე, 1999: 262; დუმბაძე, 1957: 247**).

თავის მხრივ, გადაწყდა, რომ ოსმალეთში თავშეფარებულ დედოფალ სოფიოსა და მემკვიდრე დავითს სტამბოლი ყოველთვიურ ხელფასს დაუნიშნავდა. „მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს უამრავი საქმე აქვს და დრო არ აქვს, რომ ამ ტიპის საქმეებით იყოს დაკავებული, ოსმალეთში თავშეფარებულ ადამიანებს სახელმწიფო უნდა ეპატრონოს და ისინი რუსეთზე არ უნდა იყვნენ დაქვემდებარებულნი“, - აღნიშნული იყო სულთან მაჰმუდ II-ის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოსმალეთის კარი თავშესაფრის საჭიროების მქონე ყველა ადამიანისთვის იყო ღია (**Aydın, 2005: 226**).

ოსმალეთი აგრძელებდა დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნებისთვის ბრძოლას. აღმოსავლეთის მთავარსარდლად სალიჰ ფაშა დაინიშნა (**Seyfi, 1940: 121**), რომელსაც გაფართოებული უფლებები მიეცა. ამით მას შესაძლებლობა ეძლეოდა მთელი ანატოლიიდან მოეხდინა ჯარის შეკრება. სალიჰ ფაშამ, რომელმაც 10 000 ჯარისკაცი შეკრიბა და ერზრუმში ჩავიდა, ქალაქის გაძლიერება დაიწყო. ამავდროულად, ერზრუმში სხვადასხვა რეგიონებიდან იგზავნებოდა ჯარისკაცები (**Çakın, 1978: 177**). შედეგად, ერზრუმში 38 ათასმა ჯარისკაცმა (70 ქვემეხით) მოიყარა თავი. ქვემეხები სტამბოლიდან და აღმოსავლეთ ანატოლიის ციხე-სიმაგრეებიდან იყო ჩამოტანილი (**Erkin, 1940: 61**). აღენ მურატოვს თავის წიგნში ჯარისკაცთა რაოდენობა 50 000-მდე აჭყავს (**Allen-Muratoff, 1966: 33**).

1829 წლის ზაფხულში პასკევიჩმა განაახლა სამხედრო მოქმედებები. 27 ივნისს მან აიღო ერზრუმი და სალიჰ ფაშა რამდენიმე მეთაურთან ერთად ტყვედ აიყვანა (**Aykun, 2002: 725**). ერზრუმის შემდეგ პასკევიჩმა ერთმანეთის მიყოლებით აიღო ბაიბურთი და გიუმუშჰანე. მას უნდოდა აეღო ტრაპიზონი და გადაექცია ის სამხედრო ბაზად სივასსა და ცენტრალურ ანატოლიაში ბრძოლების გასაგრძელებლად (**Aykun, 2002: 725**).

პასკევიჩი ტრაპიზონის ხელში ჩასაგდებად ბაიბურთში ჩავიდა. თუმცა მიხვდა, რომ ტრაპიზონისკენ მიმავალი გზების გადალახვას ვერ შეძლებდა და უკან ერზრუმში დაბრუნდა, რის შემდეგაც აღმოსავლეთის მიმართულების მთავარსარდალი ოსმან ფაშა რუსების აქედან განდევნისთვის ბრძოლის სამზადისს შეუდგა (**Çakin, 1978: 191**). ამის გაგებისთანავე, პასკევიჩი, რომელმაც ერზრუმში საკმაო რაოდენობის სამხედრო ძალა დატოვა, ბაიბურთისკენ გაემართა. ამ დროს მოვიდა ცნობა ანდრიანოპოლის (ედირნე) ხელშეკრულების შესახებ (**Aykun, 2002: 726-727**). ამ ამბავმა აღმოსავლეთ ფრონტამდე დაგვიანებით მოაღწია. შესაბამისად, ბაიბურთსა და მის შემოგარენში ბრძოლები და სისხლისღვრა ამო გამოდგა (**Baddeley, 1995: 221**).

1829 წელსვე, ოსმალეთმა გურიისა და სამეგრელოს დასაბრუნებლად ტრაპიზონიდან დამატებითი სამხედრო ძალა გაგზავნა აჭარაში. რუსებმა გენერალ-მაიორ კ. გესეს ხელმძღვანელობით ოსმალები აჭარაში გამართულ ბრძოლებში დაამარცხეს და ქობულეთში შეიჭრნენ (**Seyfi, 1940: 134; Allen-Muratoff, 1966: 33**). ამ გამარჯვების მიუხედავად, რუსეთის არმიამ ოსმალთა გამაგრებული დაცვის ხაზის არსებობის გამო, ვერ შეძლო საბოლოოდ უფრო წინ წაწეულიყო (**Aydın, 2005: 228**).

საბოლოოდ, 1828-1829 წლების ომის შედეგად ანატოლია-კავკასიაში რუსების ხელში გადავიდა ცხრა ციხე-სიმაგრე. მათ შორის ახალციხე, ერზრუმი, მუში, ასევე, ანაპა, ფოთი და ახალქალაქი (**Gökçe, 1957: 242**). ამრიგად, რუსეთმა კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი პოზიციები კავკასიაში და შავ ზღვაზე (**სვანიძე, 2007: 283**). დაპყრობილი ტერიტორიები ცენტრალური ანატოლიის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო მოქმედებების ერთგვარ „ცენტრად“ გადაიქცა.

დასავლეთის ფრონტზე რუსეთმა ვლახეთი, მოლდავეთი და ბუქარესტი აიღო. დასავლეთით ედირნემდე და აღმოსავლეთით ერზრუმამდე რუსეთის წინსვლა სტამბოლს საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ომს წარმატებით აწარმოებდა, ოსმალეთის არმიის სრული განეიტრალება მაინც ვერ მოახერხდა. საჭირო იყო, რომ ოსმალეთის ჯარი რუსეთის საზღვრებიდან შორს ყოფილიყო. ამას ემატებოდა ისიც, რომ გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია, დიდი იყო ადამიანური და სამხედრო რესურსების დანაკარგი, რომელთა შევსება სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე კი რუსეთისთვის მშვიდობის დამყარების საფუძველი გახდა

(Aydın, 2005: 228). ინგლისელი ოფიცრის ადოლფუს სლეიდის განცხადებით, რომელიც ოსმალეთის ფლოტში მსახურობდა და რუსი ოფიცრების ინფორმაციას ეყრდნობოდა, თუ თურქები სულიერად და მატერიალურად დაცემულ რუსეთის არმიას თავს დაესხმებოდნენ, ბოლო ჯარისკაცამდე შეძლებდნენ მათ განადგურებას. ეს განაცხადი ცხადყოფს რუსეთის არმიის მდგომარეობას (Aykun, 2002: 727). ამასობაში, გავრცელდა ინფორმაცია ერზრუმის დაცემისა და მთავარსარდლის ტყვედ აყვანის შესახებ (Jorga, 2005: 1833).

მიუხედავად მოპოვებული გამარჯვებებისა, რუსეთი მშვიდობის მომხრე იყო, რადგან შიშობდა, რომ ვერ შეძლებდა არმიის ჯარისკაცებით უზრუნველყოფას, რომელმაც ეპიდემიური დაავადებების გამო დიდძალი დანაკლისი განიცადა (Kocabaş, 1989: 219). ამ მიზნით, 1829 წლის 29 ივნისს, დასავლეთის ფრონტის სარდალმა გენერალმა დიბიჩმა ოსმალეთის დიდგვარს წერილი გაუგზავნა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. ამავდროულად, რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-მა, თავისი სიმამრის, პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III-ის მეშვეობით მშვიდობის დამყარების სურვილი აუწყა პორტას (Turan, 1951: 118-119).

სამშვიდობო მოლაპარაკებების პერიოდში ოსმალეთმა ედირნედან ჯარი უკან დახია. ამავე პერიოდში, 20 აგვისტოს, რუსეთმა ედირნესთან ახლოს, 20 წუთის სავალ მანძილზე, სამხედრო ბანაკი მოაწყო და ოსმალეთს ედირნეს ჩაბარება მოსთხოვა (Kocabaş, 1989: 217). ედირნეში მყოფმა ჰალილ რიფათ ფაშამ, რომელიც ფიქრობდა, რომ ვერ შეძლებდა ქალაქის დაცვას, რადგანაც ჯარისკაცები გაქცეული იყვნენ, ქალაქი რუსებს უბრძოლველად ჩააბარა (22 Ağustos 1829) (Turan, 1951: 120-121). გავრცელებული ხმების თანახმად, რუსების ჯარი 60 ათასამდე ჯარისკაცს ითვლიდა. თუმცა რეალურად 15-17 ათასს შეადგენდა. თურქი ისტორიკოსების აზრით, მაჰმუდ II-ს ეს რომ სცოდნოდა, სამშვიდობო მოლაპარაკებებს არ დასთანხმდებოდა და ბრძოლას გააგრძელებდა (Seyfi, 1940: 118; Kocabaş, 1989: 220).

რუსეთმა თავის ისტორიაში პირველად შეძლო ბალკანეთის გადალახვით ედირნემდე მიეღწია და მიახლოებოდა სტამბოლს (Armaoğlu, 1997: 183). რუსეთის ამ წინსვლით შემფოთებული ევროპის სახელმწიფოები ზეწოლას ახდენდნენ მაჰმუდ II-ზე, რათა მშვიდობა დაემყარებინა. თვითონ ნიკოლოზ I-ც მშვიდობის მომხრე იყო, რად-

განაც ფიქრობდა, რომ დიბიჩი სტამბოლის აღებას ისედაც ვერ შეძლებდა და ამას გარდა, სტამბოლში შესვლა ევროპის სახელმწიფოების მწვავე რეაქციას გამოიწვევდა (Öztuna, 2013: 49). ამგვარად, 3 სექტემბერს რუსეთისა და ოსმალეთის დელეგატების მონაწილეობით ედირნეში სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიმართა, რომელსაც რუსეთის მხრიდან გრაფი ალექსეი ორლოვი და ფეოდორ პალენი ესწრებოდნენ, ოსმალეთის მხრიდან კი ფინანსთა მინისტრი მეჰმეთ სადიქ ეფენდი და აბდულქადირ ბეგი (Ahmed Rasim (Yıldız), 2012: 325; Gökçe, 1957: 245) მოლაპარაკებებისას რუსები დაჟინებით მოითხოვდნენ 31 აგვისტოს ოსმალეთისთვის გაგზავნილი წინასწარი პირობების განხილვას, რომელზეც მსჯელობის ვადა 13 სექტემბრამდე იყო მიცემული. რუსების განცხადებით, თუ არ მოხდებოდა მათ მიერ შეთავაზებული წინადადებების განხილვა და მიღება, ისინი ომს წამოყენებული პირობების შესრულებამდე გააგრძელებდნენ (Kocabaş, 1989: 221; Turan, 1951: 125-128).

აღსანიშნავია ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც ოსმალეთი მოლაპარაკებების დროს აღმოჩნდა. აღმოსავლეთის საზღვრების დადგენისას, რუსეთის მიერ მოთხოვნილი იყო ანაპისა და ფოთის ციხე-სიმაგრეები, აგრეთვე, ახალციხის ნაწილი, ფაქტობრივად მთელი შავიზღვისპირეთი მდინარე ყუბანიდან წმიდა ნიკოლოზის (შეკვეთილის ყურე) ნავსადგომის ჩათვლით. ოსმალეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ არ იციან, სად მდებარეობს წმიდა ნიკოლოზის ნავსადგური. ადგილმდებარეობის დასადგენად მათ ძველ და ახალ რუკებშიც კი ჩაიხედეს, თუმცა ამის მიუხედავად, საკითხი ვერ გადაწყვიტეს და იძულებულნი გახდნენ, რომ ინგლისელი დესპანებისთვის მიემართათ დახმარებისთვის. ვფიქრობთ, მართებულია შეფასება, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ საკუთარი საზღვრების მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან, ნებისმიერი გადმოსახედიდან, გულგრილობის და არასერიოზულობის მაჩვენებელია (Aydın, 2005: 229).

რუსეთის მიერ შეთავაზებული პირობების განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად, მოწვეული იქნა დარბაზის საბჭო (საკონსულტაციო საბჭო). ოსმალეთისთვის განსაკუთრებით პრობლემური ის მუხლი იყო, რომელიც დიდი ოდენობით კომპენსაციის გადახდას გულისხმობდა. ამ საკითხზე კამათისა და მსჯელობის შემდეგ გადაწყდა უარი ეთქვათ რუსეთისთვის კომპენსაციის გადახდაზე. თუ ეს არ

გამოუვიდოდათ, მაშინ მიეცათ რუსეთისთვის ანაპისა და ფოთის ციხე-სიმაგრეები და გარკვეული რაოდენობის თანხა. თუ ამასაც არ დათანხმდებოდა, მაშინ ვლახეთი და მოლდავეთი დაეთმოთ. თუკი ამ შეთავაზებებიდან არც ერთი არ იქნებოდა მისაღები რუსეთისთვის, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, შეთავაზებული იქნებოდა კომპენსაციის რაოდენობის შემცირება და ამის ხარჯზე გრაფიკით გადასახდელი თანხის რაოდენობის გაზრდა (**Turan, 1951: 126**).

მოლაპარაკებები 12 სექტემბერს განახლდა. შედეგად, 1829 წლის 14 სექტემბერს 1828-1829 წწ. ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა ხელი მოაწერა ადრიანოპოლის (ედირნეს) ხელშეკრულებას<sup>35</sup>, რითაც კავკასიაში მთელი თავისი უფლებები დათმო (**Özcan, 2014 : 21**). 16 მუხლისგან შემდგარი ხელშეკრულების ძალით ბერძნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მაჰმუდ II იმედოვნებდა, რომ სულ ცოტა, პელოპონესზე მაინც შეინარჩუნებდა უფლებებს, თუმცა 1830 წლის 3 თებერვალს ინგლისის თაოსნობით ლონდონში საფრანგეთთან და რუსეთთან ერთად ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიზანი საბერძნეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო (**Turan, 1951: 143**). ოსმალეთი იძულებული გახდა ელიარებინა საბერძნეთის სახელმწიფოს შექმნა, რომელიც პელოპონესისა და კიკლადის კუნძულებს მოიცავდა და უფლება ჰქონდა ჰყოლოდა მცირერიცხოვანი სახმელეთო ჯარი (**Jorga, 2005: 1833; Karpat, 2012: 38**).

ხელშეკრულების VII მუხლის თანახმად, რუსულ სავაჭრო გემებს, როგორც ადრე, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, შეეძლოთ შავი და ხმელთაშუა ზღვების სრუტეების გავლა. გარდა ამისა, იმ სახელმწიფოების სავაჭრო გემებსაც ჰქონდათ სრუტეებით სარგებლობის უფლება, რომლებიც ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ და მხოლოდ რუსეთის პორტებში მიდი-მოდიოდნენ (**დუმბაძე, 1957: 251; Bitis, 2002: 17; სვანიძე, 2007: 283**). ამგვარად, შავმა ზღვამ საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა.

---

<sup>35</sup> ადრიანოპოლის ხელშეკრულების მუხლები იხილეთ: Ahmet Muhtar Paşa, 1828-1829 Türkiye-Rusya Seferi ve Edirne Antlaşması, Ankara, 1928, გვ.189-195; Celal Erkin, 1828-1829 Türk-Rus Harbi (Kafkas Cephesi), İstanbul, 1940, გვ. 87-91; Под стягом России, сборник архивных документов, сост. А. А. Сазонов, Г. Н. Герасимова, М., 1992, гв. 102-116.

სხვა მუხლების მიხედვით, ოსმალეთის სახელმწიფო დათანხმდა, რომ გადაიხდიდა 11 ნახევარ მილიონ დუკატს - უნგრულ ოქროს, როგორც ომის კომპენსაციას, ოღონდ 10 ნაწილად (Karal, 1994: 121; სვანიძე, 2007: 283). კომპენსაციის თანდათანობით გადახდის პარალელურად, რუსეთი, ასევე, თანდათანობით გავიდოდა თავის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან - სილისტრიიდან, ვლახეთიდან, მოლდავეთიდან, ყარსიდან და ერზრუმიდან (Öztuna, 2013: 51; Kocabaş, 1989: 221-222). ომის კომპენსაციისთვის გადასახდელი 11-ნახევარი მილიონიდან, მილიონ ნახევარი რუსი ვაჭრებისთვის უნდა გადაეხადათ, როგორც ეს 1806 წლის ომთან დაკავშირებით დადებული აკერმანის ხელშეკრულების VI მუხლით იყო განსაზღვრული (Turan, 1951: 139).

დასავლეთის ფრონტზე რუსეთი დაპყრობილ ტერიტორიებს ოსმალეთს უბრუნებდა, ოსმალეთსა და რუსეთს შორის საზღვარი ადრინდელ ფარგლებს უბრუნდებოდა, ანუ მდინარე პრუტი დარჩა როგორც საზღვრის ნიშნული. ანაპა, ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი რუსებს დარჩათ. ერზრუმი, ყარსი და ბაიაზეთი ოსმალეთს უკან დაუბრუნდა (Armaoğlu, 1997: 183). ამგვარად, ოსმალეთმა აღიარა რუსეთის კავკასიაში გაფართოებული და გაზრდილი უფლებები. ამას გარდა, ადრიანოპოლის ზავით შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო - მდინარე ყუბანის შესართავიდან აჭარის ჩრდილოეთ საზღვრამდე, რუსეთის ხელში გადადიოდა. თურქეთი აღიარებდა ასევე, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის შეერთებას რუსეთთან (Gökçe, 1957: 245). ანუ, რუსეთმა ამიერკავკასიაში მიიღო შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო - დაწყებული ყუბანის შესართავიდან, ვიდრე წმ. ნიკოლოზის ციხემდე (შეკვეთილი გურიაში). შემოიერთა ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ახალციხის საფაშოს საკმაოდ დიდი ნაწილი - 10 სანჯაყი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1828-1829 წლების ომში რუსეთის არმიამ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა, მაგრამ რუსეთის დიპლომატიამ ეს წარმატებები სათანადოდ ვერ გამოიყენა. ჯერ კიდევ 1828 წ. პასკევიჩი წერდა საგარეო საქმეთა მინისტრ ნესელროდეს, ზავის შემთხვევაში რუსეთის მიერ ახალციხის საფაშოსა და ბათუმის ჩათვლით ჭოროხამდე ტერიტორიის მიერთების აუცილებლობაზე (ჩხატარაიშვილი, 1985: 100). არსებობს მოსაზრება, რომ 1828 წელს, როდესაც იწერებოდა ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რუსეთმა მოითხოვა

და ოსმალეთმა დაუთმო მას მთელი ტერიტორია მდინარე ჭოროხამდე, რომელიც შავ ზღვას ბათუმის იქით, დასავლეთით უერთდება. ამ დათმობის მიხედვით, ბათუმი უკვე 1829 წელს უნდა შეერთებოდა რუსეთს, მაგრამ ხელშეკრულებაში და საზავო რუკის შედგენის დროს, საზღვარი დადგენილი იქნა მდინარეთა სახელწოდების არევის გამო არა მდინარე ჭოროხთან, არამედ მდინარე ჩოლოქთან, რომელიც ზღვაში ბათუმის აქით, ჩრდილო-დასავლეთით ჩაედინება. ამ ხაზის მიხედვით, ბათუმი ოსმალეთს დარჩა. შეცდომა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და დამტკიცების შემდეგ იქნა აღმოჩენილი, მაგრამ უკვე გვიანი იყო საკითხის ხელახლა განხილვა და ამ შეცდომის გამო ბათუმი ოსმალეთს დარჩა (**ჩოხარაძე, 2015: 141**).

ნიკოლოზ I-საც ნამდვილად უნდოდა ბათუმის შეერთება, მაგრამ საზავო მოლაპარაკების დროს თურქმა დიპლომატებმა შეძლეს დაეთანხმებინათ რუსეთის წარმომადგენლები საზღვრად მდ. ჩოლოქის დაწესებაზე. შემდეგ, როცა ნიკოლოზ I-მა კარგად გაიგო, თუ რა დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის ნავსადგურს, იგი ძალიან ნანობდა, რომ მისმა დიპლომატებმა ბათუმის შემოერთებისთვის სათანადოდ არ იზრუნეს. „რუს დიპლომატთა ეს შეცდომა ისე საგრძნობი იყო, რომ შემდეგ გავრცელდა ხმა, თითქოს თურქებმა რუსი დიპლომატები მოატყუეს- ჭოროხის ნაცვლად საზავო ხელშეკრულებაში ჩოლოქი ჩაუწერეს“ (**ჩხატარაიშვილი, 1985: 101**).

შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ხელშეკრულება, ძალიან ბევრი თვალსაზრისით, ერთ-ერთი მძიმე ხელშეკრულება იყო, რომელზეც კი ოსმალეთის სახელმწიფოს ხელი მოუწერია. ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ბერძენი ხალხისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, ოსმალეთის იმპერიის დაშლის ძირითად ქვაკუთხედად იქცა. დამოუკიდებელი საბერძნეთის არსებობა მაგალითი გახდებოდა იმპერიაში მცხოვრები სხვა ერებისთვის (**Karal, 1994: 121**).

მნიშვნელოვანი იყო კიდევ სხვა ფაქტორიც. ოსმალეთის სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებას წლების განმავლობაში ის მაღალი გადასახადი აფერხებდა, რასაც იგი ომის კომპენსაციისთვის იხდიდა. პირველ ეტაპზე ოსმალეთმა გადაიხადა საკომპენსაციო თანხის ნაწილი, თუმცა დარჩენილი თანხის გადახდა ვერ უზრუნველყო. ამიტომ სულეიმან ნეჯიფ ეფენდი და ქოჯა ჰუსრევ ფაშას სიძე ჰალილ ფაშა პეტერ-



ბურგში ჩავიდნენ და რუსეთთან ხანგრძლივი მოლაპარაკებები გამართეს. შედეგად, 1830 წლის 25 აპრილს ხელი მოეწერა ოსმალეთ-რუსეთის ახალ ხელშეკრულებას (**Mu-ahedat Mecmuası, C. IV: 87; Turan, 1951: 148**). ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპენსაციის თანხა ერთი მეხუთედით იქნა ჩამოწეული (რუსეთმა 10 მილიონიანი საკომპენსაციო თანხიდან 2 მილიონზე უარი განაცხადა). დარჩენილი 8 მილიონი რვა წლის განმავლობაში ყოველწლიური გრაფიკის მიხედვით უნდა გადახდილიყო. დაზარალებული რუსი ვაჭრებისთვის კომპენსაციის თანხის, 500 ათასი ოქროს, გადახდის შემდეგ რუსული ჯარის შენაერთები ოსმალეთის კუთვნილ ტერიტორიებს (ვლახეთი-მოლდავეთი) დატოვებდნენ (**Ahmed Rasim (Yıldız), 2012: 327**). რუსეთი თანახმა იყო, რომ ფულის სანაცვლოდ პორტასგან სხვადასხვა საქონელი მიეღო (**Erkin, 1940: 92; Jorga, 2005: 1836**).

ადრიანოპოლის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 1829 წლის 10 ოქტომბერს, პასკევიჩმა რუსეთის იმპერატორს რეგიონში მცხოვრები სომხების, რომლებიც ოსმალეთს ექვემდებარებოდნენ, სამხრეთ კავკასიაში გადაყვანის თაობაზე წერილი მისწერა. სამხედრო მინისტრის ნებართვით, 10 000-მდე სომხური ოჯახი, რომლებიც ომის დროს რუსეთს ეხმარებოდნენ, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორცაა ყარსი და ერზრუმი, საქართველოსა და სომხეთში ჩასახლეს (**Beydilli, 1988: 366; Çaycıoğlu, 2018: 172**).

1830 წლის ივნისში, ადრიანოპოლის ხელშეკრულების შესაბამისად, ერზრუმი და ყარსი რუსებმა ოსმალებს დაუბრუნეს (**Akbulut, 2002: 156**). ამის შემდეგ ორ სახელმწიფოს შორის კეთილგანწყობილება ჩამოვარდა. ამის მიზეზები შემდეგი იყო: რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა სრუტეებზე არსებული მდგომარეობის შესაწარმუნებლად და მეგობრული ურთიერთობების დასამყარებლად უარი განაცხადა ოსმალეთის ტერიტორიების მიერთებასა და პორტას წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ პროექტებზე (**Tukin, 1999: 135; Kurat, 1990: 58**). გარდა ამისა, ადრიანოპოლის ხელშეკრულების შემდეგ პეტერბურგში საიდუმლოდ შეკრებილი კომისიის მიერ გადაწყვეტილი იქნა, რომ რუსეთისთვის უფრო ხელსაყრელი ოსმალეთის სახელმწიფოს სრული განადგურება კი არა, მისი დასუსტება იქნებოდა. ამიტომ რუსეთმა ოსმალეთის მიმართ მეგობრული პოზიცია დაიკავა და ეგვიპტის პრობლემის (1832-1833

წწ. ეგვიპტის მმართველმა მეჰმედ ალი ფაშამ ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო) მოგვარების საქმეში ოსმალეთის დამცველის როლი იკისრა (**Turan, 1951: 150**). ადრიანოპოლის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, რაზეც ოსმალეთი გამოუვალი მდგომარეობის გამო წავიდა, ოსმალეთის მდგომარეობა სხვადასხვა მიზეზთა გამო კიდევ უფრო გართულდა. ამიტომ ოსმალეთი იძულებული გახდა, ეგვიპტის პრობლემის მოსაგვარებლად მიეღო რუსეთის მიერ შეთავაზებული დახმარება.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ეს საკითხი დროებით მოიხსნა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დღის წესრიგიდან და თანდათან რუსული სახელმწიფოებრივი სხეულის ნაწილად იქცა.

ეროვნულობის (ნაციონალიზმის) იდეამ, რომელიც 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ დაიბადა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ოსმალეთის სახელმწიფოზეც, რომელსაც მრავალეროვანი მოსახლეობა ჰყავდა. რუსეთმაც არ დააყოვნა და ოსმალეთის ძალაუფლების შერყევის მიზნით მის შიგნით ნაციონალისტურ მოძრაობებს დაუჭირა მხარი, რათა იქ არსებული ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურები რუსეთზე დამოკიდებული გაეხადა და თავისი მიზნებისთვის გამოყენებინა. რუსეთმა ოსმალეთში მცხოვრები ბერძნების აჯანყება თავის საშინაო საქმედ მიიჩნია და მართლმადიდებელი ქრისტიანობის დაცვის იდეოლოგიის ფარგლებში მათ მხარდაჭერა გამოუცხადა. სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებულ პორტას ბერძნების აჯანყების ჩახშობა ძალიან გაუჭირდა. ამასთან, საფრანგეთისა და ინგლისის მხრიდან საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის მხარდაჭერამ ამ აჯანყებას საერთაშორისო მასშტაბი შესძინა. საბერძნეთის დამოუკიდებლობის აღიარებას სამი სახელმწიფო - ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ერთდროულად ცდილობდა. სტამბოლისგან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, 1828 წელს, ნავარინის პორტში მყოფი ოსმალეთის საზღვაო ძალები ამ სახელმწიფოთა მხრიდან განადგურებული იქნა - მათ ფლოტი დაწვეს. ეს ფაქტი რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების საბაზი გახდა.

პეტრე I-დან მოყოლებული რუსულმა იდეამ, რომ ოსმალეთის სახელმწიფო მთლიანად გაენადგურებინა, 1825 წელს რუსეთის სამეფო ტახტზე ნიკოლოზ I-ის ასვლის შემდეგ სხვა მიმართულება მიიღო. ამ პერიოდში რუსეთის მიზანს ოსმალეთის სრული განადგურება აღარ წარმოადგენდა. მისი მიზანი რუსეთის დაუძლე-

რება-დასუსტება და რუსეთზე დამოკიდებული სახელმწიფოს მდგომარეობაში ჩაყენება იყო. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დასასრულს დადებული ხელშეკრულება, რითაც რუსეთი ცდილობდა მეტი სარგებელი ენახა.

თანდათან ოსმალეთმა დაკარგა თავისი ადრინდელი ძლიერება. მას არ ყავდა სათანადოდ შეიარაღებული არმია, რადგანაც ძველი გააუქმა და ახალი ჯერ საბოლოოდ ფორმირებული არ იყო. ამიტომაც რუსეთთან ომში იძულებული შეიქმნა, რომ ანატოლიის ტერიტორიაზე მყოფი ისეთი ციხესიმაგრეები დაეთმო, როგორც ერზრუმი და ყარსი იყო. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ოსმალეთი დასავლეთ საქართველოშიც, სადაც თავისი კონტროლის ქვეშ მყოფი ციხესიმაგრეები რუსეთს ჩააბარა. ქართველთა გარკვეულ ნაწილს რუსეთ-ოსმალეთის ომებში ოსმალეთის სახელმწიფოს მხარე ეჭირა. მათი მიზანი და სურვილი რუსების საქართველოდან განდევნა იყო. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსების წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა სოლომონ II-ემ იტვირთა, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობისას კი ეს როლი გურიის დედოფალმა სოფიომ აიღო თავის თავზე. თუმცა, სოლომონ II-ის მსგავსად, დედოფალი სოფიოს მცდელობებიც წარუმატებელი აღმოჩნდა და მანაც სოლომონ II-ის ბედი გაიზიარა.

1828-1829 წლების ომის შემდგომ ოსმალეთმა ვერ შეძლო თავისი ადრინდელი მდგომარეობის შენარჩუნება, ამიტომაც იძულებული გახდა, რომ 1829 წლის ადრიანოპოლის ხელშეკრულების შესაბამისად მთელი კავკასია, დასავლეთ საქართველოს ჩათვლით, რუსეთისთვის დაეთმო. ეს ვითარება კი როგორც ოსმალეთის სახელმწიფოსთვის, ისე კავკასიელი ხალხებისთვის ახალი პროცესების დასაწყისი გახდა.

### თავი III. დასავლეთ საქართველო ადრიანოპოლის ზავიდან ყირიმის ომამდე რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების კონტექსტში

#### § 1. წინააღმდეგობის მოძრაობა კავკასიაში XIX საუკუნის 30-50-იან წლებში

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შემდგომ ხელმოწერილი ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი ბათუმსა და ფოთს შორის მდებარე, შეკვეთილის ყურეში ჩამავალ, მდინარე ჩოლოქზე გავიდა (İpek, 2018: 92). ოსმალეთმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე თავის მფლობელობაში არსებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები რუსეთს გადასცა. ამგვარად, კავკასიაში ოსმალეთის სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა და არსებობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ირანსა და ოსმალეთთან ომებში გამარჯვების შემდეგ, რუსეთმა დროებით დაასრულა სამხრეთ კავკასიაში მოქმედება. XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ჯარები ჩრდილოეთ კავკასიაში გააქტიურდნენ, მათ შორის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით ოსმალეთის არსებობის დასრულება კავკასიაში არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი მას მთლიანად აკონტროლებდა, რადგანაც კავკასიელ ხალხებს არც ოსმალეთის დაქვემდებარებაში ყოფნა სურდათ და არც რუსეთისადმი მორჩილება. მათი მიზანი და სურვილი დამოუკიდებლობა იყო (Aydin, 2017: 11). მაღალმთიანი კავკასიის შიდა რაიონები იმ კავკასიელი ტომებით იყო დასახლებული, რომლებმაც არ იცოდნენ, რა იყო ბრძოლებში დამარცხება. ისინი არც რუსეთის კონტროლის ქვეშ ყოფნას შეეგუებოდნენ. რუსების ხელში ანაპის ციხის გადასვლამ, რომელიც კავკასიის მმართველობაში, ზოგადად, უმნიშვნელოვანეს ბაზად იყო მიჩნეული, რეგიონში მცხოვრები კავკასიელი ხალხების (ადილელები და ჩერქეზები) მწვავე რეაქცია გამოიწვია. მათ არ სურდათ რუსეთის ბატონობის ქვეშ ყოფნა. ამიტომ მათი წინააღმდეგობა რუსების მიმართ მრავალი წელი გაგრძელდა. კავკასიელი ტომების წარმომადგენლებმა ანაპაში თხოვნის წერილი გააგზავნეს სტამბოლს, რომელშიც სამომავლო მდგომარეობის შესახებ ინტერესს გამოხატავდნენ და რუსებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად დახმარებას ითხოვდნენ (Özsaray, 2011: 99-105). რუსეთს კავკასიაში დაახლოებით 15 ათასი

ჯარისკაცისგან შემდგარი კავკასიის დამოუკიდებელი კორპუსი ჰყავდა თავის სარდლობასთან ერთად, რაც მნიშვნელოვანი იყო როგორც აჯანყებების ჩასახშობად, რომელსაც მუდმივად აწყობდნენ კავკასიელი ხალხები, ასევე, სამხრეთ კავკასიაში რუსების უსაფრთხოების დასაცავად (**Çaycıoğlu, 2018: 180**). გადაწყდა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ციხეების (რედუტ-კალე, სოხუმი, ანაპა) გარდა, აშენებულიყო ახალი ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ერთმანეთს ზღვით დაუკავშირდებოდნენ (**Tsurtsumia, 2018:120**).

რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა XVI საუკუნიდან დაიწყო (**Henze, 1985: 3**). პეტრე I-ის მიერ შემუშავებული პოლიტიკური გეგმის ფარგლებში, რაც ხმელთაშუა ზღვასა და სრუტეებზე გასვლას გულისხმობდა, დაპყრობითი მოქმედებები მუდმივად მიმდინარეობდა. კავკასიაში რუსეთის თავდასხმების წინააღმდეგ ბრძოლა რელიგიურ წიაღში აღმოცენებული მოძრაობის სახელით წარიმართა, რომელიც სამშობლოს დაცვის მიზნით ეროვნულ ბრძოლასა და ეროვნულ ნებას ეფუძნებოდა. პირველი ასეთი ბრძოლა ჩეჩენი წარმოშობის იმამ შეიხ მანსურის სახელთანაა დაკავშირებული (1785 წ.), რაც შემდგომში იმამ შამილის<sup>36</sup> ხელმძღვანელობით მიურიდიზმის მოძრაობის<sup>37</sup> სახელით გაგრძელდა (1834 წ.). ეს მოძრაობა, თავისი არსებობის მანძილზე, კავკასიაში რუსებს ძალიან ეფექტურ წინააღმდეგობას უწევდა.

მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების შემდგომ, ყირიმი დაკარგა, იგი კავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარებას შეუდგა. სამხედრო-საზღვაო კაპიტანმა გაზი ჰასან ფაშამ და ჯანიქლი ჰაჯი ალი ფაშამ შავიზღვისპირა რაიონები და ანაპა დალაშქრეს. მათ რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ ოსმალეთის იმპერიის მთავრობას გაუგზავნეს ცნობები, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჩერქეზები ერთგულნი არიან ისლამისა და ოსმალეთის იმპერიის. მათ მზად ჰყავთ

---

<sup>36</sup> ჩრდილოეთ კავკასიელი, თავისუფლებისთვის მებრძოლი მუსლიმი. მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გამო თურქეთში მას „კავკასიის არწივის“ სახელით მოიხსენიებენ (**Yeşil, 2016**).

<sup>37</sup> ნაციონალურ-რელიგიური წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც რუსებმა მიურიდიზმის სახელით მონათლეს. რუსულ და დასავლურ ლიტერატურაშიც ამ სახელით ჰპოვა გავრცელება. მუსლიმანებმა კი თავიანთ წამოწყებულ ამ მოძრაობას დაზავათი უწოდეს (**Uludağ, 2006 :50-52; Kafli, 1942 :90-91**).

8000 მეომარი, რომელთაც რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ (**Ahmed Cevdet Paşa C. II: 707**). ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, 1781 წელს, ანაპის მცველად ქართული წარმოშობის ფერაჰ ალი ფაშა დაინიშნა, რომელიც ოსმალეთის სახელმწიფოსადმი ერთგული მსახურებითა და ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა (**Yağcı, 1998: 68**). რეგიონში ფერაჰ ალი ფაშას საქმიანობა პოზიტიურად და დადებითად იყო შეფასებული. კავკასიელი ტომები მისდამი კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ. ფერაჰ ალი ფაშამ შაჰსუღების ტომის ერთ-ერთ ოჯახთან ნათესაური კავშირიც კი დაამყარა და ამით კიდევ უფრო დაუახლოვდა ამ ხალხს (**Bardakçı, 1996: 39**). რეგიონში ფერაჰ ალი ფაშას საქმიანობამ ხელი შეუწყო ისლამის გავრცელებას და, შესაბამისად, ოსმალეთის სახელმწიფოს გავლენის განმტკიცებას. კავკასიელი ხალხებისთვის ისლამი გახდა მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი ფაქტორი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთმა სათანადოდ ვერ შეაფასა საკუთარი მიწა-წყლის დაცვის მიზნით გაერთიანებული კავკასიელი ხალხების სიძლიერე, რომლებიც ღაზავათის პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. ამ წინააღმდეგობების გამო, კავკასიაში მისი ბატონობა ძალიან რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. კავკასიელი ხალხის წინააღმდეგობრივ ბრძოლას რუსეთმა ვერაფერი მოუხერხა, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ კავკასია რუსეთს ეკუთვნოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა რუსეთის მიერ კავკასიელებისთვის მუქარის შემცველი გაფრთხილების გაგზავნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთის არმია სტამბოლამდეც კი მივიდა, ხელმწიფე ნიკოლოზ I-ის მიერ მოპოვებული წარმატებების შემდეგ ადრიანოპოლის ზავი დაიდო, რითაც ოსმალეთის სახელმწიფომ კავკასია რუსეთს ჩააბარა და თუ კავკასიელ ხალხს სურს რეგიონში მშვიდობიანი ცხოვრება, მათ რუსეთთან უნდა დაამყარონ კავშირი (**Aydın, 2017: 53**). რუსეთის მიერ კავკასიელი ხალხისთვის გაგზავნილ ამ გაფრთხილებას მათზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. ამიტომაც რუსეთს კავკასიის დასამორჩილებლად ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მოუწია ბრძოლა. ნიკოლოზ I კავკასიის ხაზის მთავარსარდლისგან უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენას მოითხოვდა (**Forsyth, 2013: 329**).

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთს პოლიტიკური გავლენა კავკასიის რეგიონში აღარ ჰქონდა, იგი ცდილობდა, რომ მორალურად დაეჭირა მხარი კავკასიელი ხალხე-

ბისტვის რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1831 წელს ჩერქეზმა ბატონიშვილმა და დიდგვაროვნებმა ოსმალეთში დელეგაცია გაგზავნეს, რომელსაც სეფერ ბეგი ხელმძღვანელობდა. მათ ოსმალეთისგან რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება ითხოვეს. ოსმალებმა დადებითად უპასუხეს ამ თხოვნას და დელეგაციის წარმომადგენლებს დახმარება აღუთქვეს, თუმცა აღნიშნეს, რომ დახმარების გაწევა ფარულად და ჩუმად მოხდებოდა (Aydın, 2017: 22).

ოსმალეთმა მოახერხა, რომ 1833 წლამდე თავისი გავლენა შეენარჩუნებინა კავკასიაზე. ამას ის კავკასიაში თავისი ჯაშუშებისა და ამავე დროს სხვადასხვა დახმარებების გაგზავნით ახერხებდა (Aydın, 2017: 11). თუმცა, 1833 წელს ეგვიპტის გუბერნატორის ქავალი (მაკედონელი) მეჰმედ ალი ფაშას მიერ ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებამ აჩვენა, რომ ოსმალეთს აღარ შესწევდა ძალა ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ებრძოლა და რომ კავკასიაში მისი ადგილის დაკავებას დიდი ბრიტანეთი ცდილობდა. ოსმალეთი იძულებული გახდა, აჯანყება რუსეთის დახმარებით ჩაეხშო.

რუსეთი, ადრიანოპოლისა და უნქიარ-ისქელესის ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით, ფიქრობდა ოსმალეთზე პირდაპირი პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობის დამყარებას და ცდილობდა, დაეყოლიებინა იგი დაეკეტა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები დასავლეთის სახელმწიფოების გემებისთვის. ბრიტანეთი მიხვდა რა რუსეთის ამ განზრახვას, მის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიელე ბისტვის დახმარების გაწევა დაიწყო (Esadze, 1999: 32; Berkok, 1958: 430).

ოსმალეთი არ ეთანხმებოდა და მწვავე პოზიცია ჰქონდა ადრიანოპოლის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიმართ, რომელიც რუსეთისთვის ანაპიდან ფოთამდე რეგიონის გადაცემას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, რუსებისთვის კავკასიის გავლით სამხრეთისაკენ (სპარსეთის ყურე) და სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ (ხორასანის გავლით ინდოეთისაკენ), კასპიის ზღვის გავლით თურქესტანისკენ გზა ხსნილი იყო. ეს კი ინდოეთის უსაფრთხოების თვალსაზრისით ინგლისის შემფოთებას იწვევდა. ამიტომ ინგლისმა იცოდა რა, რომ რუსებს ხმელთაშუა ზღვამდე ჯერ კავკასია უნდა გაევიდოთ დაბრკოლების გარეშე, სწორედ კავკასიაში განიზრახა მათთვის წინააღმდეგობის შექმნა სხვადასხვა ბარიერების შექმნის გზით (Aydın, 2017: 34). ამ ჩანა-

ფიქრის განხორციელების მიზნით ინგლისმა 1834 წელს კავკასიაში სიტუაციის დასაზვერად, ჯაშუშის ამპლუაში, სტამბოლში ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელი დავით ურგჰარტი გაგზავნა (**Henze, 1985: 12**), რომელიც შეხვდა კავკასიელი ხალხების (ადილელების) წარმომადგენლებს და მათ რუსების ოკუპაციის წინააღმდეგ უფრო მედგრად ყოფნის მითითებები მისცა (**Berkok, 1958: 430**). ინგლისს არ სურდა, რომ დაპირისპირებოდა რუსეთს, ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევდა, ფარულად დახმარებოდა კავკასიელ ხალხებს. შეიძლება ესეც იყო იმის მიზეზი, რომ კავკასიაში ინგლისის მიერ გატარებული პოლიტიკა, შედეგების თვალსაზრისით, არ აღმოჩნდა საკმარისად ეფექტური და შედეგიანი კავკასიელი ხალხისთვის.

ამასობაში, კავკასიის მთავარმართებელი პასკევიჩი ჩეჩნეთიდან ყუბანამდე რეგიონის ხელში ჩაგდებას გეგმავდა, თუმცა 1831 წელს რუსეთის იმპერიაში განვითარებული მოვლენების გამო (როგორც იყო პოლონელების აჯანყება, რომელმაც რუსეთი რთულ მდგომარეობაში ჩააგდო) მან კავკასია დატოვა. პასკევიჩი პოლონეთში მოქმედი რუსული არმიის მთავარსარდლად დაინიშნა (**Çaycıoğlu, 2018: 212**). 1831 წლის 8 ოქტომბერს კავკასიის არმიის მთავარსარდლად გენერალ-ადიუტანტი ბარონი როზენი იქნა გამწესებული (**Baddeley, 1995: 250**).

კავკასიელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლები დამოუკიდებლობისთვის, ხშირ შემთხვევაში, რუსების მარცხით მთავრდებოდა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა აფხაზებისა და ჩერქეზების თავდასხმები და წინააღმდეგობა გაეწია ოსმალეთიდან გამოგზავნილი დახმარებისთვის, 1835 წელს გენერალი ველიამინოვი 12 ათასი მეომრით შეტევაზე გადავიდა, თუმცა წარუმატებლად და იძულებული გახდა უკან დაეხია. რუსების მიერ განცდილი ეს მარცხი ევროპის დღის წესრიგის მთავარ თემად იქცა. ის ერთ-ერთი გერმანული გაზეთის (Augsburg) განხილვის საგანიც კი გახდა (**Aydın, 2017: 74**).

1837 წელს ნიკოლოზ I კავკასიას ეწვია, რათა ადგილზე შეესწავლა რეგიონში განვითარებული მოვლენები, რუსეთის არმიის წარუმატებლობების მიზეზები და დაესრულებინა კავკასიელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ (**Esadze, 1999: 38; Aydın, 2017: 64**). ნიკოლოზ I 23 სექტემბერს ანაპაში ჩავიდა, 27 სექტემბერს კი რედუტ-კალეს ეწვია, სადაც მას



უმასპინძლა სარდალმა კონტ ცუკატომ (Esadze, 1999: 40), ვისგანაც მოისმინა ინფორმაცია კავკასიაში მდგომარეობის შესახებ. შემდეგ კი იქაური საავადმყოფო და ციხესიმაგრეები მოინახულა (Aydın, 2017: 83). მოგვიანებით, რუსეთის იმპერატორი ზუგდიდში გადავიდა და სამეგრელოს თავადს ლევან დადიანს თავის რეზიდენციაში ესტუმრა. საიდანაც ნიკოლოზ I ქუთაისში, შემდგომ კი ახალციხესა და ახალქალაქში გადავიდა და სასაზღვრო პუნქტები მოინახულა. 8 ოქტომბერს ნიკოლოზ I თბილისში ჩავიდა, საიდანაც 12 ოქტომბერს რუსეთში დაბრუნდა (Baddeley, 1989: 297). თბილისში ყოფნისას ნიკოლოზ I-მა შამილი მეფის სასახლეში დაპატიჟა. ეს მოპატიჟება მიზნად ისახავდა საუბარს ომის დამთავრებისა და რუსეთის მმართველობის მიღების შესახებ. ამ პირობების მიღების შემთხვევაში, შამილი შეწყალებული იქნებოდა. თუმცა, შამილმა ეს წინადადება არ მიიღო (Henze, 1985: 12; Saydam, 1997: 49-50). ამან კი კავკასიაში მიმდინარე ბრძოლები და წინააღმდეგობა კიდევ უფრო გააძლიერა და გაამკაცრა. რუსეთმა ამ ბრძოლებში თავის საჯარისო შენაერთებთან ერთად იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს სახალხო ლაშქარიც გამოიყენა (Esadze, 1999: 41).

კავკასიაში რუსეთის ხელმწიფის ვიზიტს პორტა მიესალმა და ოსმალეთის სახელით, ნიკოლოზ I-თან შესახვედრად, საზღვარზე ერზრუმის გუბერნატორის ესათ ფაშას ხელმძღვანელობით 20-25 კაციანი დელეგაცია გაიგზავნა. მათ ნიკოლოზ I-ს საჩუქრებიც (ქსოვილები, ცხენი) მიართვეს. შეხვედრაზე, სადაც ხაზგასმული იქნა ორი სახელმწიფოს მეგობრობა, შემხვედრი საჩუქრებიც იქნა გადაცემული რუსების მხრიდან. ეს შეხვედრა ერთი გარემოებით გამოდგა ძალზედ საყურადღებო. ნიკოლოზ I-მა საუბრისას რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი თურქული წინადადება გამოიყენა კავკასიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ნიკოლოზ I-ის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „მე სიკეთე მინდა“, - ოსმალეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობების დალაგების სურვილთან ერთად ერთგვარ გაფრთხილებასაც შეიცავდა (Aydın, 2004: 90-94).

1843 წლის შემოდგომაზე შამილმა ეფექტური ომის დასაწყებად მიურიდიზმის მიმდევარი თანამებრძოლებისაგან რეგულარული არმია ჩამოაყალიბა. 1843-1844 წლებში რუსების წინააღმდეგ შამილის მიერ წარმოებული ბრძოლები წარმატებით წარიმართა. ამ გამარჯვებებმა ყაზარდოელებს სიმამაცე შესძინა და 1843 წელს რუ-

სების წინააღმდეგ საბრძოლველად მზადყოფნაში მოიყვანა. ყაზარდოელების აჯანყებებმა და შამილთან მათმა გაერთიანებამ რუსეთის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. 1843 წლის 30 დეკემბერს ნიკოლოზ I-მა კავკასიის არმიის სარდალს გენერალ ნეიდგარდტს ბრძანება გაუგზავნა, სადაც შამილის არმიის დაშლა იყო მოთხოვნილი. გენერალს 40 ათასი ჯარისკაცი, იარაღი და საბრძოლო მასალებიც გაეგზავნა (Kafli, 1942: 108). ამასთანავე, რუსეთის მხარდამჭერების მოსაპოვებლად, ნიკოლოზ I-მა 45 ათასი რუსული რუბლიც გამოყო. ამას გარდა, იმპერატორი განსაკუთრებულ ყურადღებას შამილის სულიერი მოძღვარისა და სიმამრის (შეიხ ჯემალედინის) და მასთან ერთად ყადების რუსების მხარეზე გადაბირებას უთმობდა და კავკასიაში ძლიერი არმიის გამოსაგზავნად იჭერდა თადარიგს. მიუხედავად ყოველივე ამისა, რუსმა ჯარისკაცებმა შამილის ძლიერი დაცვის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და დამარცხდნენ. გენერალი ნეიდგარდტი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს (Budak, 2010: 67-70).

ამ წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ, 1844 წელს, ნიკოლოზ I-მა დალესტნის დალაშქვრა განიზრახა. ამავდროულად ახალი ციხესიმაგრეების აშენების ბრძანებაც გასცა (Kafli, 1942: 108; Tavkul, 2015: 107-108). გარდა ამისა, გენერალ ნეიდგარდტის ნაცვლად კავკასიის არმიის მთავარსარდალად ნაპოლეონთან ბრძოლებში განსაკუთრებული წარმატებებით გამორჩეული ვორონცოვი დანიშნა, რომელმაც ამავდროულად, კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობაც დაიკავა (Kafli, 1942: 108; Tavkul, 2015: 107-108). ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ კავკასიის დაპყრობა თანმიმდევრულად, სისტემურ რეჟიმში უნდა მომხდარიყო. ვორონცოვი უპირველესად გასატარებელ ღონისძიებათა შორის ციხესიმაგრეების და ხიდების აშენებასთან ერთად, მაღალმთიანი ადგილებიდან მოსახლეობის დინების შეჩერების წინააღმდეგ ზომების მიღებასაც მიიჩნევდა (Allen-Muratoff, 1966: 51). 1845 წელს ვორონცოვი შამილის წინააღმდეგ სალაშქროდ დაიძრა. შამილის მეომრების მიერ გაწეული თავდაცვითი ბრძოლების შედეგად, რუსეთის არმიამ ვორონცოვის ხელმძღვანელობით დიდი დანაკლისი განიცადა. მის დასახმარებლად ახალი საჯარისო შენაერთები იქნა გაგზავნილი, ამიტომ შამილი იძულებული გახდა უკან დაეხია (Tavkul, 2015: 110).

ცხადი ხდებოდა, რომ შამილის გავლენა და სიძლიერე თანდათან სუსტდებოდა. კავკასიელი ხალხი დაიღალა მრავალწლიანი სისხლიანი ომებით. მისი ერთი ნაწილი რუსეთს დაემორჩილა, სხვები კი უფრო უსაფრთხო ადგილას გადადიოდნენ საცხოვრებლად. ყირიმის ომის შემდგომ (1853-1856) რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ გადაჭრით გადაწყვიტა კავკასიის დაპყრობა. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად მან კავკასიაში მეფისნაცვლად თავადი ბარიატინსკი დანიშნა (Kafli, 1942: 111). ბარიატინსკიმ წინააღმდეგობის გაწევით მოახერხა, რომ არ მომხდარიყო ყირიმიდან დახმარების შემოსვლა. მოგვიანებით კი აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიაზე ბატონობის მოსაპოვებლად რეგიონზე შეტევები წამოიწყო. ეს იყო კავკასიელი ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის შამილის ხელმძღვანელობით, რომელსაც კავკასიის ბედი უნდა განესაზღვრა. რუსეთის მიერ წარმოებულმა მკაცრმა და დაუნდობელმა შეტევებმა გატეხა კავკასიელთა წინააღმდეგობა. დაახლოებით 30 წლის განმავლობაში შამილის ხელმძღვანელობით მიმდინარე დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა (მიურიდიზმის მოძრაობა) 1859 წლის 5 დეკემბერს, შამილის დანებების შემდეგ, თანდათან დასუსტდა. კავკასიელების არაორგანიზებული და დაფანტული ბრძოლები რუსების წინააღმდეგ 1864 წლამდე გაგრძელდა. საბოლოოდ რუსებმა გამარჯვება მოიპოვეს. ამით დასრულდა ომი რუსებსა და კავკასიელ ხალხებს შორის (McCarthy, 2014: 37; Özcan, 2019: 444).

ხანგრძლივი ომების შემდეგ, რომელიც უამრავი წელი გაგრძელდა, რუსებმა შეძლეს კავკასიაზე ბატონობის მოპოვება. რუსების მიერ განხორციელებული ზეწოლისა და სირთულეების შექმნის გამო, შემდგომ წლებში ოსმალეთის სახელმწიფოში მასობრივი გადასახლებები და მიგრაცია დაიწყო. მართალია, 1774 წელს, როდესაც რუსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს შორის ხელი მოეწერა ქუჩუკ-კაინარჯის ზავს, რომლის შედეგადაც ყირიმი ჩამოერთვა ოსმალეთს და რუსეთის ბატონობის ქვეშ გადავიდა, ადგილი ჰქონდა მიგრაციის დიდ ტალღას, მაგრამ 1864 წელს მან უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში ოსმალეთში გადასულ მიგრანტთა რიცხვი 400-დან 600 ათასს აღამიანამდე მერყეობს (Cheterian, 2008: 95). მაკარტნის ნაშრომის მიხედვით 1856-1864 წლებში მიგრირებული ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 600.000, 1864 წლიდან კი ამ რიცხვმა 200.000 შეადგინა. უნდა აღი-

ნიშნოს, რომ ეს ცოცხლად გადარჩენილი ლტოლვილების რაოდენობაა. სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე მეტია. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, თავდაპირველი რაოდენობა, როცა დაიწყო მათი მიგრაცია, სავარაუდოდ, 1.200.000 ადამიანს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრები ზუსტი არ არის (McCarthy, 2014: 40). 1918 წელს გაზეთ ტანინ-ში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, იმ მიგრანტთა რიცხვი, რომლებიც უშუალოდ რუსი ჯარისკაცების მონაწილეობით გემებით ტრაპიზონში, სამსუნსა და სინოპში იქნენ გაგზავნილნი 260 ათას შეადგენდა. გარდა ამისა, სტატიაში მოყვანილი მონაცემების მიხედვით, 1858 წლიდან 1864 წლამდე პერიოდში მიგრაციაში წასული ადამიანების რიცხვი მთლიანობაში, იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც რუსების გვერდის ავლით წავიდნენ მიგრაციაში, 398 ათასს აღწევდა (Orat, Arslan, Tanrıverdi, 201:11-13). ქაფლის ნაშრომის მიხედვით თურქეთში მიგრირებული ადამიანების რიცხვი 1.5 მლნ-ს შეადგენს (Kafli, 1942: 121). ესაძის წიგნში კი ვკითხულობთ, რომ 1858 წლიდან 1865 წლამდე თურქეთში მიგრირებული ადამიანების რაოდენობა 418 ათასია (Esadze, 1999: 127).

ღრმა ტკივილითა და სისასტიკით გაჯერებული იმ წლების გადასახლებისა და მიგრაციის პროცესი შეუძლებელია ციფრებში აისახოს და გამოიხატოს. ეს კავკასიის ისტორიაში განვითარებული სამწუხარო მოვლენებიდან ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა იყო და ასეთადაც შევიდა ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საქართველოს დაპყრობით მთელი კავკასია ჩაიგდო ხელში და შავ ზღვაზეც თავისი კონტროლი დაამყარა, რეგიონში სრული ჰეგემონიის მისაღწევად მრავალწლიანი ბრძოლების გადატანა მოუხდა კავკასიელი ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც მას ჯეროვან წინააღმდეგობას უწევდნენ.

კავკასიელი ხალხები, რომლებიც არ ეგუებოდნენ რუსეთის მმართველობას, 1864 წლამდე რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კავკასია აღარ წარმოადგენდა ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოაზრებულ არეალს, ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესი კავკასიის მიმართ არ განელებულა. ის კავკასიელ ხალხებს რუსეთთან ბრძოლაში ფარულ სამხედრო დახმარებას უწევდა. თუმცა პოლიტიკურად და საბრძოლო კუთხით დასუსტებული და პრობლემებში მყოფი ოსმალეთის სახელმწიფო ჯეროვანი დახმარებას გაწევას ვერ ახერხებდა. კავკასიელი

ხალხის მრავალწლიან წინააღმდეგობას რუსეთი არ ელოდებოდა და მას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმკლავდებოდა. საბოლოოდ მიაღწია კიდეც წარმატებას და კავკასიელ ხალხზე თავისი ბატონობა დაამყარა. ამან კავკასიელი ხალხების იძულებითი მიგრაცია გამოიწვია. კავკასიელმა ხალხმა, რომელთა რიცხვი საკმაო იყო და რომელთაც არ სურდათ რუსეთის მმართველობის ქვეშ ცხოვრება, ოსმალეთის სახელმწიფოს მიაშურა.

ოსმალეთს ადრინდელი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება აღარ გააჩნდა. ის შიდა პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული. ამიტომაც აღარ შესწევდა უნარი, რომ კავკასიის პრობლემებით დაინტერესებულიყო. თუმცა კავკასიიდან მიგრაციის მსურველთათვის თავისი სახელმწიფოს კარი ყოველთვის ღია ჰქონდა, რითაც არ წყვეტდა რეგიონთან კავშირს და მიგრანტთა მიმღები სახელმწიფოს როლის თავის თავზე აღებას განაგრძობდა.

## § 2. იმერეთის ადმინისტრაციული მმართველობა. რუსიფიკატორული პოლიტიკა და მისი შედეგები

ოსმალეთთან ადრიანოპოლის ხელშეკრულების დადების შემდეგ რუსეთმა საქართველოზე სრული კონტროლი დაამყარა. საქართველოში მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის დანერგვა 1801 წლიდან დაიწყო. ამიერკავკასიას რუსეთი, როგორც თავის განაპირა კოლონიურ მხარეს, ისე უყურებდა. რუსული სამხედრო-საოკუპაციო სისტემა სოციალურ ჩაგვრასთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც ეწეოდა. უფრო მეტიც, რუსული იმპერიალიზმი არა რუსი ხალხების სასტიკ ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას კი არ ატარებდა, არამედ პირდაპირი რუსიფიკაციის პოლიტიკას (დუმბაძე, 1957: 259).

დასავლეთ საქართველოში გაბატონებულმა რუსეთმა აქ დროებითი მთავრობა შექმნა, რომელსაც სათავეში რუსი მმართველები ჩაუყენა. მათ მოადგილეებად კი ქართველი დიდგვაროვნები დანიშნა. მმართველები რუსი ოფიცრებისგან იქნა შერჩეული, რომლებიც რუსეთის მთავრობაში სამხედრო თანამდებობებზე იყვნენ გამწესებულნი. სიმონოვიჩი პირველი იყო, ვინც იმერეთის მმართველად დაინიშნა. ის ამავდროულად იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავარმართველადაც იწოდებოდა (Dvali, 2019: 76).

დასავლეთ საქართველოს მმართველობის სისტემა ოთხ ოლქს (округ) მოიცავდა: ქუთაისის, ვაკე, შორაპანი და რაჭა. ოლქები რუსი სამხედროების მიერ იმართებოდა. მხოლოდ ორი მოადგილე იყო ქართველი დიდგვაროვნებიდან. ოლქს მმართველი ერთპიროვნულად განაგებდა. იმერეთის რეგიონის მმართველობა ამ სისტემით 1846 წლამდე, ქუთაისის გუბერნიის შექმნამდე გრძელდებოდა (ვაჭრიძე, 1999: 113-115).

1829 წლის დეკემბერში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით გაუქმდა გურიის სამთავრო და ის რუსეთის იმპერიის პროვინციად იქცა. მას გურიის ოლქი ეწოდა (ჩხატარაიშვილი, 1985: 101; Bilge, 2005: 199). გურია სამხედრო-ადმინისტრაციულ რეგიონად გამოცხადდა, სადაც „დროებითი ადმინისტრაცია“ შეიქმნა. დროებით მთავრობას სათავეში რუსი ოფიცერი ჩაუდგა, რომლის მოადგილედ ადგილობრივი დიდგვაროვანი იქნა დანიშნული. სოფლების მართვა ძველი ქართული წესების მი-

ხედვით „მოურავს“ ჰქონდა დაკისრებული. გურია ამ სისტემით 1840 წლამდე იმართებოდა.

წესები, რომელებიც შემოღებული იქნა საქართველოში 1801 წლის კანონის საფუძველზე და თითქმის უცვლელად მოქმედებდა 40 წლის განმავლობაში, ოფიციალური წრეების აზრით, უკვე აღარ პასუხობდა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამავე მოსაზრებას იზიარებდნენ რეგიონის მმართველებიც. მთავარმართებელ პასკევიჩის მიერ 1830 წლის 24 აპრილით დათარიღებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ არსებული მართვის სისტემაში არ არსებობს მმართველობის მარეგულირებელი კანონებისა და ისეთი ფინანსური სისტემა, რომელიც ერთიან, მთლიან ადმინისტრაციულ სისტემას შექმნიდა. მოხსენებაში ხაზგასმული იყო ის გარემოებაც, რომ თითქმის ყველგან, რუსულ სისტემასთან ერთად, გავრცელებულია მუსლიმური და ქართული მმართველობის სისტემა. პასკევიჩი სთავაზობდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის გუბერნიებში მოქმედი სამოქალაქო ადმინისტრაციული მმართველობის მსგავსი სისტემა ყოფილიყო შემოღებული (Çapraz, 2006: 79). სხვადასხვა პროექტების ავტორი და შემქმნელი პასკევიჩი საქართველოს 10 გუბერნიად დაყოფის იდეით გამოდიოდა, რომლის ცენტრი თბილისი იქნებოდა. გუბერნიებში მმართველობა რუსეთის ზოგადი კანონებით განხორციელდებოდა (Taşçı, 2019: 97). სენატორების - მეჩნიკოვისა და ქუთაისოვის აზრითაც, საჭირო იყო ადგილობრივი ელემენტების განდევნა და სრული რუსული მმართველობის შემოღება (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, 1970:89)

მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული, პასკევიჩის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვა და პრაქტიკაში გატარება ბარონი როზენის მთავარმართებლობის პერიოდში გააქტიურდა. თუმცა, როზენი წინააღმდეგი იყო, რომ კავკასიის მთელ რეგიონში ადმინისტრირება რუსეთში მოქმედი ზოგადი კანონებისა და გუბერნიების შესაბამისობაში განხორციელებულიყო, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მუსლიმები იყვნენ დასახლებულნი. ის მოითხოვდა, რომ ასეთ რეგიონში მმართველობა ამ ხალხის კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელებულიყო (Taşçı, 2019: 98). მეფის რუსეთის მხრიდან როზენის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები არ იქნა გათვალისწინებული. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის კავკასიაში

მოგზაურობის შემდეგ, ნათელი გახდა რა, რომ მმართველობის სისტემა წარუმატებელი იყო, მთელი პასუხისმგებლობა როზენს დაეკისრა და ის მალევე გადაყენებული იქნა თანამდებობიდან. მის ნაცვლად კავკასიის მთავარმართებლად გენერალი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი დაინიშნა (**Taşçı, 2019: 98**).

1840 წლამდე საქართველოში ახალი ადმინისტრაციული სტრუქტურის შესაქმნელად სხვადასხვა პროექტი და მოხსენება იქნა წარმოდგენილი. საბოლოოდ, 1840 წელს გატარებული იქნა რეფორმა და ძალაში შევიდა მმართველობის ახალი სისტემა. 1841 წლის 1 იანვარს ამოქმედებული ახალი რეგულაციების თანახმად, ქართული სამეფო-სამთავროები ცენტრალიზებულად, მმართველობის ერთიანი სისტემის ქვეშ გაერთიანდა და წარმოდგენილი იქნა როგორც საქართველო-იმერეთის გუბერნია (**ვაჭრიძე, 1999: 280-281; Çapraz, 2006: 79**), რომელიც მოიცავდა 11 ადმინისტრაციულ ერთეულს: თბილისი, გორი, თელავი, გურჯაანი, ქუთაისი, ელიზავეტპოლი, ალექსანდროპოლი, ერევანი, ნახიჭევანი, ახალციხე და გურია. ამგვარად, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის დროებითი მთავრობების, ასევე, საქართველოს მთავრობის ფუნქციონირება დასრულდა. მათ მმართველობაში მყოფი ქართველი დიდგვაროვნები კი მმართველობას ჩამოაშორეს. ახალმა მმართველობის სისტემამ და რეგულაციებმა ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია. იმერეთის მოსახლეობამ არ მიიღო მხარის ასე ჩვეულებრივ რეგიონად დატოვება და თბილისზე ცენტრალიზებულად დამოკიდებულება. ამან იმერეთის რეგიონში არეულობებიც კი გამოიწვია (**Çapraz, 2006: 79**).

რუსეთის მიერ რეგიონში ჩატარებული რეფორმები მთელი ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევას ისახავდა მიზნად. ამ მიზნის მისაღწევად კი ის დროდადრო სხვადასხვა მეთოდს მიმართავდა და ცდილობდა, რომ ხალხი ზეწოლის ქვეშ ჰყოლოდა. ამ დამოკიდებულების შედეგად და იმ წნეხის გამო, რაც ახალი საგადასახადო სისტემის სიმძიმით იყო გამოწვეული, გურიაში აჯანყებები დაიწყო (**Tanrıverdi, 2017: 546**).

1841 წელს წამოწყებული აჯანყება, თავისი ხასიათით ასახავდა იმ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში XIX ს. 40-იან წლებში ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის ზრდისა და კოლონიური ჩაგვრის გამწვავების გამო. რუსული მმართველობის წინააღმდეგ იარაღით



ბრძოლას აქტიური ხასიათი მიეცა ქართლში, კახეთსა და იმერეთში. მაგრამ ამ გამო-სვლათა შორის ყველაზე მასობრივი იყო გურიის გლეხთა აჯანყება, რომელმაც იმე-რეთის რიგი სოფლებიც მოიცვა (ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, 1991: 55). აჯანყების მიზეზი იყო რუსული ადმინისტრირებისა და სასამართლო სისტემის შემოღება და ამ ცვლილებებით გამოწვეული მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება. მთავრობამ გურიის მოსახლეობას ახალი ბეგარა-გადასახადები დაუწესა, რაც ფულის სახით უნ-და გადაეხადათ. დადიოდა ხმა, თითქოს მთავრობა სავალდებულო სამხედრო სამსა-ხურის შემოღებას და ხალხის ჯარში გაწვევას აპირებდა. აჯანყებულებმა დაიკავეს გურიის რეგიონის სტრატეგიული ადგილები. მთავარმართებელმა გოლოვინმა და-ღესტნის ფრონტიდან მოხსნა და გურიაში გამოგზავნა პოლკოვნიკი ბრუსილოვი, რომელმაც მოახერხა სამაზრო ცენტრში - ოზურგეთში შესვლა, მაგრამ ამბოხებულე-ბისგან გურია-ქუთაისის გზის გაწმენდა ვერ შეძლო. 9 აგვისტოს დიდი ბრძოლა გაიმართა სოფელ გოგორეთში. აქ, მხოლოდ ერთ ბრძოლაში, 1841 წლის 9 აგვისტოს ბრუსილოვის ჯარმა 77 კაცი დაკარგა (დუმბაძე, 1957: 271; Iberieli, 2014: 289).

ბრუსილოვი ბრძოლაში დამარცხდა და ოზურგეთში გაბრუნდა. აჯანყებულებმა მომდევნო დღეს შეკვეთილის ციხე აიღეს, 11 აგვისტოს გლეხებმა ალყა შემოარტყეს თავად ნაკაშიძის მამულს. ნაკაშიძე ღამით გაიქცა და მისი მამული აჯანყებულებს დარჩათ. გურიის აჯანყება მეტად სერიოზულ მოვლენას წარმოადგენდა საქართვე-ლოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში. რუსეთის მთავრობა სახიფათო მდგომარეო-ბაში აღმოჩნდა. მის მდგომარეობას ჩრდილოეთ კავკასიაში განცდილი დამარცხებები და აჯანყებული გურიისადმი მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის თა-ნაგრძნობაც განაპირობებდა. ცარიზმის ერთი ისტორიკოსი შენიშნავდა კიდევ, რომ ამ დროს მხოლოდ იმერეთისა და სამეგრელოს თავადაზნაურთა ოჯახების ნაწილი ერთგულებდნენ რუსეთს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი მის წინააღმდეგ იყო განწყობილი (დუმბაძე, 1957: 27).

აჯანყებულთა ამ წარმატებულმა ბრძოლებმა ოზურგეთი მოწყვიტა გურიის და-ნარჩენ თემებს, გადაიკეტა გზა ფოთი-ყულევისა და ქუთაისისკენ. მთელ გურიაში, ოზურგეთის გარდა, გაუქმდა რუსული ხელისუფლება და ყოველგვარი მმართველო-ბა. ბრუსილოვი ოზურგეთში ჩაკეტილი აღმოჩნდა. ოზურგეთის გარნიზონის გამო-

სახსნელად სამეგრელოს მთავარი გაემგზავრა, მაგრამ აჯანყებულებმა სოფელ გოგორეთთან დადიანი სასტიკად დაამარცხეს.

დასავლეთ საქართველოში რუსები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ამ დროს ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში შამილს ებრძოდნენ, აფხაზეთში უტევდნენ ჩერქეზთა ტომებს - უბიხებსა და შაფსულებს. რუს სამხედროებს ეჩვენებოდათ, რომ ჩერქეზები და გურულები მათ წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. ამასთანავე, გურულებმა კავშირი გააბეს ქობულეთის მმართველ ჰასან ბეგთან. ბრუსილოვმა ის 174 ოქროთი მოისყიდა. რუსეთის ჯარის დასახმარებლად და გურიის აჯანყების ჩასაქრობად ხელისუფლებამ პოლკოვნიკი არლუთინსკი-დოლოგორუკოვი გაგზავნა, რომელმაც დიდი მცდელობის შემდეგ აჯანყებულების ნასაკირალთან დამარცხება მოახერხა.

რაც შეეხება სამეგრელოს, დადიანი რუსეთის შემოსვლის პირველ ხანებში მეზობელ სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობაში სადავო საკითხების გადაჭრას რუსების მხარდაჭერით თავის სასარგებლოდ ახერხებდა. თუმცა, ამას დროებითი ხასიათი ჰქონდა. როგორც კი რუსეთი მომაგრდა კავკასიაში, მან თანდათანობით საქართველოში ავტონომიური უფლებების მქონე სამთავროების შევიწროვება დაიწყო. ეს შევიწროვება განსაკუთრებით სამეგრელოს დადიანებისთვის იყო რთული (ქადარია, 2003: 133). 1840 წელს ლევან დადიანი სამეგრელოს სამთავროს მმართველობას ჩამოშორდა და მისი ადგილი შვილმა, დავითმა დაიკავა (Bilge, 2005: 197).

ახალი მმართველობის სისტემას, რომელიც არ ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის თავისებურებებსა და ადგილობრივ პირობებს, პრობლემები შეექმნა სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ სფეროებში. ამ მდგომარეობამ კი 1840 წლის რეფორმების გადახედვის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. შექმნილი პრობლემების შესასწავლად 1842 წლის აპრილში რუსეთიდან სამხრეთ კავკასიაში სამხედრო მეთაური ა. ჩერნიშევი ჩავიდა. პრობლემების შესწავლის შედეგად შედგენილ მოხსენებებში ჩანს, რომ ქართველი ხალხის უკმაყოფილობის მიზეზი აქაური მმართველობის სისტემის რუსეთის გუბერნიებში არსებული სამხედრო სისტემისგან განსხვავებულობა იყო და არ იყო შესაფერისი ქართული სინამდვილისადმი. განსხვავებული ტრადიციების მქონე ქართველების მართვის სისტემა მათთვის შესაფერისი უნდა ყოფილიყო.

იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, გაითვალისწინა რა კავკასიაში არსებული განსაკუთრებული მდგომარეობა, რაც კავკასიელების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გამოიხატებოდა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ იქ მართვის ფორმად მეფისნაცვლის ინსტიტუტი შემოეღო (Taşçı, 2019: 105). იმ რეგიონებში, სადაც ე.წ. „ნამესტნიკობა“ იქნა შემოღებული და სახელმწიფოს უჭირდა, რომ თავის დაქვემდებარებაში ყოლოდა რეგიონი, ცენტრალიზებული მმართველობა აღარ მოქმედებდა და იქაურობის მართვა რეგიონის პირობების შესაბამისად იქნა დაგეგმილი.

1844 წელს კავკასიის უმაღლეს მმართველობაში ცვლილებები განხორციელდა. გაუქმდა მთავარმართებლის თანამდებობა. ამიერიდან კავკასიის მმართველი მეფისნაცვალი უნდა ყოფილიყო. მას ეძლეოდა როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ძალაუფლება და მხოლოდ მეფის წინაშე იყო ანგარიშვალდებული (ნარკვევები, V, 1970: 94; Henze, 1985: 14). ამ მოვალეობის შესასრულებლად 1844 წლის 27 ნოემბერს მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა, რომელიც მმართველობის სისტემის შედეგად გამოწვეული უკმაყოფილებებისა და წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად მოქმედებებს შეუდგა (Allen-Muratoff, 1966: 50). „ქართველებს თავისი დედინაცვალი (რუსეთი) ისე უნდა უყვარდეთ, როგორც მშობელი დედა (საქართველო)“, - ამ მიზნის მიღწევას ცდილობდა მ. ვორონცოვი თავისი მმართველობის განმავლობაში (წურწუშია, 2012:103). ვორონცოვი, თავის წინამორბედებისგან განსხვავებით, ქვეყნის კოლონიზაციის პოლიტიკას მეტად მოქნილად და ელასტიურად ატარებდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, 1970: 95).

საქართველოში იწყება ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა. აგრეთვე, ახალი გზების მშენებლობა. გაყვანილი იქნა სამხედრო გზა იმერეთიდან კავკასიისკენ. მოხდა მოსკოველი და სანკტ-პეტერბურგელი ვაჭრების დარწმუნება და თბილისში სხვადასხვა საქონელის საწყობები გაიხსნა. ქართველი სტუდენტებს მიეცათ უფლება, რომ რუსეთში მიეღოთ განათლება. კავკასიაში გაიხსნა ლიცეუმები და სახელმწიფო სკოლები. როგორც ვხედავთ, ვორონცოვი საქართველოში რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარებას მშვიდობიანი გზით ცდილობდა.

იმისათვის რომ საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში რეფორმები უფრო სწრაფი ტემპით განხორციელებულიყო და საქმე უფრო სწრაფად წაწეულიყო

წინ, 1845 წელს შეიქმნა კავკასიის კომიტეტი. კავკასიის კომიტეტის წევრები ამავე დროულად მეფის რუსეთის კაბინეტის წევრები იყვნენ. კომიტეტის დაარსება მიზნად ისახავდა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და კავკასიის ადგილობრივ მმართველ ორგანოებს შორის უფრო სწრაფი კომუნიკაციის დამყარებას.

იმერეთის მმართველს, გენერალ-მაიორ ა. ესპესოს, სპეციალური ინსტრუქციის საფუძველზე, სახელმწიფო ქონებისა და საქმეების გადასაბარებლად კომისიის შექმნა დაევალა. 1846 წლის დეკემბერში გატარდა ახალი ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის შედეგადაც საქართველო ორ გუბერნიად - თბილისისა და ქუთაისის გუბერნიად გაიყო (ვაჭრიძე, 1999: 280-281; Çapraz, 2006: 79). გურია, ოზურგეთის მაზრის სახით, ქუთაისის გუბერნიაში შევიდა.

ყირიმის ომის შემდეგ ფაქტობრივად გაუქმდა სამეგრელოს შეზღუდული თვითმმართველობა. 1857 წლის 26 სექტემბრის რესკრიპტით სამეგრელოს “დროებით” მმართველად გენერალი კოლუბიაკინი დაინიშნა, რაც ნიშნავდა სამეგრელოს ავტონომიის გაუქმებას. რუსეთის ხელისუფლებას იმთავითვე გათვალისწინებული ჰქონდა და ყოველგვარ პირობებსაც ქმნიდა იმისათვის, რომ მემკვიდრე ნიკო დადიანს სრულწლოვანების შემდეგ სამთავრო უფლებებზე ხელი აეღო. 1867 წელს ნიკოლოზ დადიანმა სამთავრო უფლებებზე უარი განაცხადა და სამეგრელოში რუსული მმართველობა საბოლოოდ გაფორმდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები V, 1970: 161).

რუსეთის იმპერიალისტური გეგმები სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა მსგავსად, შეეხო აფხაზეთსაც. სოხუმიდან ანაპამდე სანაპირო ზოლის ხელში ჩასაგდებად და ოსმალეთის კავკასიასთან დამაკავშირებელი საზღვაო გზის ჩასაკეტად რუსეთმა აფხაზეთში ლაშქრობა წამოიწყო. გენერალ გესეს მხედართმთავრობით 2000 მეომრისგან შემდგარი ქვეითი და საკავალერიო შემადგენლობა სოხუმში ჩავიდა. რუსმა სამხედრო შენაერთებმა 1830 წლის 8 ივლისს გაგრა აიღეს, 19 ივლისს კი ბიჭვინთა. ამ ქალაქებში რუსეთმა ციხესიმაგრეების მშენებლობა დაიწყო (Ataç, 1953: 164; Tsursumia, 2018: 120).

ადგილობრივ მოსახლეობას არც რუსეთის მმართველობის შეგუება ეწადათ და არც რუსეთის მიერ ხელდასმული შარვაშიძის მიღებას აპირებდნენ. ამიტომ 1830 წელს აფხაზეთში გამოსვლები დაიწყო (Berkok, 1958: 419). აჯანყებულებს კავკასიის

სხვა ხალხებიც უჭერდნენ მხარს. საზღვაო ძალების სიმცირის გამო აფხაზებმა დახმარებისთვის ოსმალეთს მიმართეს, თუმცა ჯეროვანი დახმარება ვერ მიიღეს. რუსეთმა გამოსვლები საბოლოოდ 1834 წელს ჩაახშო (Bilge, 2005: 226).

პასკევიჩს მიაჩნდა, რომ აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების წარმატებისთვის ასლან ბეგი ამ მოძრაობებისგან უნდა ჩამოეშორებინა. რუსეთის მთავრობისგან მიღებული ინფორმაციით ასლან ბეგი ჩერქეზებთან იყო ალიანსში და მათ რუსების წინააღმდეგ აქეზებდა. ანალოგიურად ამ პერიოდში ჩერქეზებიც თავს დაესხნენ გაგრას, თუმცა ბრძოლები წარუმატებლად დამთავრდა. ამ მოვლენების შემდგომ ასლან ბეგმა თავშესაფარი ოსმალეთში მიიღო. ის ტრაპიზონში დასახლდა და ოსმალეთისგან ხელფასის სახით ყოველთვიურ ფულად დახმარებას იღებდა (Tsurtsumia, 2018: 121).

რუსებს ძალიან უჭირდათ შავი ზღვის სანაპირო ზოლის კონტროლი ანაპასა და ფოთს შორის. ოსმალეთი სავაჭრო გემებით იარაღით ამარაგებდნენ ჩერქეზებს. ასე მაგალითად, 1830 წლის ბოლოს ოსმალეთის მიერ აფხაზეთში გამოგზავნილი იქნა 15 ზარბაზანი და 200 საბრძოლო დენტის კასრი (Aydın, 2017: 22). ამ გემებით საბრძოლო მასალებთან ერთად მარილი, სურსათი და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებებიც შემოდიოდა. ამ ფაქტით უკმაყოფილო რუსეთმა თავისი საბაჟო წესების გამოყენება დაიწყო. თუმცა, ოსმალეთის გემები რუსების საბაჟოს გვერდის ავლით მაინც ახერხებდნენ ჩერქეზებთან კავშირის დამყარებას. რუსეთის ხელმწიფემ პასკევიჩს უბრძანა, რომ ყველა საზღვაო ხომალდი, რომელიც ანაპასა და რედუტ-კალეს შორის მოძრაობდა, დაეკავებინა. გარდა ამისა, სავაჭრო გემები მკაცრ კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. რუსეთს ოსმალეთის დაკავებული გემები სოხუმის ნავსადგურში გადაჰყავდა (Tsurtsumia, 2018: 122-123).

რეგიონში ოსმალეთის გავლენის შესამცირებლად მიღებული იქნა ახალი ზომები, რაც ციხესიმაგრეებისა და ანაპიდან ფოთამდე გზების მშენებლობაში გამოიხატებოდა (Aydın, 2017: 57). ამ გატარებული ზომების მიუხედავად, რუსეთმა მაინც ვერ შეძლო, რომ ხელი შეეშალა ოსმალეთის კავშირისთვის რეგიონთან. მთავრობამ აფხაზეთის სამთავროს შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეთა კონტროლი სამხედრო ზედამხედველობაში მოაქცია (დუმბაძე, 1957: 273).

1837 წელს რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შეიყვანა წებელდა და იქ რუსული მმართველობა დაამყარა. 1840 წელს კი, აფხაზეთის მოსახლეობის რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლების დროს, რუსეთმა მათ წინააღმდეგ და რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აფხაზეთის მმართველი მიხეილი და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ძალები გამოიყენა. ამას გარდა, 1841 წელს მიხეილ შარვაშიძემ 1500 კაცით მონაწილეობა მიიღო რუსეთის მიერ კავკასიელი ხალხების შაფსულებისა და უბიხების დარბევაში. რუსებმა მიხეილ შარვაშიძის ეს საქციელი გმირობადაც კი მონათლეს (**Gamakharia, Akhaladze, 2016: 36**).

ამ პერიოდში პრობლემური გახდა სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მოქცეული სამურზაყანოს საკითხი, რომლის გამოც სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანსა და აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. ამ უკანასკნელმა სამურზაყანოს აფხაზეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რუსეთს მხარდაჭერა სთხოვა. ლევან დადიანი მიხეილ შარვაშიძის წინააღმდეგ გამოვიდა. რუსეთმა სამურზაყანოს რეგიონი სამეგრელოდან გამოყო და არც ერთ სამთავროს არ მიაკუთვნა. 1840 წელს სამურზაყანო ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად (სამურზაყანოს საბოქაულო) გამოცხადდა და ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა (**Tsurtsunia, 2018: 125-126**).

1847 წელს რუსეთმა სამეგრელოს მთავარს (დავით დადიანი) სამურზაყანოსთვის კომპენსაცია გადაუხადა. მიხეილ შარვაშიძემ ეს უსამართლო საქციელად მიიჩნია და სამთავროს მმართველობიდან ჩამოშორების შესახებ გააკეთა განაცხადი. რუსეთს მიხეილ შარვაშიძის დახმარება კავკასიის თავისი ბატონობის ქვეშ სრულად მოქცევამდე ჯერ კიდევ სჭირდებოდა, ამიტომ მ. ვორონცოვმა მიხეილ შარვაშიძეს წერილი მიწერა, სადაც დარჩენას სთხოვდა. შარვაშიძე ვორონცოვის ამ თხოვნას დათანხმდა (**Tsurtsunia, 2018: 126-127**).

რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ აფხაზეთის სამთავრო ავტონომიის სტატუსი 1810 წლიდან 1864 წლამდე ჰქონდა (**Çapraz, 2012: 568**). კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის სამთავროს ავტონომია უკვე განწირული იყო. 1864 წლის მარტში მეფისნაცვალმა იმპერატორ ალექსანდრე II-ს სწერდა, რომ ადრე მიხეილ შარვაშიძის მიერ აფხაზეთის მართვა რუსეთისათვის სასარგებლო იყო, დამოუკიდებელი აფხაზე-

თის არსებობას აზრი ჰქონდა, ვიდრე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შემოუერთებდით რუსეთს, მით უმეტეს, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების უდიდესი ნაწილი დაკავებული იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მაგრამ ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა და იგი აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას ითხოვდა.

1864 წლის აპრილში აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე (ჩაჩბა) მოვალეობის შესრულებას ჩამოაშორეს და აფხაზეთი მთლიანად რუსეთის მმართველობაში გადავიდა (Bilge, 2005: 211). ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო აფხაზთა ერთი ნაწილი 1866 წელს აჯანყდა. რუსმა მმართველებმა აჯანყება ჩაახშეს, რომლის შემდგომაც, 1867 წელს, 20 ათასზე მეტი აფხაზი ოსმალეთში გადავიდა საცხოვრებლად (McCarthy, 2014: 39; Gamakharia, Akhaladze, 2016: 37). შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩერქეზი და აფხაზი მოსახლეობა ძალიან შემცირდა.

რაც შეეხება სვანეთს. სვანეთისადმი რუსეთის მთავრობის ინტერესი განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის ომების წარმატებით დასრულების შემდეგ გაიზარდა. ამ დროიდან სვანეთის საკითხის გადაწყვეტა რუსეთისთვის, ერთის მხრივ, დასავლეთ საქართველოში პოზიციების განმტკიცებას უკავშირდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, დასავლეთ კავკასიის მთიანეთის დამორჩილების საკითხთან იყო დაკავშირებული.

რუსეთი ხელსაყრელად მიიჩნევდა, რომ სვანეთის გზით უშუალო კავშირი დაემყარებინა ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიას შორის. მთავარმართებელ პასკევიჩს მიაჩნდა, რომ სვანეთის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმ დამაკავშირებელი რგოლის ანუ გზის არსებობაში, რომელიც სვანეთზე გადიოდა სამეგრელოდან ყუბანის იქითა ნაპირის სამფლობელოებისაკენ.

1830 წ. ივლისში რუსეთის მთავრობამ სვანეთის შემოერთების საკითხის მოგვარებისა და სხვა სპეციალური დავალებებით იქ გენერალი გესე მიავლინა. 1832 წელს დადემქელიანმა რუსეთს ქვეშევრდომობის მიღებასა და იმპერატორის ერთგულების შესახებ სიტყვა მისცა. 1833 წელს დადემქელიანებმა მეფის რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს.

ამრიგად, 1833-1834 წლებში რუსეთის მთავრობამ თავისი ბატონობა სვანეთზეც დაამყარა. აქამდე სვანეთი დამოუკიდებლობას ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებდა,

რადგანაც რუსეთის მთავრობა არ ერეოდა სვანეთის სამთავროს საქმეებში და სამთავრო დამოუკიდებელ მმართველობას საკმაო დროის მანძილზე ინარჩუნებდა (**დუმბაძე, 1957: 252-257**). 1858 წელს სვანეთის სამთავრო ოფიციალურად გაუქმდა.

